პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილის ლის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 3 ივლისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 150 (2496)

დ ღ ი უ რ ი

- — იაპონიის მთავრობამ დაადგინა გადადგეს.
- — მემარცხენე მუშა-ფიზკულტურელთა დღესასწაული ბერლინში.
- — მაკდონალდმა გადასწყვიტა დაასწროს ერთა-ლიგის სექტემბრის პლენუმს.
- — გერმანელ ფაშისტების ანტი-საბჭოთა ზრახვები.
- — შვეციის რეფორმისტების გამოსვლა საბჭოთა მემაღაროების კავშირის წინააღმდეგ.
- — ძალაში შევიდა „ჯენერალ ელექტრიკ"-თან დადებული შეთანხმება.
- — 1-ლ ივლისიდან საბჭოთა კავშ. რკინისგზებზე შემოღებულია მგზავრობის ახალი ტარიფი.

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა ივლისისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე

საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-6 ყრილობა უკვე შეუდგა საქმიან მუშაობას. გუშინ ყრილობამ დიდი ინტერესით მოისმინა ამხ. კახიანის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება ცეკას მუშაობის შესახებ. დელეგატების წინაშე გადაიშალა განვლილი უდიდესი სოციალისტური მშენებლობის სრული სურათი მთელი თავისი მიღწევებით და იმ სიძნელეებით, რომელნიც წინ ეღობებოდნენ ჩვენს შეუჩერებლივ წარმატებით განვითარებას. ბევრი ამ სიძნელეთაგანი წარსული თავდადებული ბრძოლისა და მუშაობის პროცესში გადალახულ იქნა. მაგრამ, თქმა არ უნდა, ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვეძლება დაუბრკოლებლივ განვაგრძოთ წინსვლა ახალი გამარჯვებებისაკენ.

მთელი საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად მისი განუყოფელი ნაწილი საბჭოთა საქართველო მიექანება წინ გაშლილი სოციალისტურ იერიშით. სოციალიზმის მშენებლობის მიმდინარე ეტაპი პარტიის და მის გარშემო შემჭიდროებულ მშრომელი მასების წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს მორიგ, რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანებს. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მთლიანად იმით განისაზღვრება, თუ რამდენათ შესძლებს ჩვენი პარტია თავის ლენინური ერთსულოვნობის და ბოლშევიკურ რკინისებურ სიმტკიცის დაცვას, თუ რამდენად შევსძლებთ იმ მიღწევების გამაგრებას, რომელნიც მოგვეპოება ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ძალების შეკავშირებისა და ამ ძალთა შემოქმედებითი ინიციატივის ორგანიზაციის დარგში.

კომუნისტური პარტია პროლეტარიატის ერთად ერთი ავანგარდია, რომელიც სიტყვით და საქმით თავგანწირვით იბრძვის ძველი კაპიტალისტური ქვეყნის წინააღმდეგ.

ის მეტად საპასუხისმგებლო და დიდი მისია, რომელიც ისტორიამ დააკისრა ბოლშევიკურ პარტიას მთელი მოწინავე კაცობრიობისა და მომავალი თაობის წინაშე, მოვალედ ხდის მას, პირველ ყოვლისა, განსაკუთრებული სიფხიზლით ადევნოს თვალყური ლენინის მოძღვრების სიწმინდის მტკიცედ დაცვას, იზრუნოს ბოლშევიზმის იდეების კიდევ უფრო გასავრცელებლად ფართო მშრომელ მასების ფენებში და ყოველი ღონე იხმაროს საკუთარი რიგების შემდგომ გამაგრებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტია, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაუზოგავად ებრძოდა როგორც აშკარა ოპორტიუნისტულ მემარჯვენე გადახრას, რომელიც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ამჟამად ჩვენთვის, ისე წმინდა წყლის კონტრრევოლიუციონურ, ტროცკისტულ დაჯგუფებებს. ის განსაკუთრებული აღტკინება და იშვიათი ოვაციები, რომლითაც ეგებებოდა მთელი ყრილობა ცენტრალური კომიტეტის მომხსენებლის ყოველ განცხადებას ლენინურ იდეების გამყალბებელთა წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, ერთხელ კიდევ მჭერმეტყველურად ცხადჰყოფს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც მტკიცედ სდგას ლენინის იდეების სადარაჯოზე და ყველა, ვინც შეეცდება შეარყიოს მისი ბოლშევიკური ერთსულოვნება, საკადრის პასუხს მიიღებს.

ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ უმთავრესად წვრილ გლეხურ მეურნეობის ქვეყანაა. ძველ წყობილებიდან მემკვიდრეობით ნაანდერძევი მრავალი და მეტად სერიოზული სიძნელენი, როგორიცაა ტეხნიკური ჩამორჩენილობა, მშრომელი მასების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბალი კულტურული დონე და სხვ., კიდევ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დარჩებიან სოციალისტური მშენებლობის შემაფერხებელ, ფაქტორებად. ამას თან ერთვის ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება მსოფლიოში ერთად-ერთი სოციალისტური ქვეყანა—საბჭოთა კავშირი. ჩვენ შიგნით და მომეტებით საბჭოთა რესპუბლიკების საზღვარს იქით მრავალი მტერი გვყავს. კაპიტალისტური ქვეყნები ჯერ-ჯერობით ჩვენზე ძლიერნი არიან ტეხნიკურად და მატერიალურად. მუშათა კლასის მტრების მთელი ხროვა გველური სისინით ეგებება ყოველ ჩვენს ახალს გამარჯვებას სოციალიზმის მშენებლობის დარგში. მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენ ერთი წუთითაც იჭვი არ გვეპარება იმაში, რომ გავიმარჯვებთ. მაგრამ ასეთ მტრულ გარემოცვაში საბჭოთა კავშირი თავის საბოლოო გამარჯვებას იზეიმებს მხოლოდ საკუთარი ძალების მაქსიმალური მობილიზაციისა და მსოფლიო პროლეტარიატის დახმარებით.

ახალი ქვეყნის აომშენებლობისათვის საჭიროა ახალი ადამიანები, საჭიროა პროლეტარული საქმის ენტუზიასტები. ძველ ბოლშევიკურ გვარდიამ ამ მხრივ სახელოვნად შეასრულა თავის მოვალეობა. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ჩვენმა პარტიამ შექმნა სოციალიზმის მშენებელთა ძლიერი კადრები. განვლილი წლების მანძილზე ბოლშევიკურ პარტიის ხელმძღვანელობით დაირაზმა და გაიწვრთნა კომუნიზმისათვის თავდადებულთა მილიონიანი მასები, წამოიზარდა ახალი, თაობაც. ახალ ადამიანთა ეს ზრდა შესაფერი ტემპით მიმდინარეობდა ჩვენშიაც. საქართველოს კომუნისტურ პარტიას სამართლიანად შეუძლია იამაყოს იმ მიღწევებით, რომელიც მას დღეს აქვს სოციალიზმის მშენებელთა კადრების მომზადების მხრივ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ინდუსტრიალურ პროლეტარიატის ბაზისი ჯერ-ჯერობით ასე ვიწროა. საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-6 ყრილობის იშვიათი ერთსულოვნობა იმის საუკეთესო საწინდარია, რომ მორიგ ახალ დაბრკოლებებთან ბრძოლაში ჩვენ, როგორც ყოველთვის, გამარჯვებას მოვიპოვებთ.

საქმე ბოლომდე მივიყვანოთ

(თვითღირებულების შემცირების შესახებ)

სულ სამი თვე დარჩა სამეურნეო წლის დამთავრებამდე. ამასთანავე უკანასკნელ კვარტალზე მოდის შვებულებათა და კაპიტალური რემონტის გამო, მუშაობის გაცდენის დიდი ნაწილი. მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელ თვეებში უნდა უზრუნველჰყოთ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პრობლემის მთლიანად შესრულება—თვითღირებულების შემცირება 7 პროცენტით გეგმიანი დავალების თანახმად.

მრეწველობის თითქმის ყველა დარგში ჩვენ წინსვლას განვაგრძობთ მეტად მაღალი ტემპით, წარმოების ხარჯების დონის შემცირების მხრით კი დღევანდლამდე საკმაო შედეგებს ვერ მივაღწიეთ. ჩვენ ვიცით, რომ 1925—26 წელს თვითღირებულება 1,8 პროცენტითაც კი გაიზარდა, 1926—27 წელს თვითღირებულება შემცირდა სულ 1,7 პროცენტით და მხოლოდ 1927—28 წელს შევასრულეთ გეგმა და თვითღირებულება შევამცირეთ 6,2 პროცენტით.

რაც შეეხება მიმდინარე წელს, მრეწველობის წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებას ხუთწლედის დამწყები 1928—29 წლის თითქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ახასიათებდა სხვადასხვა ხელსაყრელი მაჩვენებლები. წინასწარი ცნობებით, პირველი ნახევარწლის განმავლობაში მთელი მრეწველობის თვითღირებულება შემცირდა სულ 2,3 პროცენტით გეგმაში გათვალისწინებული 7 პროცენტის ნაცვლად.

ასეთი მდგომარეობა მთელი მუშათა კლასის ყურადღებას იპყრობს. ცხადზე უცხადესია, რომ გეგმის თვალსაჩინოდ შეუსრულებლობა ამ ფრონტზე მტკივნეულად დაეტყობა სახალხო მეურნეობის გეგმის ყველა დარგს. დავალებათა შეუსრულებლობა პირველ ნახევარ წელიწადში სამართლიან მოუსვენრობას იწვევდა იმის შესახებ, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა წლის მეორე ნახევარში ყოველივე იმის ანაზღაურება, რაც საჭიროა გეგმის მთლიანად შესრულებისათვის.

წლის მეორე ნახევრის პირველი კვარტალი დამთავრდა. მაგრამ ამ კვარტალის შესახებ ცნობები არა გვაქვს. არსებობს მხოლოდ წინასწარი ჯამი ორი თვის—აპრილისა და მაისის შესახებ. მიუხედავად ამისა, უკვე ამ ცნობების მიხედვით საბუთი გვაქვს აღვნიშნოთ თვალსაჩინო გარდატეხა. ამას ადასტურებენ, პირველ ყოვლისა, ციფრები, ადასტურებს ის საწარმოო ატმოსფერა, რომელიც უფრო და უფრო მტკიცე ხდება ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებში.

სულ ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თვით მასების თაოსნობით წარმოშობილი სოციალისტური შეჯიბრების მოძრაობა ფართოდ განვითარდა მთელს საბჭოთა კავშირში. იგი წარმოადგენს მშრომელთა მასების მიერ იმ გზების ძიების ნაყოფს, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველჰყონ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება. ბურჟუაზიული მჯღაბნელები ბოროტად „წინასწარმეტყველებდნენ" ამ არაჩვეულებრივი საქმის ჩაფუშვას და მათ იგი მორიგ გატაცებად მიაჩნდათ.

შეჯიბრება, მუშაობის ნამდვილი სოციალისტური თვისება და მეთოდი, ახლა იწყებს განძლიერებას, იგი ჯერ სრულიად უმნიშვნელოდ შეეხო ისეთ უდიდეს სექტორს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა. მაგრამ იქ, სადაც იგი ფეხს იკიდებს, უკვე შედეგებს ვიღებთ. ეს აშკარად გვიჩვენებს, რომ დაუშრეტელია პროლეტარიატის დიქტატურის სამეურნეო სისტემის იმ ბუმბერაზული პოტენციალური ძალების რეზერვები, რომლებიც ვერ შეუგნიათ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს ჩვენში და საზღვარგარედ და რომლებსაც საკმაოდ ვერ აფასებს მემარჯვენე— ოპორტუნისტული გადახრა პარტიაში.

მესამე კვარტალმა უეჭველად შეიტანა ახალი გამაჯანსაღებელი ნაკადი თვითღირებულების შემცირების საქმეში. მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა, რომ გადაჭარბებით შეგვეფასებინა მოპოვებული წარმატებანი, არ შეგვეგნო ის, რომ ეს წარმატებანი დადებით როლს შეასრულებენ მხოლოდ იმ პირობით, თუ მოვახერხებთ მათს ყოველმხრივ გაფართოებას და გაღრმავებას მიმდინარე სამეურნეო წლის უკანასკნელ თვეებში. აპრილისა და მაისის შედეგების ერთად ერთი დასკვნაა—ბოლომდე მივიყვანოთ უკვე დაწყებული გარდატეხა, გამოვიყენოთ ყველა საშუალება, ყველა გამორკვეული დამატებითი შესაძლებლობა და რეზერვები წარმოების ხარჯების შესამცირებლად, არცერთ წუთს არ მოვადუნოთ ენერგია, არამედ დაუღალავად ვიმუშაოთ უკვე მიღწეულის განსამტკიცებლად და გასაფართოებლად.

ამასთან ერთად საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს სამრეწველო პროდუქციის ხარისხის საკითხს. არის მოვლენები, რომელთა მიხედვით იძულებული ვართ ვილაპარაკოთ ზოგიერთ სამრეწველო პროდუქტების ხარისხის რამდენიმედ გაუარესებაზე. საჭიროა გადაჭრით ვსთქვათ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ თვითღირებულების შემცირება პროდუქციის ხარისხის შემცირების ხარჯზე. ხარისხის პრობლემა და მისი თანდათანი გაუმჯობესება მრეწველობის ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანათაგანს შეადგენს. თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის დროს მუშათა კლასი ამ ამოცანას გვერდს ვერ აუხვევს.

თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი უნდა მიეკუთვნოს შრომის დისციპლინის იმ მნიშვნელოვან გადიდებას, რომელიც დამკვრელი ჯგუფებიდან, სანიმუშო ბრიგადებიდან და შეჯიბრების მოთავეებიდან დაწყებული თანდათან მოედო მთელ მუშათა კლასს.

საჭიროა თვითღირებულების შემცირებისა და შეჯიბრების პროცესთა გაღრმავების ამოცანების ირგვლივ დაირაზმონ პროლეტარული საზოგადოებრიობის ყველა ძალები. აუცილებლად საჭიროა, ამ საქმეში ჩაებან ყველა ტეხნიკური კადრებიც. დასასრულ, შეჯიბრების მიმდინარეობაში უნდა გამოიკვეთოს მისი ისეთი ფორმები, რომლებიც საუკეთესოდ წაიყვანენ და გამოიყენებენ მასების შემოქმედებითი ენერგიას.

მრავალი სპეციალური სეზონური ფაქტორების მიზეზით (მუშა ძალის უკუქცევა, შვებულებები, რემონტი და სხვ.) ზაფხულის პერიოდში ჩვეულებრივ რამდენიმედ კლებულობს მუშაობის სიმძაფრე. ყველა ორგანიზაციები— პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო მოვალენი არიან მუდამ ახსოვდეთ, რომ თვითღირებულების შემცირების ფრონტზე ყოვლად დაუშვებელია მუშაობის ოდნავი მოდუნებაც კი. წარმოების ხარჯების შემცირებაში არსებული გარდატეხა ყოველნაირად უნდა გაფართოვდეს. სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ ახლა შედის თავის უფლებებში. მას უნდა მიექცეს მაქსიმალური ყურადღება, რომ ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში გაბატონდნენ სოციალისტური მეთოდები.

„პრავდა", 2 ივლისი.

საფ. ანგეთი დათმობაზე მიდის ამერიკის მიმართ

პრესის ცნობით მთავრობა დაამტკიცებს შეთანხმებას ვალების მოწესრიგების შესახებ

დაიწყო ორლოვისა და მისი თანამონაწილეების პროცესი

საფრანგეთი და ამერიკა

საფრანგეთის პრესა ამერიკის გადაწყვეტილების შესახებ

პარიზი, 1 ივლისი. საფრანგეთის მთელი ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატების უარი ვალის ვადის გადიდებაზე არავისათვის არ იყო მოულოდნელი.

პრესა აღიარებს, რომ ვალების შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია სავსებით უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს. პრესის ცნობით, პალატის უმრავლესობა მოითხოვს, რატიფიკაციის საპარლამენტო აქტში შეტანილ იქნას შენიშვნა, რომ საფრანგეთი შეერთებულ შტატებს ვალს გადაუხდის გერმანიისაგან გადასახადების მიღების მიხედვით. ამ აქტის ძალით პრეზიდენტი დაამტკიცებს შეთანხმებას, ხოლო შენიშვნები ხელს არ შეუშლიან შეერთებული შტატების მთავრობას—იცნოს რატიფიკაცია და გადასდოს ვალის გადახდის ვადა (ადს).

„სოციალისტი" ბლიუმი და იუნგის გეგმა

პარიზი, 1 ივლისი. ამჟამად პარლამენტში მხოლოდ კომფრაქცია ილაშქრებს უკომპრომისოდ იუნგის გეგმით გათვალისწინებულ იმ შეთანხმებათა წინააღმდეგ, რომლებიც ვალების გადახდას შეეხება. ბურჟუაზიულ ჯგუფებიდან რატიფიკაციის წინააღმდეგ გამოდიან მხოლოდ მცირერიცხოვანი უკიდურესი მემარჯვენე ელემენტები, რომლებიც რატიფიკაციას ამჯობინებენ იმას, რომ პირველ აგვისტოს გადახდილ იქნას 10 მილიარდი ფრანკი.

სოციალისტების ლიდერმა ბლიუმმა პარტიულ კრებაზე განაცხადა:

„სოციალისტები იმდენად არ დაეცემიან, რომ საფრანგეთის ეხლანდელი ტრაგიკული მდგომარეობა გამოიყენონ მთავრობასთან საბრძოლველად. ამიტომ რატიფიკაციის საკითხის შესახებ კენჭის ყრის დროს სოციალისტები იხელმძღვანელებენ არა თავიანთი დამოკიდებულებით მთავრობისადმი, არამედ საფრანგეთის ინტერესებით".

ორლოვის და მისი თანამონაწილეების პროცესი

ბერლინი, 1 ივლისი. დაიწყო ორლოვის და მისი თანამონაწილეების პროცესი. საბრალმდებლო აქტში ნათქვამია, რომ ბრალდებულნი ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს და მიზნად ისახავდნენ მატერიალურ სარგებლობას. ისინი სცდილობდნენ—ყალბი დოკუმენტები მიეყიდათ ამერიკელი ჟურნალისტის ნიკერბროკერისათვის (ყალბი დოკუმენტება, რომელთა მიზანი იყო სახელის გატეხვა სენატორ ბორასათვის) და ზივერტისათვის (მეფის ოფიცერი, ბერლინის პოლიტიკური პოლიციის თანამშრომელი).

სასამართლოს დილის სხდომაზე დამცველნი ყოველგვარი საშუალებით სცდილობდნენ საქმე დაეხატათ ისე, თითქოს ყალბი დოკუმენტების დამამზადებელნი მოქმედებდნენ არა პირადი სარგებლობისათვის, არამედ „იდეალისტური" მისწრაფებით, რაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა წყობილებისადმი ფანატიკურ სიძულვილს, ამის გამო ბრალდებულთ შესაძლებლად მიაჩნდათ ბრძოლის ყოველგვარი საშუალება.

ორლოვის დამცველმა სასამართლოს გადასცა ორლოვის მიერ საპყრობილეში დაწერილი მემორანდუმი, რომელიც შეიცავს მისი მოქმედების პოლიტიკურ დასაბუთებას, მაგრამ პროკურორი წინააღმდეგია, რომ ეს დოკუმენტი საქმეს დაერთოს. პავლონოვსკი, როგორც ცნობების მიმწოდებელი გერმანიის სახელმწიფო დაწესებულებათათვის, განსაზღვრულ თვიურ ჯამაგირს იღებდა. პირადი დაკითხვის დროს პავლონოვსკი აცხადებს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, იგი ვითომ თანამშრომლობდა სახელმწ. პოლიტსამმართველოში იაკშინის გვარით და რომ მისი ნამდვილი გვარი კარპოვია.

ორლოვი დაწვრილებით და აშკარა სიამაყით უამბობს სასამართლოს თავის მოქმედებას პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში, როცა იგი გამომძიებლად და პროკურორად იყო. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ორლოვი ორლინსკის გვარით მუშაობდა იუსტიციის სახ. კომისარიატში და მუდამ ეხმარებოდა თეთრგვარდიელებს. ამასთან მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა გერმანიის კონსულ ბორტელსთან. 1928 წლის ოქტომბერში, ორლოვის მდგომარეობა შეირყა, მან გერმანიის საკონსულოსაგან მიიღო ორი პასპორტი, რომლითაც იგი ოდესაში გაიქცა. საზღვარგარეთ გასვლის შემდეგ ორლოვი ვრანგელის დავალებით მეთვალყურეობას უწევდა „ბოლშევიკების მუშაობას" საზღვარგარეთ. ორლოვი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი იუსტიციის სახ. კომისარიატის თანამშრომელი იყო, გერმანიის კონსულს ბორტელსს აწვდიდა მეტად მნიშვნელოვანი სხდომების ოქმებს. **იმ დოკუმენტების განხილვის დროს, რომლებიც პავლონოვსკის უნდოდა მიეყიდა ნიკერბროკერისათვის და რომლებიც შეეხებოდნენ ბორას ვითომ მოსყიდვას, აღმოჩნდა უხეში წინააღმდეგობანი ბრალდებულთა ჩვენებაში, რაიც ხშირად იწვევდა ძლიერ სიცილს სასამართლოს დარბაზში.**

ამ დოკუმენტების შესახებ ორლოვმა აღიარა, რომ მას არ უნახავს ორიგინალები, რომლებიც ვითომ სახელმწ. პოლიტსამმართველოში ინახება; მან ნახა ამ დოკუმენტების მხოლოდ ხელთნაწერი ასლები.

პროკურორის და თავმჯდომარის შეკითხვაზე—იყო თუ არა ამ მეორე ასლებზე აღნიშნული სიტყვა „ასლი" და შემოწმებული იყო თუ არა პირველი ხელთნაწერი ასლები, ორლოვმა გარკვეული პასუხი ვერ მისცა.

მესამე დოკუმენტის, ეგრედწოდებული „სახელმწ. პოლიტსამმართველოს ინსტრუქციის" შესახებ ორლოვი ამტკიცებს, რომ ეს დოკუმენტი ნამდვილიაო. ორლოვის სიტყვით, ეს დოკუმენტი, რომელიც ნაწილობრივ შიფრით იყო დაწერილი, მან ვერ წაიკითხა, ამიტომ თვითონ შეადგინა მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი, რათა ამგვარად ეს დოკუმენტი დაეკავშირებია სენატორ ბორას სახელთან. ყოველმა ცდამ—დაეხატათ ყალბი დოკუმენტების დამამზადებელნი „იდეალისტებად", ამაოდ ჩაიარა მას შემდეგ, როცა გამოირკვა, თუ რა პირობებში სურდათ ყალბი დოკუმენტების დამამზადებლებს დაეთმოთ დოკუმენტები ნიკერბროკერისათვის. სამ დოკუმენტში ისინი მოითხოვდნენ 1.000 დოლარს, ხოლო შემდგომ დოკუმენტებში 1.000 დოლარს. (ადს).

ვინ არის ორლოვი?

ბერლინი, 1 ივლისი. ანტისაბჭოთა ყალბი დოკუმენტების დამამზადებელთა პროცესთან დაკავშირებით, „როტე ფანე" გადმოგვცემს დაწვრილებით ცნობებს ორლოვის შესახებ.

მეფის რეჟიმის დროს ორლოვი სასამართლოს გამომძიებლად იყო ლოძში, ხოლო ომის დროს—სამხედრო გამომძიებლად, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ორლოვი წავიდა სამხრეთ რუსეთში თეთრგვარდიელებთან, სადაც ხელმძღვანელი თანამდებობა ეჭირა კონტრდაზვერვაში.

თეთრგვარდიელთა შტაბის დავალებით ორლოვი ჩავიდა ლენინგრადში, საიდანაც თეთრგვარდიელ ოფიცრებს სამხრეთში გზავნიდა. ამ მუშაობაში მას ეხმარებოდა გერმანიის საკონსულოს თანამშრომელი ბორტელსი. შემდეგში გერმანიის საკონსულოს ყალბი პასპორტით იგი გერმანიაში გაიქცა.

ბერლინში ორლოვი დაუახლოვდა საზოგადოებრივი წესრიგის კომისარიატს (რომლის მთავარ ამოცანას შეადგენდა ბრძოლა რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ).

ამ კომისარიატს იგი აწვდიდა მრავალ ყალბ დოკუმენტს, რომლებიც ანტისაბჭოთა კამპანიისათვის გამოიყენეს. ამ ყალბი დოკუმენტში ორლოვმა დიდი თანხა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო ფონდებიდან.

ორლოვს მუდმივი კავშირი ჰქონდა ბერლინის პოლიცეი-პრეზიდიუმთან.

დასასრულ, გაზეთი სენსაციურ ამბავს გადმოგვცემს: **ერთი თვის წინად, ა. წ. 24 მაისს, ორლოვმა, როცა იგი უკვე პასუხისგებაში იყო მიცემული, „ერთი დიდი მოხელისაგან მიიღო პოლიტიკური დავალება, რომელიც მან შეასრულა"** (ადს).

ჩვენებები აურიეს

ბერლინი, 1 ივლისი. სასამართლოში იმ ყალბი დოკუმენტების საკითხის განხილვის დროს, რომლებიც ზივერტს მიჰყიდეს, დამცველებმა ძირითად თეზისად წამოაყენეს ის, რომ ბრალდებულნი „წმინდა იდეური" მოსაზრებით მოქმედებდნენ. ამ თეზისმა სრული დამარცხება განიცადა. ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ პავლონოვსკიმ ორლოვთან ერთად ზივერტს გადასცა 20-ზე მეტი ყალბი წერილი, რომლებიც, ვითომდა, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ეკუთვნოდა. ამ წერილებიდან ზოგიერთი შეეხებოდა გერმანიის საზოგადოებრივი წესრიგის კომისარიატს. პოლიციაში დაკითხვის დროს პავლონოვსკი გამოტყდა, რომ ყალბი წერილები მან დაამზადა ორლოვთან ერთად. შემდეგ პავლონოვსკი შეეცადა დაემტკიცებია, რომ წერილების ნაწილი ნამდვილი იყო და არა ყალბი.

დღევანდელ სხდომაზე მან განაცხადა, რომ არც ერთი წერილი არ იყო ყალბიო. პავლონოვსკის დამცველმა სასამართლოს მოუთხრო ფანტასტიური ისტორია. მას უნდოდა დაემტკიცებია, რომ წერილები ნამდვილი იყო. ამის საწინააღმდეგოდ სასამართლოს თავმჯდომარემ წაიკითხა პავლონოვსკის წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ყველა წერილი ყალბიაო. პავლონოვსკიმ განაცხადა, რომ ზივერტმა აიძულა დაეწერა აღნიშნული წერილი (ადს).

იაპონიის მთავრობის გადადგომა

ტოკიო, 1 ივლისი. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მინისტრთა საბჭომ დაადგინა გადადგეს.

პრესის ცნობით, ოპოზიციონურმა პარტიამ მინსეიტომ უკვე შეადგინა მომავალი კაბინეტის სია. სიაში, სხვათა შორის, შედიან: პრემიერი ხიმაგუჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი შიდეხარა (ასევე თანამდებობა ეჭირა მას კენსეკაის მთავრობაში), სამხედრო მინისტრი უგაკი და საზღვაო მინისტრი ტაკარაბე. (ადს).

მზადება 1-ლ აგვისტოსათვის

„ავანგარდის" მოწოდება

პარიზი, 1 ივლისი. საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ავანგარდ"-ი მოუწოდებს ახალგაზრდა მუშებს—პირველ აგვისტოს თავი დაანებონ მუშაობას და მონაწილეობა მიიღონ დემონსტრაციებში. მოწოდება მიმართავს ახალგაზრდა მუშებს, ჯარისკაცებს, და მეზღვაურებს გაერთიანდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახალგაზრდა მუშებმა უნდა შექმნან კომიტეტები 1 აგვისტოს დემონსტრაციებისათვის, შემოჰკიდროვონ თავიანთი კადრები ამ კომიტეტების გარშემო, შექმნან თავდაცვის ჯგუფები და გააძლიერონ ახალგაზრდა გვარდიის რიგები. (ადს).

ერთა ლიგის სექტემბრის პლენუმზე

ლონდონი, 1 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, **მაკდონალდი ჰენდერსონთან** ერთად გაემგზავრება ერთა ლიგის სექტემბრის პლენუმზე ჟენევაში, სადაც რამდენსამე დღეს დარჩება. ერთა ლიგის სექტემბრის პლენუმზე გასაგზავნად დელეგაციის შედგენის დროს საგარეო საქმეთა მინისტრი ჰენდერსონი იხელმძღვანელებს იმ პრეცედენტით, რომელიც შექმნა მუშათა პარტიის მთავრობამ 1924 წელს, ე. ი. გაგზავნის არა წმინდა პარტიულ დელეგაციას; ყოველ შემთხვევაში დელეგაციაში ერთი კაცი მაინც შევა ისეთი, რომელიც მუშათა პარტიის წევრი არ იქნება. (ადს).

მემარცხენე მუშა-ფიზკულტურელთა დღესასწაული

ბერლინი, 1 ივლისი. 30 ივნისს ბერლინში გაიმართა მემარცხენე მუშა ფიზკულტურელთა დღესასწაული, რომელიც გადაიქცა რევოლიუციონურ - სასპორტო მოძრაობის უდიდეს დემონსტრაციად.

დღესასწაულს საერთაშორისო ხასიათი ჰქონდა, რადგან მასში მონაწილეობას იღებდნენ უცხოეთის სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენელნი. კომპარტიის და კომკავშირის ბერლინის ორგანიზაციების წევრები ფიზკულტურელთა მანიფესტაციებში მონაწილეობას იღებდნენ წითელი დროშებითა და პლაკატებით, რომლებზედაც წარწერილი იყო ლოზუნგები, მიმართული რეფორმისტების გამთიშველი პოლიტიკის წინააღმდეგ სასპორტო მოძრაობაში.

სტადიონზე თავი მოიყარა 100.000 მუშამ. უცხოელთა დელეგაციებს საკუთარი დროშების გარდა, მიჰქონდათ სხვა დროშებიც ასეთი წარწერით: „საბჭოთა ფიზკულტურელებს არ მისცეს დღესასწაულზე დასწრების ნება".

როცა ამ წარწერის წყალობით დღესასწაულის მონაწილეებმა გაიგეს, რომ გერმანიის მთავრობამ საბჭოთა ფიზკულტურელებს ვიზა არ მისცა, გაისმა აღშფოთებული ხმები და პროტესტი გერმანიის კოალიციური მთავრობის მისამართით.

სასპორტო შეჯიბრების დაწყებამდე სიტყვა წარმოსთქვა ჰეკერტმა, რომელიც გამოვიდა კომპარტიის სახელით. ჰეკერტმა განაცხადა, რომ ბერლინის პროლეტარიატი მხარს უჭერს მემარცხენე ფიზკულტურელებს, რომელნიც რეფორმისტებმა გამორიცხეს ბერლინის მუშათა სასპორტო გაერთიანებიდანო. (ადს).

გერმანელ ფაშისტების ანტი-საბჭოთა ზრახვები

შტეკერის განცხადებას ადასტურებენ

ბერლინი, 1 ივლისი. „ბერგი მორკიშე ცეიტუნგ"-ში და მემარჯვენე მიმართულების მრავალ პროვინციალურ გაზეთში დაბეჭდილია კარლ ვიტინგის ერთი და იგივე წერილი, რომელიც საერთოდ და მთლიანად ადასტურებს კომუნისტური დეპუტატის შტეკერის განცხადებას (რეიხსტაგში) იმის შესახებ, რომ ფონ-კიულმანმა, გენერალმა ფონ-დერპილემ და ხერბერგმა შუამავლობა იკისრეს გერმანიის მთავრობისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოლაპარაკებაში.

ვიტინგი ადასტურებს, რომ მოლაპარაკება სწარმოებდა გერმანიის არმიის ერთი ორად გადიდების გერმანიისათვის კოლონიების დაბრუნების და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული გერმანია-საფრანგეთის სამხედრო კავშირის შესახებ (ადს).

ბურჟუაზიულ სასამართლოს კლასობრივი სამართლიანობა

ბერლინი, 1 ივლისი. სასამართლომ განიხილა წინადადება „როტე ფანე"-ს რედაქტორის გირშის განთავისუფლების შესახებ წინასწარი პატიმრობისაგან. სასამართლომ ეს წინადადება უარჰყო. დაკითხვის დროს გირშმა განაცხადა, რომ ის, რასაკვირველია, პასუხს აგებს „როტე ფანე"-ს შინაარსისათვის და სრულიადაც არ შეეცდება რაიმეს დაფარვას. რადგან მას საჭიროდ მიაჩნია სასამართლოს სხდომაზე გამომჟღავნდეს სრული სიმართლე იმის შესახებ, თუ ვის მიუძღვის დანაშაული ბერლინის საპირველმაისო ამბებში.

„როტე ფანე" სწერს.

„რედაქტორს უფლება აქვს, არ დაასახელოს წერილის ავტორი. ამ უფლებას, რომელსაც თვით ბურჟუაზიული პრესაც კი თავგამოდებით იცავს, სოციალ-ფაშიზმის ეპოქაში იყენებენ, როგორც საშუალებას წინასწარი პატიმრობის განგრძობისათვის. ამრიგად, „როტე ფანე"-ს ორივე რედაქტორი კვლავ იმყოფება საპყრობილეში, თუმცა ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს ბურჟუაზიული მართლმსაჯულების თვალსაზრისითაც კი. ამავე დროს საპატიმროდან ანთავისუფლებენ ფაშისტს შულცს, რომელმაც „ფოლადის მუზარადის" დავალებით საიდუმლო პოლიტიკური მკვლელობანი ჩაიდინა". (ადს).

რეფორმისტები ძირს უთხრიან მემაღაროეთა მთლიანობას

სტოკჰოლმი, 1 ივლისი. შვეციის მემაღაროეთა კავშირის ყრილობის შაბათის სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა მემაღაროების კავშირის ცეკას თავმჯდომარემ შვარცმა, რომელმაც მტკიცედ გააკრიტიკა შვეციის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პოლიტიკა. თავისი სიტყვა შვარცმა ასე დაამთავრა:

„თქვენ, რეფორმისტულ ბელადებს, ჩვენ ვეღარ შეგვხდებით, მაგრამ თქვენ, შვეციელ მემაღაროებს, კვლავ მალე შეგხვდებით". კომუნისტებმა წინადადება შეიტანეს, კავშირის წევრებს შორის ჩატარებულიყო რეფერენდუმი პლატფორმის მიღების თუ უარყოფის შესახებ. ეს წინადადება, რომელსაც ხელს აწერდნენ შვეციის და საბჭოთა მემაღაროების კავშირის წარმომადგენლები, უარყოფილ იქნა 29 ხმით 28-ის წინააღმდეგ.

რეზოლიუცია საბჭოთა მემაღაროების კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ მიღებულ იქნა 31 ხმით 28 ხმის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატები დამარცხდნენ მეღითონეთა და მემაღაროეთა კავშირის გაერთიანების საკითხში. გაერთიანება რომ მომხდარიყო, ეს გამოიწვევდა კომუნისტების გადაყენებას ხელმძღვანელობიდან მემაღაროეთა მრავალ ადგილობრივ ორგანიზაციაში.

ყრილობა პრინციპიალურად წინააღმდეგია ამ გაერთიანების. მან დაადგინა—ამ საკითხის შესახებ მოახდინოს რეფერენდუმი. (ადს).

რ ა   ა რ ი ს   ს ი გ უ რ ა ნ ც ა

ვენა, 1 ივლისი, ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინეთის პარლამენტში იხილავდნენ პოლიციის რეორგანიზაციის კანონპროექტს. სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა პისტინერმა მოითხოვა სიგურანცას (საიდუმლო პოლიცია) გაუქმება. პისტინერმა განაცხადა—„**სიგურანცა უსარგებლო და საშიში დაწესებულებაა**", რომელიც შექმნა 1908 წელს სახალხო მოძრაობის ჩასაქრობად. მისი მოქმედება არსებითად იმაში გამოიხატებოდა, რომ მოსახლეობას უჯაშუშებდა. **სიგურანცა მისდევდა არა მარტო პოლიტიკურ ჯაშუშობას, არამედ კერძო ხასიათის ჯაშუშობასაც, რაც ფულის გამოტყუებას** გულისხმობს. (ადს).

„ამნისტია" ბულგარეთში

ვენა, 1 ივლისი. სოფიიდან იუწყებიან: 139 ხმით წინააღმდეგ 97 ხმისა ბულგარეთის პარლამენტმა მიიღო ამნისტიის კანონი, რომელიც ეხება 250 კაცს, სხვათა შორის, ყოფილ პრემიერს რადისლავოვს. ამნისტია რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის დაპატიმრებულ მუშებსა და გლეხებს უმრავლესობას არ შეეხო. (ადს).

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

● **პოლიტპატიმართა გაცემა.** საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა—გადასცეს იტალიის მთავრობას ტუნისში დაპატიმრებული სამი იტალიელი პოლიტიკური ლტოლვილი. (ადს).

● **მასიური დაპატიმრება სამხრეთ-სლავიაში.** უკანასკნელ დღეებში სამხრეთ-სლავიაში დააპატიმრეს 1.000 კაცზე მეტი. დაპატიმრებულთ ბრალდებათ კომპარტიისა და ხორვატთა, მაკედონელთა და სხვა ნაციონალისტთა ორგანიზაციების წევრობა.

მარტო ზაგრებში დაპატიმრებულია 650 კაცი. (ადს).

● **ჩრდილოეთის სახელმწიფოების კავშირი.** რიგაში ჩავიდა შვეციის მეფე გუსტავი. ამის გამო ბურჟუაზიულმა პრესამ წამოაყენა „ჩრდილოეთის სახელმწიფოების კავშირის" იდეა. (ადს).

ხელშეკრულება „ჯენერალ ელექტრიკ"-თან

ძალაში შევიდა 1-ლ ივლისიდან

მოსკოვი, 2 ივლისი. 1 ივლისის ყოველგვარი ფორმალობის შესრულების შემდეგ ძალაში შევიდა ის ხელშეკრულება ტეხნიკური დახმარების შესახებ, რომელიც სახელმწ. ელექტროტრესტმა დასდო ამერიკის უდიდეს ელექტრო-ტეხნიკურ ფირმას „ჯენერალ ელექტრიკ"-თან.

ივლისის პირველ რიცხვებში ამერიკაში „ჯენერალ ელექტრიკ"-ის საწარმოებში პრაქტიკული მუშაობისათვის მიემგზავრება საბჭოთა ინჟენერების ჯგუფი. პირველ რიგში გაემგზავრებიან ის ინჟენერები, რომლებიც იმუშავებენ ამ.-კავკ. რკინის გზის სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საქმეზე. ამავე დროს ამერიკაში მიემგზავრება სახელმწ. ელექტრო ტრესტის გამგეობის წევრი ამხ. მ. **მატლინი** და ტრესტის უფროსი ინჟენერი **პინესი** ტრესტის მუდმივი წარმომადგენლობის მოსაწყობად სკენექტეიზში („ჯენერალ ელექტრიკ"-ის საწარმოს ცენტრში). ტრესტი ივალებს თავის წარმომადგენლობას ამერიკაში—შეარჩიოს ამერიკელ სპეციალისტთა ჯგუფი ჩვენს ქარხნებში კონსულტაციისათვის. (ადს).

საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობა

გუშინ ყრილობის დილის სხდომა არ ყოფილა.

საღამოს სხდომაზე ცენტრალური კომიტეტის ვრცელი საანგარიშო მოხსენებით, რომელიც ოთხი საათი გაგრძელდა, გამოვიდა ამხ. მ. კახიანი, რომელსაც მთელი დარბაზი, ფეხზე ამდგარი, ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა. მოხსენების ანგარიში მოთავსებული იქნება.

ყრილობის დარბაზი

უკანასკნელი ცნობები

კონსერვატორები მეტ პროგრესივობას მოითხოვენ მაკდონალდის მთავრობისაგან

რა საკითხებს შეეხება სეფე სიტყვა

ლონდონი, 2 ივლისი. როგორც მუშათა პარტიის ორგანოს „დეილი ჰერალდ"-ის პოლიტიკური მიმომხილველი იუწყება, მეფის სეფე სიტყვა თემთა პალატაში შეეხება შემდეგ საკითხებს: მშვიდობიანობას, განიარაღებას, ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, უმუშევრობას, ვაშინგტონის კონვენციის რატიფიკაციას (რვა საათის სამუშაო დღის შესახებ), მდგომარეობას ქვა-ნახშირის, საფეიქრო და ფოლადის მრეწველობაში, პროფკავშირების უფლებებს და საბინაო საკითხს (ადს).

სეფე-სიტყვის პასუხის განხილვა

ლონდონი, 2 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„დეპუტატთა პალატა შეუდგა სეფე-სიტყვის პასუხის განხილვას. მუშათა პარტიის მიერ წარდგენილი პროექტის დასაცავად, მუშათა პარტიის დეპუტატმა სესილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა, რომ მუშათა პარტია სიხარულით ეგებება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის მომავალ განახლებას.

ბოლდუინმა თავის სიტყვაში მთავრობას მისცა შეკითხვა, იცავს თუ არა პრემიერი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში იმ პრინციპებს, რომლებიც მან თავის ნოტაში წამოაყენა „ზინოვიევის წერილის" გამო.

მაკდონალდმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის პირობები ისეთივე რჩება, როგორც ისინი გამოქვეყნებულ ნოტაშია მოყვანილიო. (ადს).

„მანჩესტერ გარდიენ"-ი სეფე სიტყვის შესახებ

ლონდონი, 2 ივლისი. ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ"-ი არჩევს სეფე სიტყვას და ეხება ხმებს იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლების გადადება. გაზეთი აცხადებს, რომ ამ საკითხში არ იჩენს თავს რაიმე წინააღმდეგობა, თუ მუშათა მთავრობა არ მოინდომებს რაიმე ფასს იმ საქმეში, რომელიც მან ვალდებულად უნდა შეასრულოს როგორც საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნილების გამო, ისე საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით. „როგორც არ უნდა იყოს,—ამბობს გაზეთი—მთავრობა უეჭველად ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ იგი ვალდებულია მალე განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან (ადს).

სეფე-სიტყვის შემდეგ

ლონდონი, 2 ივლისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრთა უმრავლესობაში სეფე-სიტყვამ განცვიფრება გამოიწვია იმის გამო, რომ მასში გამოთქმული აზრები მეტად გაურკვეველი არიან. განსაკუთრებული განცვიფრება გამოიწვია სეფე-სიტყვის იმ ადგილმა, სადაც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ მეტად ფრთხილი გამოთქმებია დაშვებული. საერთო აზრი ისეთია, რომ მაკდონალდმა დაუშვა პირველი შეცდომა, ვინაიდან ლოიდ ჯორჯს მისცა საშუალება აიღოს თავის ხელში ინიციატივა, რომელიც, ეტყობა, ლიბერალების ბელადს სურს ფართოდ გამოიყენოს განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხში, ის შენიშვნები რომლებითაც მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წრეები ხვდებიან მაკდონალდის აუჩქარებლობას საბჭოთა კავშირის საკითხში, მოწმობენ, რომ ფრაქციის წევრები სასტიკად გააკრიტიკებენ სეფე-სიტყვას და ამით მაკდონალდის მთავრობას თავიდანვე დააყენებენ პარტიული დისციპლინის საკითხის წინაშე.

თემთა პალატის კონსერვატორ წევრ დეპუტატმა ლედი ასტორმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი აზრით სეფე-სიტყვა არ არის „საკმაოდ პროგრესიული". უფრო არაა, კონსერვატიული პარტიის ეგრედ წოდებული „დემოკრატიული დაჯგუფების" ზოგიერთი წევრები მხარს უჭერენ ამ შეხედულებას, ამრიგად შეიძლება შეიქმნეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც კონსერვატიული დეპუტატები გააკრიტიკებენ მუშათა პარტიას იმისათვის, რომ მის პროგრამაში არ სჩანს პროგრესიულობა (ადს).

მემარჯვენე პრესა წინდაწინვე ილაშქრებს

პარიზი, 1 ივლისი. მემარჯვენე პრესა ემყარება გაზეთებში დაბეჭდილ ცნობებს ინგლისის მეფის სეფე-სიტყვის შინაარსის შესახებ და წინდაწინვე ილაშქრებს მისი ორი თეზისის წინააღმდეგ; ეს თეზისები ეხებიან რეინის ოლქის ევაკუაციას და საზღვაო შეიარაღების შემცირებას. (ადს).

მაკდონალდის საუბარი მაღაროების მფლობელებთან

ლონდონი, 2 ივლისი. მაკდონალდს საუბარი ჰქონდა მაღაროების მფლობელებთან ქვანახშირის მაღაროების მდგომარეობაზე. (ადს).

ინგლის-ჩინეთის შეთანხმება

ლონდონი, 2 ივლისი. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისსა და ჩინეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალით ინგლისში უნდა აღიზარდონ ჩინელი იუნკრები და ინგლისმა ხელი უნდა შეუწყოს ჩინეთის საზღვაო ფლოტის განვითარებას.

ინგლისის სამხედრო-საზღვაო მისიის აზრით, ჩინეთის მთავრობას განზრახვა აქვს შექმნას ძლიერი სამხედრო ფლოტი და რამდენიმე სამხედრო გემებს შეუკვეთს ინგლისს. (ადს).

დობროჯეანუს გამარჯვება

ვენა, 2 ივლისი. ბუქარესტიდან მოსულ ცნობების თანახმად, რუმინელი რევოლიუციონერი დობროჯეანუს საქმე ხელახლა იქნება გადასინჯული, რაც შედეგია მისი ათი დღის სიმშილობის. ამას გარდა სასამართლო განიხილავს დობროჯეანუს საქმისადმი ამნისტიის შეფარდების საკითხს. (ადს).

პოლონეთის პრესა ჩეხოვიჩის საქმის შესახებ

ვარშავა, 2 ივლისი. პოლონეთის პრესა კომენტარიებს უკეთებს სახელმწიფო ტრიბუნალის დადგენილებას ფინანსთა ყოფილ მინისტრის ჩეხოვიჩის საქმეზე. ოპოზიციონური პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტრიბუნალის დადგენილება მოწმობს სეიმის გამარჯვებას.

პილსუდსკის მომხრეთა პრესა, თავისი მხრივ, სცდილობს საქმე ისე გაამუქოს, თითქო ტრიბუნალის დადგენილება წარმოადგენს მათი ბანაკის გამარჯვებას.

ოპოზიციის მუქარის საპასუხოდ განსაკუთრებული სესიის მოწვევის შესახებ, პილსუდსკის მომხრეები ავრცელებენ ხმებს, რომ სეიმი დათხოვნილი იქნება შემოდგომაზე.

ჩეხოვიჩი დანიშნულია სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარეთ. (ადს).

რკინის გზელთა ნაციონალური კავშირის ყრილობა

ლონდონი, 2 ივლისი. დღეს საუტჰემპტონში გაიხსნა რკინის გზელთა ნაციონალური კავშირის მორიგი წლიური ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში სდგას ორი დიდი საკითხი. პირველი კითხვა შეეხება ჯამაგირის 2—1 ნახ. პროცენტით შემცირებას, რომელიც შარშან მოხდა. რკინის გზელთა ზოგიერთი მსხვილი კავშირები მოითხოვენ ძველი ხელფასის აღდგენას.

მეორე საკითხი, რომელიც ყრილობაზე უნდა გაირჩეს, შეეხება აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას იმის შესახებ, რომ მუშათა პარტიის ყოველწლიური ყრილობების კანდიდატებად არ იქნას წამოყენებული არა თუ კომუნისტები, არამედ კავშირის ის წევრებიც, რომლებიც მემარცხენე ფრთას ემხრობიან.

ამის გამო მემარცხენე ფრთის მიმდევარი ბევრი დელეგატი მოითხოვს, რომ რკინის გზელთა ნაციონალურმა კავშირმა საერთოდ გასწყვიტოს ურთიერთობა მუშათა პარტიასთან (ადს).

კონგრესი შესდგება მაინის - ფრანკფურტში

ბერლინი, 2 ივლისი. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის კონგრესი, რომელიც უნდა შემდგარიყო პარიზში, გადატანილია მაინის - ფრანკფურტში. კონგრესის სხდომები შესდგება 20 და 31 ივლისს შუა.

კონგრესის დღის წესრიგის მთავარი საკითხია — ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ინდოეთში. (ადს).

ამხ. შ. ელიავა არტიკაში

ლენინაკანი, 2 ივლისი. 30 ივნისს ამ.-კავკ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ელიავამ და ამხ. ტერ-გაბრიელიანმა არტიკზე გაიარეს. ისინი გაეცვნენ ტუფის ამოღებას და დამუშავებას.

არტიკის რკინის გზის გაყვანის სამუშაოთა ხელმძღვანელი კომისიის თავმჯდომარემ ტერ-მიქაელიანმა ამხ. ელიავას განუცხადა, რომ რკინის გზის გაყვანა დამთავრდება ა. წ. 1 ოქტომბრისათვისო (ადს).

ახალი ტარიფი რკინის გზებზე

მოსკოვი, 2 ივლისი. 1 ივლისიდან საბჭოთა კავშირის რკინის გზებზე შემოღებულ იქნა ახალი ტარიფი მგზავრებისათვის და ბარგების გადაზიდვისათვის. სამგზავრო ფასი ეხლა გათვალისწინებულია ზოლების მიხედვით. აქამდის პირველ 300 ვერსზე სამგზავრო ფასის გამოანგარიშება ხდებოდა ვერსების მიხედვით, სამას ვერსზე ზევით კი ზოლების მიხედვით. ახალი ტარიფით, მცირე მანძილის გავლა ჩქარი და სწრაფი მატარებლებით, აგრეთვე პლაცკარტიანი ვაგონებით მეტად ძვირად ჯდება. რაც შორს მავალ მატარებლებს საგრძნობლად განტვირთავს ადგილობრივი მგზავრებისაგან. რამდენადმე გადიდებულია აგრეთვე მაგარადგილებიან ვაგონებში მგზავრობის ფასი უპლაცკარტოთ. სამაგიეროთ სამგზავრო საბარგო მატარებლებში სამგზავროთ მოწყობილ საბარგო ვაგონებით მგზავრობის ფასი ერთი-ორად დაკლებულია.

ყველაზე ნაკლები განაკვეთით მაგარადგილებიანი ვაგონების საწოლი პლაცკარტისათვის ისეთ მანძილზე, რომელიც 600 კილომეტრს არ აღემატება, დანიშნულია 2 მანეთი, რბილ-ადგილებიანი ვაგონებისათვის—3 მანეთი. ჩქარ მატარებლებში სისწრაფისათვის დაწესებული ფასი გაუქმებულია. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების თეზისების პროექტი საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობისათვის

1. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას რაც შეიძლება გაძლიერებული ტემპით, ე. ი. სოციალისტური პოზიციების დაჩქარებით ზრდა-განვითარებას, რათა უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ეკონომიურად და ტექნიკურად დაწინაურებულ ქვეყნებს. ეს უკანასკნელი პირობა აუცილებელი საფუძველია იმის, რომ უახლოეს დროში საბჭოთა ქვეყანაში საბოლოოდ აღმოიფხვრას კაპიტალიზმის ფესვები. ამნაირად ხუთწლიანი გეგმის შესრულება იქნება უდიდესი ნაბიჯების გადადგმა წინ სოციალიზმის განსახორციელებლად ჩვენში.

2. ხუთწლიანი გეგმა ემყარება ერთი მხრით საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს შორის შრომის რაციონალურად განაწილებას, და მეორე მხრით იმ რაიონების წინ წაწევას, რომლებიც ეკონომიურად და კულტურულად შედარებით უფრო ჩამორჩენილი არიან საწარმოო ძალების განვითარების მხრით. ამიტომაც ხუთწლიანი გეგმის განხორციელება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოითხოვს ისეთ პოლიტიკის წარმოებას, რომლითაც ჩამორჩენილი რაიონები დაეწევიან კავშირის დაწინაურებულ რაიონებს და გაუთანასწორდებიან მათ—ეკონომიურად და კულტურულადაც. მაგრამ ასეთი პოლიტიკის გატარებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუშალოს ხელი მთელი კავშირის ერთიანი გეგმის განხორციელების საქმეს.

3. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანმა გეგმამ უნდა გაითვალისწინოს ჩვენი ქვეყნისათვის ყველა ის საერთო დებულებები, რომლებზედაც ეყრდნობა, საერთოდ, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა. ამასთანავე, როგორც ზევით იყო აღნიშნული, საქართველოს სახალხო მეურნეობის და კერძოდ მრეწველობის განვითარების ტემპი შედარებით უფრო ჩქარი უნდა იყოს, ვიდრე, მაგ., საბჭოთა რუსეთში ან საბჭოთა უკრაინაში, ვინაიდან საქართველო იყო და დღემდისაც არის უფრო წვრილი და ხელოსნური მრეწველობის ქვეყანა. სოფლის მეურნეობის მხრით საქართველო კიდევ უფრო ჩამორჩენილია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სპეციალურ და ტექნიკურ კულტურების დარგებს.

4. სოციალისტური სახალხო მეურნეობის ხუთწლიანმა გეგმამ ჩვენს ქვეყანაში უნდა გაითვალისწინოს მაქსიმალური გამოყენება ყველა იმ ბუნებრივი საწარმოო ძალების, რომლებითაც მდიდარია საქართველო, და რომლებიც აქამდე უმეტეს ნაწილად ხელუხლებელია. ხუთწლიანმა გეგმამ შედეგად უნდა მოგვცეს საქართველოს სახალხო მეურნეობის სახის შეცვლა. ამ მხრივ საჭირო იქნება პირველ რიგში ხელი მოვკიდოთ წარმოების ისეთ დარგების განვითარებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ დღევანდელი აგრარული საქართველოს ახლო მომავალში სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად გადაქცევას.

სამშენებლო გეგმა და კაპიტალური დაბანდებანი

5. ზემოაღნიშნულის მიხედვით ჩვენი სამშენებლო გეგმა ითვალისწინებს მომავალი ხუთი წლის განმავლობაში **ექვსჯერ უფრო მეტ კაპიტალური თანხების დაბანდებას**, ვიდრე ეს იყო წარსულ ხუთწლედში. წარსულ ხუთწლედში სახალხო მეურნეობაზე დახარჯულია სულ **110 მილიონი მან.**, ხოლო მომავალ ხუთწლედში ნავარაუდევია **664.500.000 მანეთი**. ასეთ დიდ კაპიტალური თანხების დაბანდებამ შედეგად უნდა მოგვცეს საქართველოს ინდუსტრიალიზაციის შესამჩნევი ზრდა. ამ თანხების დაბანდება უნდა მოხდეს იმ მიმართულებით, რომ უდიდესი ნაწილი მოხმარდეს დარგებს, რომლებიც იძლევიან წარმოების საშუალებებს. მომავალ ხუთწლედში მრეწველობაზე დახარჯული თანხა გაიზრდება 555,9 პროც. წარსულ ხუთწლედთან შედარებით (23.847 ათასი მანეთი გასულ ხუთწლედში და 158 მილ. 140 ათასი მან. მომავალ ხუთწლედში). მძიმე მრეწველობაზე საერთო კაპიტალური დაბანდებებიდან დაიხარჯება 81,7 მილ. მანეთი ან 53,4 პროც., მსუბუქ მრეწველობაზე კი 65,6 მილ. მან. ან 42,8 პროც.

მრეწველობის განვითარება მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იქნას ენერგეტიკასთან. მრეწველობის ჩქარი ტემპით განვითარება აუცილებლად ხდის ელექტროფიკაციის საქმის მეტი ტემპით განვითარებას. ამის მიხედვით ელექტროფიკაციის დარგში, ნაცვლად 29.857.000 მან. წარსულ ხუთწლედში, გეგმა ითვალისწინებს 76.000.000 მან. მომავალ ხუთწლედში.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა ხუთწლედში უდრის 219 მილ. მანეთს (მცხოვრებთა სახსრების გარდა), გასულ ხუთწლედში კი დაიხარჯა 15,5 მილ. მანეთი.

ტრანსპორტის (რკინის გზები, გზატკეცილები, ავტოტრანსპორტი, წყლის ტრან.) კაპიტალური ხარჯები ხუთწლედში გათვალისწინებულია 130.321.000 მან.

6. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მრეწველობის კაპიტალური ხარჯებისათვის გეგმით გათვალისწინებულია დიდი თანხები, საგეგმო პერიოდის უკანასკნელ წლების დაბანდებანი არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად და მისი რაოდენობა უფრო მცირეა, ვიდრე პირველ ორ-სამ წელში. ამისათვის საჭიროა გეოლოგიურ გამოკვლევის ინტენსიური წარმოებით და სხვა საშუალებით გადიდებულ იქნეს უკანასკნელ წლების კაპიტალური ხარჯები.

მრეწველობა

7. მრეწველობაში ხუთწლიანი გეგმა უნდა ისახავდეს მაქსიმალური ტემპით იმ დარგების განვითარებას, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებასთან (მარგანეცის ამოღება და ფერო-მარგანეცის წარმოება; ტყვარჩელის და ტყიბულის ნახშირის ამოღების მაქსიმალური წარმოება და ამასთან დაკავშირებით ა.-კ. მეტალურგიულ წარმოების პრობლემის გადაჭრა; შირაქის ნავთის სამრეწველო ამოღების დაჩქარება და ნავთის სხვა ბუდობების ჩქარი ტემპით გამოკვლევათა წარმოება; სამთო მრეწველობის და ელექტროენერგიის ზრდის საფუძველზე ქიმიურ მრეწველობის ფართოდ დაყენება და სხვ.).

ამასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმ დარგების მაქსიმალურ განვითარებას, რომელნიც სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების საშუალებას იძლევიან (აბრეშუმი, ჩაი, თამბაქო, საფეიქრო, საკონსერვო, შაქარი, რძის ნაწარმოები და სხვ.).

8. მრეწველობის ყველა დარგების განვითარებაზე სატყეო მრეწველობა დიდ გავლენას ახდენს და ამასთან ერთად სატყეო საქმე საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ უდიდეს დარგს წარმოადგენს. სატყეო და ქაღალდის მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა ხუთწლედში 35 მილ. მანეთს უდრის, რაც ტყის მოვლა-გაშენების და გამოყენების სათანადოდ მოწესრიგებას მოითხოვს. ამჟამად ეს საკითხი არ არის მოგვარებული. ამიტომ მომავალ ხუთწლედში ისეთი პოლიტიკა უნდა განხორციელდეს, რომ, როგორც ტყის მოვლა-პატრონობა ერთი მხრით, ისე მისი სამრეწველო ექსპლოატაცია მეორე მხრით იქნას მოწესრიგებული, რაციონალურად მოწყობილი, რისთვისაც ახლო მომავალში უნდა იქნას მიღებული სხვადასხვა ღონისძიებანი.

9. გადასინჯული უნდა იქნას ხუთწლიან გეგმაში ადგილობრივი სამრეწველო ნედლეულის გამოყენების საკითხი იმ მიმართულებით, რომ ამ გამოყენების პროცენტი რაც შეიძლება გადიდდეს. გეგმით გათვალისწინებული ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავების პროცენტები: თამბაქოს—18,5 პროც., მატყლის—57,7 პროც., ბამბის—5,1 პროც., ხილეულობის—2 პროც.-დან 14 პროც.-მდე, სპირტეულობის პროდუქციის 20—30 პროც.-მდე და რძის პროდუქციის—10 პროც.-დან 25 პროც.-მდე, დამაკმაყოფილებელი არ არის და ამ გეგმის განხორციელება არ მოგვცემს შედეგად ნედლეულის ადგილობრივად დამუშავების მრეწველობის საკმარის განვითარებას. ხუთწლიანი გეგმა კი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამ მიზნის მაქსიმალურად განხორციელებას.

10. ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია საერთოდ იზრდება (52.981 ათ. მან. 27-28 წ. 266.261 ათას მანეთამდე 32-33 წელში) 403 პროც., აქედან მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია იზრდება 395 პროც., მძიმე მრეწველობის—414,4 პროც. საერთოდ ეს ზრდა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ გეგმა არ ხსურავს მთლიანად პროდუქციის ზრდის ყველა შესაძლებლობას და ამიტომ საგეგმო პერიოდის უკანასკნელ წლებში პროდუქციის ზრდის შედარებითი ტემპი არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. დამატებით, ახალ სამრეწველო ობიექტების გამონახვის გარდა, უკანასკნელ წლებში პროდუქციის მეტი ზრდისათვის უნდა გამოყენებული იქნას ისეთი საშუალებანი, როგორც არსებულ საწარმოთა მაქსიმალური დატვირთვა ორ-სამცვლიანი და განუწყვეტელი კვირის მუშაობის შემოღებით.

11. სახელმწიფო მრეწველობის გეგმაში გათვალისწინებული ზრდის ტემპი უზრუნველჰყოფს ცენზიან მრეწველობიდან კერძო სექტორის სრულიად განდევნას. თუ 27-28 წელში კერძო სექტორს ცენზიან მრეწველობაში ეჭირა 1,4 პროც., ხუთწლედის ბოლოს-კი ის სრულიად კარგავს თავის პოზიციას.

12. ხუთწლედი უზრუნველჰყოფს საქართველოს მრეწველობის უფრო ჩქარ ტემპით ზრდას, ვიდრე მთელ საბჭოთა კავშირში (საქ. მრეწველობის პროდუქცია იზრდება 403 პროც., მთელ საბჭოთა კავშირში-კი ეს ზრდა შეადგენს 167 პროც.) და ამავე დროს ითვალისწინებს მრეწველობის განვითარების კიდევ უფრო სწრაფ ტემპს საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში. ავტონომიური რესპუბლიკების მრეწველობის უფრო ჩქარი ზრდა გვაძლევს საქართველოს მთელ ცენზიანი მრეწველობის პროდუქციაში მათი ხვედრითი წონის გადიდებას; აფხაზეთში 1,9 პროცენტიდან 3,7 პროც.-მდე, აჭარისტანში—2,3 პროც.-დან 3,2 პროც.-მდე, სამხრეთ-ოსეთში 0,1 პროც.-დან 0,6 პროც-მდე. აქ მიღებული არ არის მხედველობაში ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე საკავშირო მნიშვნელობის წარმოებანი, როგორც ტყვარჩელი აფხაზეთში და ნავთის გადამუშავების ქარხნები აჭარისტანში ,რაც კიდევ უფრო სწევს მათ ხვედრითი წონა. დამატებით, გეგმაში გათვალისწინებულია, ავტონომიურ ერთეულებში კიდევ უნდა გამოინახოს სხვა დარგები, რომელთაც აქვთ განვითარების პერსპექტივები.

13. ადგილობრივ მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა ხუთი წლის განმავლობაში ნავარაუდევია 664,9 პროც. (1927-28 წ. 7.478 ათას მან. და 32-33 წელ. 57.966 ათასი მან.), რაც ფრიად მნიშვნელოვან ზრდას წარმოადგენს, მაგრამ ამასთან ერთად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში ადგილობრივი მრეწველობის ჩამორჩენილობა და კიდევ ის, რომ მას საგრძნობი როლი შეუძლია ითამაშოს მრეწველობის საერთო ზრდაში, რისთვის საჭიროდ უნდა ჩაითვალოს მისი უფრო მეტი განვითარება. ვინაიდან ადგილობრივი მრეწველობის ხუთწლიანი გეგმები არა საკმაოდ არის დამუშავებული, მოკლე დროში უნდა მოხდეს მათი სათანადოდ ჩამოყალიბება.

ხუთწლიანი გეგმით განზრახულია 88,5 მილ. მან. კომუნალურ მეურნეობაში დაბანდება. კერძოდ თბილისის კომუნალურ მეურნეობაში დაიხარჯება ხუთი წლის განმავლობაში 22,5 მილ. მანეთი. კომუნალურ მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალაქის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. საქართველოს ქალაქთა ეხლანდელი მდგომარეობა ფრიად არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ, არა თუ უნდა შესრულდეს გეგმით ნავარაუდევი ხარჯები (წყალსადენები, კანალიზაცია, მასიური მიმოსვლის საშუალებანი და სხვ.), არამედ საჭიროა მათი გადაშინჯვა - გადიდების მხრივ.

14. მთელი წვრილი შინა-მრეწველობის საერთო საქონლის ბრუნვა 57,8 მილ. მანეთიდან (27-28 წ.) გაიზრდება 72,4 მილ. მანეთამდე. აქედან კოოპერაციაში გაერთიანებული წვრილ მრეწველთა საქონლის ბრუნვა გაიზრდება 12,8 მილ. მანეთიდან 71,3 მილ. მანეთამდე, ე. ი. უკანასკნელის ხვედრითი წონა 21,9 პროც.-დან აიწევს 98,5 პროც.-მდე. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხთა მეურნეობის რაოდენობა უნდა გაიზარდოს, საკრედიტო ამხანაგობების ხაზით 30,2 პროც.-დან 51,9 პროც.-მდე და სპეციალურ ამხანაგობების ხაზით, 6,9 პროც.-დან 27-28 წ. 22,9 პროც.-მდე, 1932-33 წ. წვრილი შინა-მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა არ შეიძლება ჩაითვალოს სათანადოდ დამუშავებულად, განსაკუთრებით კი ამ მრეწველობის ნედლეულით მომარაგების მხრივ. საჭიროა ამ გეგმის ყოველმხრივ დამუშავება.

ელექტროფიკაცია

15. პირველ რიგში ხუთწლიანი გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მრეწველობის შეიარაღებას ელექტროენერგიით. ელექტრო-შეიარაღება მრეწველობისა თვითეულ მუშაზე მაქსიმალურად უნდა იქნას გადიდებული. გეგმა გადასინჯულ უნდა იქნას იმ მხრივ, რომ უზრუნველყოფილი იქნას ელექტროენერგიით ფერო-მარგანეცის წარმოება და ქიმიური მრეწველობის განვითარება. ამისათვის საჭიროა ახალი ჰიდროცენტრალის ამავე ხუთწლედში მოწყობა და ზაჰესის და რიონჰესის სრული სიმძლავრის დამთავრება. რიონჰესის დამთავრების და ახალი ჰიდრო-ცენტრალის მოწყობის გარდა, უნდა დაწყებულ და დამთავრებულ იქნას აგრეთვე ახალი სადგურების: აჭარისტანის, გუმისტანის, გალიზგასი, ალაზნის, ბორჯომის, აბასთუმანის და სხვ.

16. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის ელექტრო-შეიარაღებასაც. გათვალისწინებული ზრდა სოფლის მეურნეობაში თითო სულზე 0,024 კილ. საათიდან 9,89 კილ. საათამდე უნდა ჩაითვალოს საკმაო ზრდად, მაგრამ აქ სასურველია კიდევ უფრო მეტი ელექტრო-შეიარაღება.

ამასთან ერთად, ამავე ხუთწლედში უნდა იქნეს მოგვარებული ელექტრო-ენერგიის ყოფა-ცხოვრების დარგში გამოყენების საკითხი (გათბობა, შინაური საჭიროებათა დაკმაყოფილება და სხვ.).

მუშათა კლასის ზრდა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება

17. მრეწველობის ზრდასთან ერთად მატულობს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი, გეგმით წარმოების გაფართოებასთან შეფარდებულია მუშა-ხელის საგრძნობი რიცხვის ჩაბმა. მარტო სამრეწველო დარგის წარმოებაში საქართველოში 27-28 წელში ითვლებოდა 22.659 პირი, გეგმით 32-33 წლისათვის ნავარაუდევია 43.051, ე. ი. 90 პროც. ზრდა. უფრო ნაკლებად, მაგრამ საგრძნობლად იზრდება მშენებლობაში ჩაბმულთა რიცხვი (27-28 წელში 14.034, ხუთი წლის ბოლოში კი 21.606). აღსანიშნავია, რომ დაქირავებულ პირთა რიცხვის ხუთი წლის განმავლობაში 30 პროც. ზრდის დროს სამრეწველო ჯგუფი იძლევა 90 პროც. ზრდას.

მუშათა რიცხვის ეს ზრდა საგრძნობლად შეამცირებს უმუშევრობას (დაახლოვებით უმუშევრობა შემცირდება 30 პროც.). მაგრამ ეს შემცირება არ იქნება საკმარისი და საჭიროა გეგმაში გათვალისწინებულ იქნას მთელი რიგი ღონისძიებები უმუშევრობის მეტი შემცირებისათვის.

18. მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად უნდა ჩაითვალოს მისი უზრუნველყოფა ტექნიკური ძალებით, სპეციალისტებით და კვალიფიციური მუშახელით, მრეწველობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება არა თუ ახალი მუშა-ხელით მოითხოვს კვალიფიციურ მუშების აღზრდას. გეგმით გათვალისწინებული კვალიფიციური მუშა-ხელის განსაზღვრული რაოდენობა საქარხნო-საფაბრიკო და პროფტექნიკური სკოლების, ინდივიდუალური მოწაფეობის და გადამზადების სხვა საშუალებით არაა დამაკმაყოფილებელი. გეგმაში უნდა შეტანილ იქნეს დამატებითი ხარჯები მუშა-ხელის მოსამზადებლად. მრეწველობამ მეტი თანხები უნდა გაიღოს ამ საქმისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკურ ძალების მომზადებას. გეგმაში შეტანილი საჭირო ტექნიკურ ძალთა რიცხვი (20 მუშაზე ერთი ტექნიკური მუშაკი) უნდა ჩაითვალოს მინიმალურ მტკიცე ნორმად და ყოველგვარი ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული ამ ნორმის მისაღწევად.

19. მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა შრომის რეალური ხელფასის ზრდა გეგმით აყვანილი უნდა იქნას 71 პროც.-მდე. ეს ზრდა უნდა მოხდეს უშუალოდ ნომინალურ ხელფასის გადიდებით და აგრეთვე ფართო სამომხმარებლო საგნებზე ფასების დაწევით. ხელფასის ამ რაოდენობის ზრდის უზრუნველსაყოფად გეგმაში გათვალისწინებული შრომის ნაყოფიერების ზრდა (93 პროც.) უნდა აყვანილ იქნას საშუალოდ 110 პროც.-მდე.

20. მრეწველობის პროდუქციის მოხმარების მოსახლეობის თვითეულ სულზე 455,7 პროც. გეგმით გათვალისწინებული ზრდა უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან მიღწევად, რაც ხელს შეუწყობს საერთოდ მოსახლეობის და კერძოთ მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

21. მუშათა ყოფა-ცხოვრების და კულტურული დონის აწევის საკითხში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბინების მშენებლობას. ხუთი წლის განმავლობაში ნავარაუდევია მრეწველობის ხაზით ბინების მშენებლობაზე 16.922.500 მან. დახარჯვა და საბინაო კოოპერაციის ხაზით 52.200.000 მან.

ამ ხარჯებით გათვალისწინებული საცხოვრებელი სივრცის შემცირება მოსახლეობის თვითეულ სულზე 5,49 კვ. მეტრიდან 5,21 კვ. მეტრამდე ყოვლად მიუღებელია. ხუთი წლის განმავლობაში უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ჩვენი ქალაქები გაუთანასწორდენ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ქალაქების მდგომარეობას (7,5 კვ. მეტრ.). ამიტომ გეგმაში გათვალისწინებული ზევით ნაჩვენები თანხის გამოყენება უნდა მოხდეს უფრო ეფექტიურად და საბინაო მშენებლობის გაიაფების საშუალებით ნავარაუდევ ასაშენებელ ბინათა რიცხვი უნდა გადიდდეს.

თვისებრივი მაჩვენებლების ზრდა და გეგმის შესრულების უზრუნველყოფა

22. კაპიტალური მშენებლობის გეგმის მთლიანად შესრულება ბევრად არის დაკავშირებული მრეწველობის განვითარების თვისებრივ მაჩვენებლების ზრდასთან,—კერძოთ-კი ნაწარმოების თვითღირებულების შემცირებასთან. ვინაიდან აქამდის საქართველოს მრეწველობაში თვითღირებულება შედარებით მაღლა იდგა და მთელი რიგი წარმოებები ამის გამო დეფიციტიანი იყო, საქართველოს ხუთწლიანი გეგმის ერთ მთავარ საკითხად უნდა ჩაითვალოს თვითღირებულების საგრძნობი შემცირება. გეგმით გათვალისწინებული 30 პროც. შემცირების მაგივრად უნდა იქნას დასახული 35 პროც. შემცირება. ცალკე სამრეწველო დარგებში და განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობაში შემცირება ამაზე მეტი პროცენტით უნდა იქნეს ნავარაუდევი.

მრეწველობის დარგში საბითუმო ფასების შემცირება მძიმე წარმოებათა პროდუქციაზე 20 პროც. და მსუბუქის—21,5 პროც. მიღებულ იქნას ცოტაოდენი ცვლილებით. ცალკე დარგებში, სადაც ამჟამად შედარებით მაღალი ფასებია, უფრო მეტი შემცირება უნდა იქნას დასახული, განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობაში.

23. ნაწარმოების თვითღირებულების შემცირების საკითხთან ერთად ფრიად მნიშვნელოვან მომენტად უნდა იქნას ცნობილი მშენებლობის გაიაფება. რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის მშენებლობაზე ხარჯვის დროს მშენებლობის გაიაფება ძლიერ დიდ ეფექტს მოგვცემს. გეგმით გათვალისწინებული მშენებლობის ხუთწლედში 47 პროც. გაიაფება არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად. გაიაფების ნორმად უნდა იქნას აღებული საკავშირო გეგმით მიღებული ნორმა (50 პროც.), რისი შესრულებაც რეალურად შესაძლებელია. ამასთან დაკავშირებით უნდა მიექცეს ყურადღება საშენი მასალის თვითღირებულების და გასაცემ ფასების მეტი რაოდენობით დაკლებას, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმაში.

მშენებლობის გაიაფებისათვის და მის ნორმალურ ნიადაგზე დაყენების მიზნით აუცილებლად იქნას ცნობილი მძლავრი რესპუბლიკანური სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციის მოწყობა.

24. გეგმით გათვალისწინებული დიდი სამშენებლო პროგრამა თხოულობს საშენი მასალის მრეწველობის ისეთი ტემპით განვითარებას, რომ მშენებლობა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნას. შედგენილი გეგმა ამ მიზნის განხორციელებას არა საკმარისად ითვალისწინებს. ამიტომ საჭიროა მოხდეს გეგმის ამ ნაწილის გადათვალიერება და საშენი მასალის მრეწველობის მეტი ტემპით განვითარება. კერძოდ კირის მრეწველობა იმ დონემდე უნდა იქნას აყვანილი, რომ ადგილობრივი მოთხოვნილება სავსებით დაკმაყოფილდეს და არ იქნას კირის დეფიციტი, რომლის რაოდენობა გათვალისწინებულია 46 ათას ტონამდე; აგრეთვე უნდა გადათვალიერდეს გეგმა იმ მხრივ, რომ მოთხოვნილება აგურზე იქნეს დაკმაყოფილებული ადგილობრივი მრეწველობის მეშვეობით და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი დეფიციტი 89 მილიონი ცალი აგურის რაოდენობით. საგრძნობლად უნდა განვითარდეს სახურავი მასალის დამზადება (კრამიტი და ფილაქები).

სოფლის მეურნეობის განვითარება

25. ხუთწლიანი გეგმით სოფლის მეურნეობაში საგრძნობი თანხების დაბანდებით და მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით შესაძლებელი ხდება სასოფლო მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დაჩქარება, ტერიტორიის მოწყობა (მელიორაცია, მიწადმოწყობა, გადასახლება, ჩასახლება და სხვ.), ულარიბესი გლეხობის მუშა-საქონლით უზრუნველყოფა, მესაქონლეობის განვითარება, მინერალური სასუქის გამოყენება არა მარტო ტექნიკურ კულტურის დარგში, არამედ პურეულით დასათესი მიწების გასანოყიერებლადაც; თესლთა ცვლის განვითარება და სასელექციო თესლი მასალის გასავრცელებლად სათანადო ღონისძიებათა მიღება, სხვადასხვა ზოოტექნიკური და აგროკულტურული ღონისძიებათა განხორციელება.

26. ხუთწლიან გეგმაში საკითხი მოსავლიანობის გადიდების შესახებ გადასინჯულ უნდა იქნას. ეს უნდა მოხდეს განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენში მოსავლიანობა ძლიერ დაბლა დგას და საჭიროებს რადიკალურ ცვლილებებს. პურეული კულტურის მოსავლიანობის ზრდა 17—18 პროცენტით საკმარისი არ არის. საჭიროა საქართველოსათვის საშუალო ნორმა გამოყვანილ იქნას არა ნაკლებ 35 პროცენტისა. უნდა მიღწეულ იქნას ნათესი მიწების ფართობის ზრდა 25 პროცენტამდე.

27. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით სდგას მესაქონლეობის განვითარების საკითხი. რაოდენობა იმ გლეხებისა, რომელთაც არ ჰყავთ მუშა-საქონელი საგრძნობია. ამიტომ მუშა-საქონლის გადიდება 10 პროცენტით დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. საჭიროა გეგმა სათანადოდ გადასინჯულ იქნეს. სასოფლო-სამეურნეო იარაღის მხრივაც ფრიად არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არის. საგლეხო მეურნეობათა საერთო რიცხვის თითქმის 40 პროცენტს არა აქვს იარაღი, რაც მეტად აფერხებს მუშაობას. ხუთწლიან გეგმაში შეტანილ იქნეს ცვლილებები იმ ანგარიშით, რომ ასეთი მდგომარეობა თავიდან იქნას აცილებული.

საქართველოს პირობებში მეძროხეობას აქვს დიდი მომავალი (რძე, ყველი, ერბო) და ამიტომ მას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

28. გათვალისწინებული ზრდა მეფრინველეობისა უნდა ჩაითვალოს არა დამაკმაყოფილებლად. მეფრინველეობას ჩვენში აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა და ამ დარგის განვითარებას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინემ ეს გათვალისწინებულია ხუთწლედით. აქ საჭიროა სოფლის მოსახლეობის შორის მუშაობის ჩატარება, რომ გლეხობა დაინტერესებულ იქნას მეფრინველეობის განვითარების საქმით.

29. ხუთწლიანი გეგმის მთავარი მიზანია საგლეხო მეურნეობის დაქუცმაცებისა და დანაწილების შეჩერება და იმავე დროს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დაჩქარება. სხვადასხვა ღონისძიებით შეჩერებულ უნდა იქნას გლეხის მეურნეობათა დაყოფა, დაწვრილმანება. საგლეხო მეურნეობათა 15—20 პროცენტით გაერთიანება კოლექტიურ მეურნეობებში ჩვენს პირობებში ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, რადგანაც საქართველო ისეთი წვრილი მეურნეობის ქვეყანაა, რომ განსაკუთრებით საჭიროა კოლექტიური მეურნეობების განვითარების ტემპი დაჩქარებულ იქნას მეტი შედეგების მისაღწევად.

30. მიწადმოწყობა უნდა ჩაითვალოს იმ აუცილებელ პირობათ, რომლის მეშვეობით სოფლის მეურნეობა უნდა დაადგეს ახალ გზას. ამიტომ მიწადმოწყობა დამთავრებულ უნდა იქნას ამ ხუთწლედის განმავლობაში. მიწადმოწყობის ტემპის გაძლიერება განსაკუთრებით საჭიროა საქართველოს პირობებში, რადგანაც აქ არსებობს მეტის-მეტი ხარვეზობა და მიწების შორის მდებარეობა.

31. ტექნიკურ კულტურის განვითარებასთან ერთად ჩვენი მნიშვნელოვანი ამოცანა პურეულის კულტურის განვითარება უნდა იყოს. ხუთწლედის განმავლობაში პურეულ კულტურების განვითარებას, მათი სივრცის ზრდას და მოსავლიანობის გადიდებას საჭიროა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, მაგრამ ამან არ უნდა იქონიოს გავლენა სპეციალურ და ტექნიკურ კულტურების (მებაღეობა, მევენახეობა, ჩაი, ბამბა, აბრეშუმი, თამბაქო, კანაფი, მანდარინი, სამკურნალო მცენარეები და სხვადასხვა) განვითარებაზე. პირიქით, ყველა ამ კულტურების გაძლიერებული ზრდა უნდა იდგეს ჩვენი ყურადღების ცენტრში.

32. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საქონლიანობა გაიზრდება 101 პროცენტით 27—28 წელთან შედარებით (78.908.100 მანეთიდან—158.689.000 მანეთამდე); თუ 27—28 წელში ბაზარზე გამოდიოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის 30,8 პროც., 1932—33 წელს ეს პროცენტი აიწევს 41,8 პროცენტამდე.

სოფლის მეურნეობის საქონლიანობა იზრდება უმთავრესად ტექნიკურ და სპეციალურ კულტურათა ანგარიშზე, ხორბლეულის ხაზით კი ზრდა სუსტია.

გეგმით ნავარაუდევი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სასაქონლო ნაწილის 30,8-დან 41,8 პროცენტამდე აწევა უნდა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად, ვინაიდან ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სასოფლო მეურნეობაში საგრძნობი მექანიზაცია. სათესი ფართობის გადიდება, მოსავლიანობის ზრდა 35 პროცენტამდე სხვადასხვა აგროკულტურული და აგროტექნიკურ ღონისძიებებით. გეგმა გადათვალიერებულ უნდა იქნას იმ მხრით, რომ მივიღოთ ხორბლეულის საქონლიანობის უფრო მეტი ზრდა.

წყალთა მეურნეობა

33. სასოფლო მეურნეობის განვითარებაში დიდი როლი შეუძლია ითამაშოს ჩვენში წყალთა მეურნეობის საქმის დაყენებას. ხუთწლიან გეგმით ნავარაუდევია მელიორატიული მუშაობის წარმოება 230 ათას ჰექტარის სივრცეზე (ალაზანი, ტირიფონი, სამგორი, მაშველი, ყარაიაზი, შირაქი, ბორჩალო, ელდარი და კოლხიდის დაშრობა). ამ საქმისათვის უნდა დაიხარჯოს 38.400.000 მანეთი.

ყურადღება უნდა მიექცეს ამ სამუშაოთა შესრულების ტემპის დაჩქარებას, რათა შემდეგ ხუთწლედში შესაძლებელი გახდეს ახალი სამუშაოთა დაწყება.

კულტურული მშენებლობა

34. კულტურულ მშენებლობას ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული აქვს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კულტურის ზრდა, რაც უზრუნველჰყოფს მუშების და გლეხების ფართო მასების სოციალიზმის პრაქტიკულ მშენებლობაში ჩაბმას. ამ მიზნით გეგმით განზრახულია საყოველთაო-სავალდებულო სწავლების სკოლების ქსელის გაფართოება, წერა-კითხვის უცოდინართა ლიკპუნქტების რიცხვის გადიდება და მასიური პროფტექნიკური მომზადება.

ხუთი წლის განმავლობაში კულტგანათლების დარგში დასახარჯავ თანხების რაოდენობა უდრის 221.952 ათას მანეთს. წინა ხუთწლედში—კი დაიხარჯა 51 მილ. მან. (230 პროც.-ის ზრდა).

ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ყველა სახისა და საფეხურის სკოლების მოსწავლეთა ზრდა: (საბავშო ბაღების 134,3 პროცენტით, 1-ლი საფ. სკოლების მოსწ.—38,7 პროც., ლიკპუნქტების—190,2 პროც., გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის—216,6 პროც., ქოხ-სამკითხველოების—56 პროც. და სხვა).

ავტონომიურ რესპუბლიკებში და ეროვნებათა უმცირესობის მაზრებში ზრდის ტემპი საშუალოდ უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ტემპი ეროვნებათა უმცირესობის მაზრებში ხუთი წლის განმავლობაში იზრდება 40 პროცენტით, საქართველოში—კი 21 პროცენტით. კულტურულ-განმანათლებელ ბიუჯეტის ზრდაც მეტი ტემპით მიმდინარეობს. საქართველოში, ავტონომიების ჩაუთვლელად, იზრდება ბიუჯეტის ეს ნაწილი 230 პროცენტით, აფხაზეთში—კი 462 პროც.

15—39 წლის ასაკის მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩასატარებლად ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული საზოგადოებრივი და ინდივიდუალური თვითმოქმედება (ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციები, კოოპერაცია, პროფესიონალური კავშირები და სხვადასხვა დაწესებულებანი).

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ყველა სახისა და საფეხურის სკოლებში გაატაროს სწორი და ურყევი კლასიური ხაზი და ამით პირველ რიგში აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება მუშათა და ღარიბ-ღატაკთა მასებს. ამ მხრივ გეგმაში ღარიბ-ღატაკთა ფონდის ხარჯები გათვალისწინებულია ათ მილიონამდე.

გეგმა განსაზღვრავს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის დროს საჭირო კვალიფიცურ მუშათა რიცხვს, რისთვისაც ითვალისწინებს მუშათა გადასამზადებელ კურსებს. მომზადებული იქნება დაბალ პროფტექნიკურ სკოლების საშუალებით 6.591, კურსების საშუალებით—8.917 მუშა, სულ 15.508, ხოლო გადამზადებული იქნება მოკლევადიან კურსების საშუალებით 5 წლის განმავლობაში—30.876 მუშა.

უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების კვალიფიციური მუშაკებით დაკმაყოფილების საქმე არ არის სათანადოთ დამაკმაყოფილებელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პედაგოგიური ძალების ნაკლებობა, აგრონომებისა და ექიმების, რაიც გამოწვეულია სკოლის ქსელისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიური ზრდით. ეს ზრდა დიდ მოთხოვნილებას აყენებს სათანადო სპეციალისტებზე. გეგმა ითვალისწინებს სკოლების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას საჭირო სპეციალისტებით. გეგმის მიხედვით მომზადებული იქნება 708 ინჟინერი, ხოლო სოფლის მეურნეობისათვის კი—600 აგრონომი, რაც უნდა ჩაითვალოს არასაკმარისად.

გამომცემლობის ზრდა გათვალისწინებულია 168 პროცენტით. საერთოდ, ეს ზრდა ფრიად მცირედ უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით—კი პროლეტარული და გლეხთა ლიტერატურის. გეგმა ამ მხრივ უნდა იქნას გადასინჯული.

სახალხო ჯანმრთელობა

35. სახალხო ჯანმრთელობის დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სანიტარულ-პროფილაქტიურ ღონისძიებებს და სოციალ-ავადმყოფობასთან ბრძოლის გაძლიერებას და მოსახლეობის სამკურნალო დახმარების გაფართოებას (ახალ საავადმყოფოთა მშენებლობისათვის ნავარაუდევია 3.800.000 მანეთი, საწოლების რიცხვი დიდდება 3.588-დან 5.368-მდე, ეწყობა სპეციალური ინსტიტუტები მალარიის, ჭლექის და სხვ. ავადმყოფობასთან საბრძოლველად, ფართოვდება ბავშვთა და დედათა დაცვის საქმე, ხდება კურორტების კეთილმოწყობის გაუმჯობესება, ახალი სანატორიუმების და პანსიონატების ორგანიზაცია და სხვ.).

მიუხედავად გეგმაში დასახულ ჯანმრთელობის საქმის ასეთი გაფართოებისა, ის არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად. კერძოდ, არ არის საკმარისი საწოლების რიცხვის გადიდება, საექიმო ქსელის მოწყობა სოფლად, სპეციალური ავადმყოფობასთან საბრძოლველად სათანადო დაწესებულების მოწყობა.

ბიუჯეტი

36. ხუთწლიანი გეგმის საერთო ბიუჯეტის (სახელმწიფოსი და ადგილობრივის) ზრდა მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს. თუ წარსულ ხუთწლედში ბიუჯეტის საერთო რაოდენობა 216.434.000 მანეთს უდრიდა. მომავალ ხუთწლედში ის ნავარაუდევია 682861000 მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტის მიმართულების მთავარი დამახასიათებელი ის არის, რომ სოციალ-კულტურის დარგის ხარჯები შეადგენს 249 მილ. მანეთს და მრეწველობის 182 მილ. მანეთზე მეტს.

გეგმაში გათვალისწინებული ადგილობრივ ბიუჯეტის ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად (ეს ზრდა, სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდასთან შედარებით, საგრძნობლად ნაკლებია). მისი მეტი ტემპით ზრდისათვის უნდა გამოინახოს ახალი ობიექტები.

უნდა დამუშავდეს დამატებით მთლიანი ფინანსიური გეგმა, რათა იყოს გარკვეულად ჩამოყალიბებული სახალხო მეურნეობის ყველა ცალკე ნაწილების ურთიერთშორის ფინანსიური დამოკიდებულება. საჭიროა აგრეთვე დამატებით იქნას შესწავლილი სახალხო მეურნეობის მთელი შემოსავლის საკითხი.

ტრანსპორტი

37. ხუთი წლის განმავლობაში ტრანსპორტის განვითარებისათვის ნავარაუდევი ხარჯები 130.321.000 მან. რაოდენობით (აქედან: რკინის გზებზე 60.400.000 მან., გზატკეცილებზე—44.600.000 მან., ავტოტრანსპორტზე—5.250.000 მან., წყლის ტრანსპ.—20 მილ. მან.) მთლიანად ვერ აკმაყოფილებს ამ დარგის მოთხოვნილებას, რისთვისაც გეგმა უნდა იქნას გადასინჯული. უნდა გაძლიერდეს დაწყებული გზატკეცილების შეკეთება, აღდგენილ იქნას დახურული გზები და ახალი გზების გაყვანით გაუმჯობესებულ იქნას ჩამორჩენილ რაიონების მდგომარეობა. გზატკეცილების კაპიტალური დაბანდება 44.600.000 მან. გამოყენებულ უნდა იქნას ახალი გზების გასაყვანად, კერძოდ ისეთ რაიონებში, როგორიც არის: ახალციხე, ახალქალაქი, ბორჩალოს, კახეთის მაზრის ზოგიერთი რაიონები, ლეჩხუმის მაზრა და სხვ.

რკინის გზების ახალ მშენებლობაში (შავი ზღვის, გორი - ცხინვალი, ტყვარჩელი-ოჩემჩირი, თელავი-ახმეტა, ოზურგეთ-ჩოხატაური) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შავი ზღვის რკინის გზის ჩქარი ტემპით მშენებლობას ტყვარჩელის ქვანახშირის ექსპლოატაციასთან დაკავშირებით.

38. ნავთსადგურის მშენებლობის დარგში საჭიროა გეგმა გადათვალიერებულ იქნას იმ მხრით, რომ კაპიტალურმა დაბანდებამ გამოიღოს ისეთი ეფექტი, რომ თავიდან აცილებულ იქნას ნავთსადგურების დეფიციტიანობა. საჭიროა ეხლავე დამუშავდეს ღონისძიებანი ტვირთთა ბრუნვის უფრო მეტი ზრდისათვის. გარდა ამისა, ამოცანად უნდა დავისახოთ ნაოსნობის (რიონი, მტკვარი და სხვ.) უფრო ფართო განვითარება, ვინემ ეს გათვალისწინებულია გეგმით.

ვაჭრობა

39. ვაჭრობის ბრუნვის განვითარება გეგმით ნავარაუდევია 509.287 ათ. მან. 27—28 წელ. 814.800 ათას მან. 32—33 წელ. (60 პროც.). ცალკე სექტორების განვითარება დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. კერძო სექტორის როლი საგრძნობლად მცირდება საცალო ვაჭრობაში. ხუთი წლის ბოლოში მისი ხვედრითი წონა უდრის 7,8 პროც., მაშინ, როცა 27—28 წელში ის შეადგენდა 40 პროც. საბითუმო ვაჭრობიდან კერძო სექტორი სრულიად იდევნება. ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციის ხვედრითი წონის გადიდებას საერთო სავაჭრო ბრუნვაში, მისი ხვედრითი წონის ზრდა საბითუმო ხაზით უნდა იყოს უფრო მეტი.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის შედეგები

40. ხუთწლედის განხორციელების შედეგად, მრეწველობის როლი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, სრულებით იცვლება, რაც საქართველოს სახალხო მეურნეობას სხვა სახეს აძლევს.

27-28 წელში სოფლის მეურნეობის და მრეწველობის პროდუქცია უდრიდა 378.700.000 მან. აქედან სოფლის მეურნეობის პროდუქცია — 268.000.000 მან. (ხვედრითი წონა 70,8 პროც.) მრეწველობის — 110.700.000 მან. (ხვედრითი წონა 29,2 პროც.). ხუთწლედის ბოლოში სოფლის მეურნეობის პროდუქცია უდრის 384.100.000 მან., მრეწველობის 338.700.000 მან. მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში 29,2 პროცენტიდან იზრდება 46,9 პროცენტამდე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს აგრარულ ქვეყნიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაქცევაში გადადგმულია გადამჭრელი ნაბიჯი.

41. საერთოდ სახალხო მეურნეობის პროდუქციაში, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა იზრდება 18,6 პროცენტიდან 54,1 პროცენტამდე. ამით სოციალისტური სექტორი მთელ სახალხო მეურნეობაში ხდება ხელმძღვანელი, რაც უნდა ჩაითვალოს უდიდეს მიღწევად.

42. ხუთწლედის გეგმის განხორციელება, სოფლის მეურნეობის ხაზით მოგვცემს განსაზოგადოებული სექტორის (კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობები) ისეთ ზრდას, როდესაც სოციალისტური სექტორის პროდუქციის ხვედრითი წონა გაიზრდება სოფლის საერთო პროდუქციაში 2 პროცენტიდან (27—28 წელი) 16,2 პროცენტამდე (32—33 წელი). აქედან კოლმეურნეობამ უნდა მოგვცეს 13,3 პროც. სოფლის მეურნეობის მთელი განსაზოგადოებული სექტორი. 32—33 წელში მოგვცემს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის 18,9 პროც. წინააღმდეგ 1,5 პროცენტისა 27—28 წლ. (ამაში არ შედის ჩაის, მევენახეობის, მებაღეობის და მემინდვრეობის პროდუქცია).

სოფლის მეურნეობისათვის გეგმით ნავარაუდევი 219 მილ. მან. კაპიტალურ ხარჯებიდან განსაზოგადოებულ სექტორზე დაიხარჯება 114 მილიონი მანეთი, ე. ი. 52 პროც. (საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, ტყის მეურნეობა, სოფლის ელექტროფიკაცია და სხვ.).

აუცილებელი პირობები ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად

43. ხუთწლიანი გეგმის განხორციელების გარანტია არის ყველა მშრომელთა და განსაკუთრებით მუშათა კლასის აქტივობის ზრდა, შრომის დისციპლინის განმტკიცება და მუშების ფართო მასის მიერ უფრო მეტი წარმოებითი უნარიანობის და შემოქმედების ინიციატივის გამოჩენა.

44. ხუთწლიანი გეგმის განხორციელება მოითხოვს სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივ განვითარებას, ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან წარმატებით ბრძოლას და სისტემატიური ხასიათის ფართო კამპანიის ჩატარებას მუშათა და გლეხთა მასებში ხუთწლიანი გეგმის განხორციელების მნიშვნელობის შესახებ. უნდა მოხდეს მუშათა ყველა შემოქმედებითი ძალების მობილიზაცია ხუთწლიან გეგმის შესრულების ირგვლივ შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, თვითღირებულების შესამცირებლად და საწარმოო გეგმების სავსებით შესასრულებლად, გამოყენებულ უნდა იქნას მუშათა მასების ინიციატივით დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება. ის უნდა გადაიქცეს ჩვენი მშენებლობის და განვითარების ერთ მამოძრავებელ ძალად.

ამასთან ერთად უნდა გარდაიქმნას ჩვენი სამეურნეო ორგანოების მუშაობის მეთოდები და მათი მოქმედების ტემპი უნდა შეეფარდდეს ხუთწლიან გეგმით გათვალისწინებულ ზრდის ტემპს. ყოველდღიური ჩვენი მუშაობა უნდა მიმართული იყოს გეგმით დასახული დიადი სამუშაოთა გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

45. ყველაზე მთავარი და ყველაზე უფრო აუცილებელი პირობა ხუთწლიან გეგმის განსახორციელებლად არის მუშათა კლასის ავანგარდის — **კომუნისტური პარტიის შინაგან მთლიანობის განმტკიცება, ყოველგვარი გადახრებისა და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლა და დაძლევა ამ გადახრებისა.** მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი იმ უდიდეს სამუშაოთა წარმატებით განხორციელება, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, რომელიც ამიერიდან ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მეორე პროგრამას შეადგენს.

მანქანა - ტრაქტორების სადგურები და მათი მნიშვნელობა

(საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-6 ყრილობისათვის)

ამ რამოდენიმე თვის წინად პირველად გამოვიდა აგრონომ მარკევიჩის წიგნი მანქანა - ტრაქტორების სადგურების შესახებ, რომელიც ეხლა უკვე მესამე გამოცემად დაიბეჭდა. ამ წიგნს თავიდანვე მეტად კარგი შეფასება მისცა საკავშირო ეკონომიურ პრესამ. საქმე იმშია, რომ მარკევიჩმა თავის შრომაში დასვა და ჩინებულად გადასჭრა დღევანდელი პერიოდისათვის სოფლად მსხვილი კოლექტიური მეურნეობის შექმნის პრობლემა. მარკევიჩი არ არის ფანტაზიორი. ის პრაქტიკული მომუშავეა და თავის გეგმებში საკუთარ, მეტად საინტერესო გამოცდილებაზე აშენებს.

მარკევიჩის შრომამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა აგრონომების ფართო წრეებზედაც. ისინი, რომლებიც გუშინ ებრძოდენ მსხვილი მეურნეობის იდეას სოფლად საზოგადოთ, დღეს აცხადებენ, რომ შემცდარად აღიარებენ თავის ძველ შეხედულებებს და ღებულობენ მარკევიჩის შეხედულებებს. ისინი, რომლებიც გუშინ ებრძოდენ სოფლის მეურნეობაში ტექნიკურ-ეკონომიური რევოლიუციის შესაძლებლობის იდეას, დღეს, წარმოიდგინეთ, მარკევიჩზე მეტ მემარცხენეობას ჩემულობენ და პირდაპირ სოფლის მეურნეობის დაუყოვნებლივ ელექტროფიკაციაზეც ლაპარაკობენ. ასეა თუ ისე, მარკევიჩის წიგნის გამოსვლის შემდეგ ჩვენ გვაქვს უეჭველი გარდატეხა აგრონომიულ წრეებში, რაც მეტად სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

სოფლად დღეს არსებული მსხვილი მეურნეობების მდგომარეობა არ აკმაყოფილებს მარკევიჩს. მისი აზრით, მსხვილი სასოფლო მეურნეობა დაახლოვებით ისევე უნდა მოეწყოს, როგორც ფაბრიკა. სასოფლო მეურნეობის ისე ფართო მასშტაბით მოწყობა, როგორც ეს წარმოდგენილი აქვს მარკევიჩს, აყენებს ჩვენს წინაშე მტკიცე ენერგეტიული ბაზის შექმნის აუცილებლობას. ამ პრობლემის გადაწყვეტას ის ხედავს მანქანა - ტრაქტორების სადგურების შექმნაში.

ერთის მხრივ მეტად დიდია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანა, — აქ საჭიროა მასიური განსაზოგადოების ახალი ფორმები და მეთოდები, მეორეს მხრივ, არ მუშაობენ რაციონალურად ის ტრაქტორები და სხვა მანქანები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება. ეს ხდება იმიტომ, რომ ეს მანქანები სათანადო მუშაობით საკმაოთ დატვირთული არ არიან და აგრეთვე ცუდადაა დაწყებული მათი შეკეთების საქმე და სხვა.

ასეთ პირობებში აუცილებლად უნდა წარმოშობილიყო მარკევიჩის იდეა ენერგეტიული ბაზის შექმნის შესახებ, მანქანა - ტრაქტორების სადგურების სახით.

მანქანა - ტრაქტორების სადგური სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხს ფართოდ აყენებს და სჭრის. სადგური აერთიანებს დაახლოვებით 200-300 ტრაქტორს და აგრეთვე სხვა რთულ მანქანებს. ამ მანქანებზე ზრუნვა, მათი შეკეთება და სხ. დაყენებულია ფართო მასშტაბით და, რასაკვირველია, უფრო რაციონალურად და რენტაბელურად. ხარჯები, რომლებიც ამ შემთხვევაში მოდის თითო ჰექტარ მიწის დამუშავებაზე, გაცილებით ნაკლებია. ერთი ჰექტარი მიწის დამუშავება ჯდება გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე მისი დამუშავება ცხენით ან ხარ-კამეჩით. მხედველობაში უნდა მივიღოთ ტრაქტორების და სხვა მანქანების მაქსიმალური დატვირთულობაც. ერთი ტრაქტორი აქ ამუშავებს გაცილებით მეტ მიწის ფართობს, ვიდრე ყველა სხვა შემთხვევაში. საჭირო აღარ ხდება თითო ტრაქტორზე კვალიფიციური ტრაქტორისტის დაქირავება და სათანადო დიდი ხელფასის გაღება. ტრაქტორებზე იმუშავებენ არაკვალიფიციური მუშები ერთი კვალიფიციური ტრაქტორისტის ხელმძღვანელობით. ისპობა მიწის დაქსაქსულობა და სხვა. მთელი ფართობი იქცევა მიწის ერთ მასივად, რომელზედაც ტრაქტორები ისე მუშაობენ, რომ მათ ტყვილა - უბრალოდ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადარბენა არ მოუხდებათ. ყველა ეს მომენტი იწვევს ხარჯების დიდად შემცირებას ერთ ჰექტარ მიწის დამუშავებაზე.

მანქანა - ტრაქტორების სადგურების დიდი სოციალური და ეკონომიური ეფექტი თვალსაჩინოა.

როგორ ხდება პრაქტიულად მანქანა - ტრაქტორების სადგურის შექმნა და მუშაობა?

მანქანა - ტრაქტორების სადგურს ქმნის რომელიმე სახელმწიფო ან კოოპერატიული ორგანიზაცია. წინასწარ ამოირჩევენ სადგურის მუშაობის რაიონს მიზანშეწონილების მიხედვით, რაც განისაზღვრება მთელი რიგი ფაქტორებით (კულტურები, სამუშაო ძალა აგრარული მოსახლეობის სიჭარბე და სხვ.). სადგური წარმოადგენს ენერგეტიულ ბაზას მთელი რაიონისათვის. მისი მიზანია სოფლის მეურნეობის მასიური განსაზოგადოება. ამ მიზნის განსახორციელებლად სადგური სდებს ხელშეკრულებას გლეხების და მთელი სოფლების წარმომადგენლებთან მიწის მექანიკური დამუშავების შესახებ. სადგური აერთიანებს რამოდენიმე ათეულ სოფელს 40-50 ათასი ჰექტარი მიწით. (10-14 კილომეტრის მანძილზე). მიწის დამუშავების საქმეს მთლიანად თავის ხელში იღებს სადგური. გლეხები კი აერთიანებენ თავიანთ მიწის ნაპრებს ერთ უზარმაზარ მიწის მასივად, ტრაქტორები, სხვადასხვა მანქანები და იარაღები, მათი შეკეთება და მოვლა-პატრონობა სადგურის ხელშია. სამუშაო ძალა არის თვით გლეხების. სადგური გარეშე სოფლებიდან არ იქირავებს მუშებს. გარდა კვალიფიციური ტრაქტორისტებისა და აგრონომებისა. ტრაქტორებზე და მანქანებზე მუშაობენ თვით გლეხები. ამ მუშაობას მათ ასწავლიან კვალიფიციური მუშები. ფართო მასშტაბით ხდება მიწის დამუშავების სრული მექანიზაცია, რაც იწვევს ამ დამუშავების ხარჯების დიდად შემცირებას. მიწის დამუშავებისათვის სადგური იღებს გლეხებისაგან განსაზღვრულ ფულად გადასახადს, რაც წესდება შეთანხმებით. ხოლო წარმოების ორგანიზაციის, ამორტიზაციის, შეკეთების და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად გლეხები იძლევიან მოსავლის ერთ მეოთხედს ან ერთ მესამედს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ფაქტიურად გლეხები არაფერს არ იძლევიან, რადგან მოსავლიანობა, სათანადო აგრო-კულტურული ღონისძიებების გატარების შემწეობით, შესამჩნევად იზრდება და გლეხს ამის გამო ერთი მეოთხედის გაღების შემდეგაც რჩება იმდენი მოსავალი მაინც, რამდენსაც ის ღებულობდა სადგურის შექმნამდი.

გლეხობა სადგურებიდან სხვანაირ სარგებლობასაც იღებს. ის ჰყიდის ხარკამეჩს, ცხენს და სხვ. საწარმოო საშუალებებს, რომლებიც წარმოების მექანიზაციის პირობებში საჭირო აღარ არის. მეორეს მხრივ, თავისუფლდება გლეხკაცობის სამუშაო დროის ნაწილი, რომელიც შეიძლება მოხმარდეს სხვა კულტურების და წარმოების დარგების განვითარებას. ასე, მაგალითად, გლეხებს შეუძლიათ ხელი მიყონ მერძეობას, ტექნიკური და სპეციალური კულტურების განვითარებას და სხვ.

მანქანა - ტრაქტორების სადგური რადიკალურად სწყვეტს ერთ მეტად მტკივნეულ საკითხს, სახელდობრ სოფლის ფენებად დაყოფის საკითხს. ძირ ბუდიანად ინგრევა თვით შესაძლებლობა ღარიბი გლეხობის ექსპლოატაციის შესაძლებლობისა. კულაკების თარეშს და მათ ექსპლოატაციას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო ეღება. ღარიბი გლეხი თავისუფლდება მათი უღლისაგან.

მოკლედ: მანქანა - ტრაქტორების სადგურების დიდი მნიშვნელობა ორ დიდ რამეში გამოიხატება. **პირველი:** იზრდებიან საწარმოო ძალები, ხდება წარმოების სრული მექანიზაცია, იზრდება შრომის ნაყოფიერება, მატულობს სოფლის მეურნეობის პროდუქცია და სხვა. **მეორე:** საწარმოო ძალების ეს ზრდა - განვითარება ხდება სოციალისტურ ფორმებში. ძირ - ფესვიანად ისპობა ძველი სოციალური ურთიერთობანი და იქმნება ახალი სოციალისტური ურთიერთობანი.

ერთი სიტყვით, მანქანა - ტრაქტორების სადგური სწყვეტს სოფლის მეურნეობის როგორც ტექნიკური, ისე სოციალური რეკონსტრუქციის საკითხს ფართო, მასიური მასშტაბით.

ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ მანქანა-ტრაქტორების სადგურები მსხვილი სასოფლო - სამეურნეო წარმოების უკანასკნელი სიტყვა იქნება. ყველა ჩვენთაგანმა კარგად იცის, რომ ჩვენ საბოლოო ანგარიშით უნდა გავატაროთ სახალხო მეურნეობის სრული ელექტროფიკაცია, ე. ი. სოფლის მეურნეობაშიაც გადავიდეთ ელექტრონის ენერგიაზე. ასე რომ ტრაქტორის მექანიკური ძალა და ამ ძალის რაციონალური გამოყენება ფართო მასშტაბით ჩვენთვის არ არის, ასე ვთქვათ, პროგრამა - მაქსიმუმი. ელექტრონის ენერგიაზე მთლიანად გადასვლა მოსპობს წინააღმდეგობას ქალაქსა და სოფელს შორის და გადაიყვანს სახალხო მეურნეობას ტექნიკის უმაღლეს საფუძველზე.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ელექტროფიკაცია შეგვიძლია დღესვე გავატაროთ. ელექტროფიკაციის განვითარებას ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ და მომავალში კიდევ უფრო დიდ ყურადღებას მივაქცევთ, მიუხედავად ამისა დღევანდელ პირობებში ჩვენ მაინც ვცდილობთ ტრაქტორიზაციის გატარებას. საქმე იმაშია, რომ ელექტროფიკაციის გატარება მოითხოვს აუარებელ ხარჯებს, დიდი კაპიტალური თანხების დაბანდებას. განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში დიდი იქნება ეს ხარჯები. ელექტრონის ენერგიის სოფლის მეურნეობაში გამოყენება მოითხოვს ამ ენერგიის გადამცემ მოწყობილობას (ბოძები, მავთულები და სხვ.) და ელექტრო - მოტორებს. ერთი ჰექტარის დამუშავებაზე დიდი ხარჯები მოვა. ასე რომ დღევანდელ პირობებში (სათანადო თანხების უქონლობა, დიდი ხარჯები და სხვ.) ჩვენ უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება ტრაქტორიზაციის გატარებას. შემცდარია ის შეხედულება, თითქოს წინააღმდეგობა არსებობდეს ტრაქტორიზაციისა და ელექტროფიკაციის შორის. ტრაქტორიზაცია ეს იქნება საფეხური ელექტროფიკაციის გატარებისათვის, მოამზადებს პირობებს მის გატარებისათვის.

ყველა ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ ჩვენ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საქმეს არ მივაქცევთ ყურადღებას იქ, სადაც ეს შესაძლებელია. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმ რაიონებზე, სადაც დიდი ჰიდრორესურსები ხელს უწყობენ ელექტროსადგურების ფართო მშენებლობას და სადაც ისმება საკითხი ამ სადგურების სათანადო დატვირთვის შესახებ. ამ რაიონებს ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკა. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის პრობლემა ჩვენს პირობებში მწვავედ უნდა დაისვას. ეს საკითხი დაუმუშავებელია და ამიტომ ის უახლოეს ხანებში დამუშავებულ უნდა იქნას. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ჩვენ ეხლავე შევუდგეთ მანქანა - ტრაქტორების სადგურების შექმნას, რომლებიც ჩვენთვის უკვე ცნობილია და რომელთა სოციალური და ეკონომიური ეფექტი უეჭველია.

შეიძლება და საჭიროა თუ არა საქართველოში მანქანა - ტრაქტორების სადგურების შექმნა?

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ეს არ შეიძლება და საჭირო არ არის. მათი აზრით, ჩვენ სრულიად არ უნდა ვიზრუნოთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე და იდეალად ჩინური ან იაპონური წვრილი მეურნეობა დავისახოთ. ჩვენი მიწაო, ამბობენ ისინი, თავისებურია და ამიტომ საჭირო არ არის რუსული შაბლონების ჩვენში გადმოტანაო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შეხედულებების წინააღმდეგ ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ სასტიკი ბრძოლა. ეს არის აპოლოგია ჩვენი ჩამორჩენილობის, ფილოსოფია წვრილი დაქსაქსული გლეხური მეურნეობების გამუდმივების. დღეს ამ შეხედულებებს აღარ იზიარებენ აგრონომების ფართო წრეებიც კი.

რა თქმა უნდა, ჩვენს რესპუბლიკას ახასიათებს თავისებურობანი, ისე როგორც ყველა სხვა რესპუბლიკას, მაგრამ ჩვენში არის ისეთი თავისებურობანიც, რომლებიც მსხვილი მეურნეობის შექმნას ხდიან უფრო აუცილებლად, ვიდრე კავშირის სხვა რესპუბლიკებში.

ცნობილია, რომ საქართველო წვრილი პარცელიარული მეურნეობის ქვეყანაა. თითო გლეხურ მეურნეობაზე აქ მოდის 2,4 ჰექტარი ვარგისი მიწა; თითო სულზე კი მოდის 0,64 ჰექტარი, მაშინ როდესაც აზერბაიჯანში მოდის 1,14 ჰექტარი და სომხეთში — 0,86 ჰექტარი. მეურნეობათა ასეთი დაქსაქსულობა და დაწვრილმანება იწვევს შრომის დაბალ ნაყოფიერებას, მცირე მოსავლიანობას და მცირე საქონლიანობას. ამას ხელს უწყობს სამუშაო საქონლის დიდი ნაკლებობაც ჩვენში. გლეხურ მეურნეობათა დაახლოვებით 35 პროც.-ს არ გააჩნია სამუშაო საქონელი. მცირეა დატვირთვა იმ მანქანებისაც, რომლებიც ჩვენში არსებობენ. ტრაქტორის დატვირთვა ჩვენში არ აღემატება 50 პროც., ტრიერის — 1 პროც. და სხვ. ყველა ეს თავისებურობა იწვევს აუცილებლობას, რომ ჩვენში უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მსხვილ მეურნეობის პრობლემას, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში.

ამბობენ, რომ ჩვენში მთიანი და ოღრო - ჩოღრო ადგილებია და სხვა და ამიტომ მანქანა - ტრაქტორების სადგურის შექმნა საჭირო არ არისო. მაგრამ ვინ აყენებს წინადადებას, რომ ასეთი სადგურები შევქმნათ მთიან ადგილებში? სადგურის შექმნის საკითხი ამა თუ იმ რაიონში არის **შესაძლებლობის და მიზანშეწონილების** საკითხი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შესაძლებლობა ჩვენ დღეს გვაქვს. ტრაქტორებს და მანქანებს ჩვენ ვღებულობთ საბჭოთა კავშირიდან. ისინი არ უნდა დავქსაქსოთ, არამედ მათგან უნდა შევქმნათ მანქანა - ტრაქტორების სადგურები.

სად უნდა შეიქმნას ასეთი სადგურები? ჩვენში არის ასეთი რაიონები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავწმინდოთ საბჭოთა და კოოპერატიული აპარატი

უღირს და ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან

კიდევ ტირიფონის არხზე

(წერილი გორიდან)

მრავალჯერ მოთავსდა პრესის ფურცლებზე საქმიანი შენიშვნები. ტირიფონის არხის სამუშაოების ირგვლივ. მაგრამ შენიშვნების უმრავლესობა უშედეგოდ დარჩა. ამის გამო არხის სამუშაოებზე ისევ უწესრიგობას აქვს ადგილი.

დავიწყოთ სამმართველოდან, რომლის საინჟინრო ნაწილში მუშაობს 5 კაცი. ერთი მათგანი მოქ. ჩერომსკი მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მანიკიურის გაკეთებით ართობს თავს. სამმართველოში მაგრათ აქვს ფესვები გადგმული ნათესაურ კავშირს. ამ ნათესაური კავშირის წყალობით მომხდარი ბოროტმოქმედების ერთი მაგალითი: ყოფილი მღვდელი ხახუტაშვილი მსახურობდა ტირიფონის არხის სამმართველოში საქმის მწარმოებლად ათვე მხეთ. ის როგორც შავ სიაში მოყოლილი, მოხსნა სამსახურიდან, რომელსაც მისცეს მოწმობა, ვითომც მან ოჯახური მდგომარეობის გამო თავის ნებით დასტოვა სამსახური. ამ მოწმობას ხახუტაშვილს თავისი ნათესავი უწერს იმ მოსაზრებით, რომ მას კიდევ მიეცეს საშუალება სხვა ქალაქში, რომელიმე დაწესებულებაში შეძვრეს სამსახურში.

მღვდელ ხახუტაშვილზე ირიცხებოდა ავანსი 483 მანეთი. ხახუტაშვილი თბილისში გაემგზავრა, სადაც დაჰყო 26 იანვრიდან 5 თებერვლამდე. ის თავის პირად საქმეებზე (ხმის უფლების აღდგენისათვის) ხლაფორთობდა, ხოლო ამ მოგზაურობისათვის ჩამოუწერეს დავალიანებიდან 97 მანეთი საშივლინებო. 1927 წლის კომპენსაცია 60 მანეთის რაოდენობით მიიღო 1929 წელში. ეკუთვნოდა თუ არა გამოსარკვევია. დანარჩენი თანხაც ალბათ ამნაირათ იქნა მიჩქმალული.

ეხლა ორიოდე სიტყვა ხაზზე მომუშავეების შესახებ. ის რა სპეცია, თუ თვეში 7—8 დღე თბილისში არ დაჰყო. სამუშაოებს კი მუშები სპეცების მეთვალყურეობის გარეშე ასრულებენ და ხშირად ხელმეორედ გადაკეთება სჭირდება.

საკვირველი ის არის, რომ ამ მოვლენას აქაური პარტიული უჯრედები ყურადღებას არ აქცევენ. უჯრედების სხდომაზე ერთხელაც არ მოუსმენიათ ამ საკითხზე მოხსენება, რომ საქმიანი მითითებები მიეცათ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

მიჯუდელი.

ყოფილი ვაჭრები კოოპერატიულ სასადილოებში

(წერილი ზუგდიდიდან)

დასავლეთ საქართველოს მესაქონლეთა კოოპერატიული ამხანაგობა „მეჯოგე“-ს ცენტრი მოთავსებულია ქ. სენაკში. ამხანაგობას სხვა მაზრებშიაც აქვს განყოფილებები. ზუგდიდში „მეჯოგე“-ს აქვს საყასბო და სასადილო. ამავე სასადილოს განყოფილება არსებობს აგრეთვე შენგონის სახერხ ქარხანასთან. ვინ არიან ამ სასადილოების და საყასბოების გამგეები და პასუხისმგებელი მუშაკები? ყველა ისინი ერთმანეთის სჯობიან სისხლის სამართლის დანაშაულში. აი ეს თავგულიც: სპირიდონ გორგოშია—ძველი ვაჭარი, 1924 წ. ავანტურის აქტიური მონაწილე, საბჭოთა არჩევნებში ხმის უფლებას მოკლებული. ნიკო თოლორაია—ვაჭარი, ხმის უფლება ჩამორთმეული, რაჟდენ მესხია—ვაჭარი, ხმის უფლება წართმეული, ილიკო სიჭინავა—ძველი ვაჭარი, ხმის უფლება-წართმეული, ერასტი ადამია—გაკოტრებული ვაჭარი, ხმის უფლება წართმეული.

რას აკეთებენ ეს ჩარჩები კოოპერატიულ სასადილოებში? რა თქმა უნდა ვაჭარი თავის ოინებს არ მოიშლის. არსებობს საქონლის ნახირი, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი და სინამდვილეში არავინ აწარმოებს. ესეც რომ არ იყოს, რა უნდა ამ ყოფილ ვაჭრებს კოოპერატიულ ორგანიზაციაში საპასუხისმგებლო ადგილებზე? ისინი არცხვენენ კოოპერატიული ორგანიზაციის სახელს.

მიიღო თუ არა ადგილობრივ პროფკავშირმა და თვით „მეჯოგე“-ს რწმუნებულმა ზომები ამის შესახებ? რა თქმა უნდა მიიღეს, მაგრამ თვით „მეჯოგე“-ს გამგეობას, რომელიც სენაკშია მოთავსებული, არ სურს გასწმინდოს თავისი ორგანიზაცია უღირსი და უცხო ელემენტებისაგან. ვფიქრობთ აქ ვიღაცას ნათლიამამური ხელი მუშაობს და ამიტომ საჭიროა საბჭოთა აპარატის წმენდასთან დაკავშირებით საფუძვლიანად გაიწმინდოს „მეჯოგე“-ს ორგანიზაცია.

ზუგდიდელი მეხი

ვნახოთ თუ გაუმართლდება

(წერილი გურიიდან)

ლანჩხუთის სახალხო სასამართლოში 11 ივნისს უნდა გარჩეულიყო სოფ. ზემო-აკეთის კოოპერატივის ყოფილი ნოქრის—ილია თოხაძის საქმე, რომელსაც ბრალი ედება კერძო ვაჭართან კავშირის დაჭერაში და ნიხრს ზევით საქონლის გაყიდვაში. აღნიშნულ დღეს თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო სასამართლოს სხდომა არ შესდგა. ილია თოხაძეს დამცველად ჰყავდა ბეჟ. ხუნდაძე.

ბრალდ. ილია თოხაძის ძმა ლეონიდე თოხაძე და დამცველი ბეჟ. ხუნდაძე სახლში გაემგზავრნენ სასამარ. თავმჯდომარე ამხ. კუკულაძესთან. მათი უკან დაბრუნების შემდეგ სასადილოში შეიქცნენ სადილს. აქ ბრალდებულმა თოხაძემ აშკარად განაცხადა: ეგ არაფერია, ამ საქმეს სანამდისაც მინდა მანამდის გავათრევო. ჩვენ ის არ ვიცით ლეონიდე თოხაძის და ბეჟ. ხუნდაძის ნახვა რამე გავლენას იქონიებდა თუ არა მოსამართლე კუკულაძეზე, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ბრალდებ. ილია თოხაძეს რაღაც დიდი იმედი ალაპარაკებს. ვნახოთ ი. თოხაძეს გაუმართლდება თუ არა იმედი; ამავე დროს აქვე სასადილოში სადილობდა სოფ. ზემო-აკეთის კოოპერატივის ნოქარი ალექსანდრე გოგუაძე; ხსენებული გოგუაძე გამოძახებული იყო მოწმედ ი. თოხაძის საქმეზე, როგორც იმავე კოოპერატივის სადუქნე კომისიის ყოფ. თავმჯდომარე. ი. თოხაძის სიძემ ებრალიძემ დასტოვა თავისი მაგიდა, მივიდა ა. გოგუაძესთან და მიმართა შემდეგი სიტყვებით: თქვენ ბრძანდებით სოფ. ზემო-აკეთის კოოპერატივის ნოქარი ალ. გოგუაძე და ამავე დროს კორესპონდენტი „კენჭი“, რომელმაც ჩემზე ყალბი წერილი მოათავსა გაზეთ „კომუნისტში“?

— ნოქარი მართალია ვარ, უპასუხა გოგუაძემ, მაგრამ კორესპონდენტ „კენჭს“ მე სრულებით არ ვიცნობ.

— როგორ თუ არ იცი, ხმამაღლა ხმა ებრალიძემ, ან თვითონ შენა ხარ, ან და შენ მიერაა ვიღაცაზე მოწოდებული ინფორმაცია. თუ გავიგე ვინ არის „კენჭი“ მას შავ დღის დავაყენებო—გაიძახოდა ებრალიძე.

ებრალიძემ კარგათ იცოდა, რომ გოგუაძე არ იყო კორესპონდენტი „კენჭი“, მაგრამ ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ გოგუაძე დაეშინებინა, როგორც ებრალიძის ცოლის ძმის მოწმე.

ბოროტმოქმედ თოხაძემ პასუხი უნდა აგოს სასამართლოს წინაშე.

მეთვალყური.

რათ იქცევა ასე „აზნევთ-მშენი“?

(ნიგოითის თემი, გურია)

„აზნევთ-მშენმა“ თავის საჭიროებისათვის გასული წლის ივლისში ქვრივ და უპატრონო ოჯახს—სოფიო შვიდობაძეს ჩამოართვა გაშენებული ეზო, მდებარე სოფ. დიდ-ქვიანში, ნიგოითის თემში.

შემფასებელი კომისიის დადგენილებით „აზნევთ-მშენს“ უნდა გადაეხადა 2.450 მან. შვიდობაძის ქვრივის სასარგებლოდ, მაგრამ მას ჯერაც არ გადაუხდია 2.000 მანეთი, მიუხედავად იმისა, რომ შვიდობაძემ რამოდენიმეჯერ მიმართა სიტყვითა და წერილობით.

შვიდობაძის ქალი დარჩა უსახლ-კაროთ, ცხოვრობს ცის ქვეშ, განიცდის შიმშილობას და არსებობისათვის არავითარი წყარო არ გააჩნია. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას „აზნევთმშენი“-ს მიერ მოსახლეობისადმი მიყენებული ზარალის შემფასებელმა ამიერ-კავკ. კომისიამ.

ი. აროში.

კომბინატორი კოოპერატივში

(ოზურგეთი)

ოზურგეთის კოოპერატივში მსახურობს სოფ. ვაკიჯვრის მცხოვრები პორფილე გიორგაძე. ის შეძლებული გლეხია, აქვს საკმაო მიწა, მუშა - საქონელი, კარგი ცხენი და ძროხა. გიორგაძემ შეუამხანაგდა ორ ვაჭარს და საზიაროთ იყიდეს დელეჟანი, რომელსაც ამუშავებენ სოფ. ვაკიჯვრიდან ოზურგეთამდე. თვით გიორგაძემ მისი შვილი დაასკუპა დელეჟანზე და თვეში 60 მანეთს აძლევს. ამ ამხ.-ბაში შედის გაკოტრებული ჩარჩი თეოფილე ვასაძე, ვაჭარი სერგო შალიკაშვილი და კოოპერატივის მუშაკი პორფილე გიორგაძე. ეს უკანასკნელი არ იჩენს თავს, ვინაიდან მას შეუძლია კოოპერატივიდან დაკლებულ ფასებში გამოიტანოს თივა, ქერი და სიმინდი.

საჭიროა კოოპერატივის გამგეობამ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება და ასეთ კომბინატორს მიუჩინოს შესაფერი ადგილი.

ჯიხვი.

ხიდის ასაგები ფული სასადილოს მოახმარეს

(სოფ. მოხისი, [illegible] მაზრა)

სოფ. მოხისის გლეხობის რიცხვი დაახლოებით 400 კომლს უდრის. ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიან მდინარე სურამულაზე ხიდის უქონლობის გამო. მდინარეზე ხიდის ასაგებად თვითდაბეგვრის წესით გლეხობამ შეაგროვა 1500 მანეთი, ამ თანხას გლეხობამ მოუმატა— 200 მანეთი, რომელიც ამხ. ს. თოდრიამ გადასცა მათ მოხისის კლუბის შესაკეთებლად. ამასთან ერთად მოხისის საბჭოს წევრებმა დასახმარებლად გადასცეს 250 მანეთის თავა. სულ შეგროვდა 1950 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარებოდა ხიდის აგებას.

ზამთრის პერიოდის გამო ხიდის აგება შეაჩერეს გაზაფხულამდე და მოხისის საბჭოს წევრების დახმარებით ფული შესანახად შეიტანეს გორის საკრედიტო ამხანაგობაში. მაგრამ მოხისის გლეხების მიერ ხიდის ასაგებად შეგროვილი ფული, გორის თემაღმასკომის თავმჯდომარემ გიქაშვილმა საბჭოს ერთ-ერთი წევრის დახმარებით გლეხობის დაუკითხავად ბანკიდან გამოიტანა და მოახმარა სასადილოს შენობის აგებას. ეს მოხდა 1927 წელს და მის შემდეგ მოქ. გიქაშვილი არ იწუხებს თავს ფულის გადასახდელად. რას ნაღვლობს გიქაშვილი, თუ მოხისის გლეხობა უხიდობით იტანჯება?

დროა გორის სამაზრო აღმასკომმა მიიღოს ზომები და გადაახდევინოს მოქ. გიქაშვილს ზემოაღნიშნული თანხა.

ი. ეუმაკურაშვილი.

ბიუროკრატიზმი საფოსტო უწყებაში

ხეთა, ზუგდიდის მაზრა

ფოსტა-ტელეგრაფის ზოგიერთ დაწესებულებაში მაგრათ აქვს ფესვები გადგმული ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ხეთის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობისათვის „სოფლის კავშირი“-დან გამოგზავნილი ფულის ზარათი ხეთის ფ.-ტ. განყოფილებამ მიიღო ა.-წ. 26 მარტს. განყოფილებას რაკი ვერ აღმოაჩნდა საკმაო თანხა ფულის ზარათის გასანაღდებლად, მან გამოითხოვა ზუგდიდის ფ.-ტ კანტორიდან ფული 27 მარტს. ზუგდიდის კანტორა ვალდებული იყო გამოეგზავნა ფული მოთხოვნილებისთანავე, მაგრამ კანტორის გამგეს მოთხოვნილებაზე ყურადღება არც კი მიუქცევია.

მეორე მაგალითი: ზუგდიდის მაზრის განათლების განყოფილებამ გადმოგზავნა ხეთის 10-წლედის მასწავლებელთათვის მარტის ხელფასი ფოსტით. ფოსტამ ზარათი მიიღო იმავე დღეს. ხოლო რაკი ფული არ ჰქონდათ, დამატებით გამოითხოვა 1,000 მან. ფულის ზარათების დასაფარავად ფოსტის გამგე ელოდა ფულს 29 მარტს. საკრედიტო ამხანაგობა გლეხებს ატყუებს ფოსტის იმედით და ყოველ დღე იზარებს სამუშაო დღეებში. მასწავლებლობა ყოველ დღე ფოსტის კარზე სდგას და უცდის ფულის მიღებას, მაგრამ საიდან უნდა მიიღოს ფული, როდესაც ზუგდიდის ფოსტა არ აგზავნის? 26 მარტს მიღებული ფულის ზარათი 6 აპრილს კიდევ არ იყო განაღდებული.

ასეთი მაგალითების მოყვანა ბევრის შეიძლებოდა; მაგრამ ესეც საკმაოა იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად აქვს ფესვები გადგმული ფოსტა-ტელეგრაფის ზოგიერთ უწყებაში ბიუროკრატიზმს. ამ სენს სასტიკად უნდა ებრძოლოს [illegible].

შარნარი.

წინასწარი გაუთვალისწინებელი წამოწყება

ტობანიერი, ქუთაისის მაზრა

ამ რამოდენიმე წლის წინად აქ დაიწყო სკოლისათვის სოფლად უჩვეულო შენობის აგება აგურის მასალით. შენობა უნდა ყოფილიყო ორსართულიანი 38 განყოფილებით, დღემდი გაკეთებულია ერთ სართულზე მხოლოდ შვიდი ოთახი, რომელშიაც მეცადინეობა სწარმოებს. შენობის დანარჩენი ნაწილი ალაგ-ალაგ 1, 2, 3 და 4 მეტრამდეა აგებული და ნალექიანათ გამოიყურება.

საამშენებლო სექციის განცხადებით, ამ შენობაზე დღემდე დახარჯულია სათემო, საზოგადო და სამაზრო თანხებიდან 58 ათასი მანეთი. ზოგიერთების აზრით, ამდენ თანხას მეტი უნდა გაეკეთებიათ და ეჭვს გამოსთქვამენ ყველა თანხები დანიშნულებისამებრ არის დახარჯული თუ არა. ეხლაც უნდა გაიწეროს მოსახლეობაზე 15 ათას მანეთამდე, რაც გლეხობისათვის ამ სივიწროვის დროს პატარა თანხას არ წარმოადგენს.

მართალია გლეხობა დაწყებულ შენობას მაინც დაამთავრებს, მაგრამ საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ადგილობრივად მოახდინოს ნამუშევარის გადათვალიერება და თუ აღმოჩნდება შეცდომების გამოსწორებაზე მიუთითოს.

№ 588.

სადაც მათი შექმნა მიზანშეწონილია. ასეთი ადგილებია, მაგალითად, გორის მაზრა, კახეთი, რიონის დაბლობი და სხვ. აგრონომებმა და ეკონომისტებმა უნდა დაამუშაონ საკითხი, თუ სად უფრო მიზანშეწონილია სადგურის შექმნა პირველ რიგში. მაგრამ ეს პრინციპიალური საკითხი კი არ არის, არამედ უბრალო მიზანშეწონილების საკითხი. ფანქრით ხელში უნდა გამოანგარიშებულ იქნას, თუ სად მოიტანს სადგურის შექმნა მეტ სამეურნეო და სოციალურ ეფექტს, და ამის მიხედვით იქნას იგი შექმნილი.

წინდაწინ შეიძლება ითქვას, რომ ერთი ჰექტარი მიწის დამუშავება ჩვენში მეტი დაჯდება, ვიდრე უკრაინაში და რუსეთში. მაგრამ სადგური მაინც მოგვცემს დიდ ეფექტს დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით.

მანქანა - ტრაქტორების სადგურების შექმნის საკითხი აყენებს ჩვენს წინაშე მთელ რიგ ახალ ამოცანებს, ასეთია, მაგალითად, საკითხი მექანიზაციის შემწეობით განთავისუფლებული შრომის სხვა დარგებში გამოყენებისა, შრომის რაციონალური ორგანიზაციის და პროდუქტების განაწილების საკითხი და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში აუცილებლად დამუშავებულ უნდა იქნას საკითხი მანქანა - ტრაქტორების სადგურების შექმნის შესახებ ტეხნიკური კულტურების რაიონებში. ყველა ეს საკითხი საჭიროებს შესწავლას და დაწვრილებით ანალიზს. საჭიროა უკრაინის (შევჩენკოს მეურნეობის გამოცდილება) მაგალითი საჩქაროდ შესწავლილ იქნას.

ჩვენში ხშირად უპირდაპირებენ ერთმანეთს მანქანა - ტრაქტორების სადგურებს და ტრაქტორების რაზმებს (კოლონებს). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დაპირდაპირება არ არის სწორი. მართალია, მარკევიჩი წინააღმდეგია ტრაქტორების რაზმების, მაგრამ მას ავიწყდება, რომ არის შემთხვევები, როდესაც ასეთი რაზმების შექმნა რენტაბელური და მიზანშეწონილია (მაგ. სპეციალური კულტურების რაიონები და სხვ.). ამას გარდა უდავოა, რომ იქ, სადაც შეუძლებელია სადგურის შექმნა, უმჯობესია ტრაქტორების რაზმების შექმნა, ვიდრე მათი ცალ-ცალკე გამოყენება. ამას გვეუბნება ჩვენ საბჭოთა კავშირის მაგალითი. ცალკე კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ შექმნან ასეთი რაზმები, რომელთა გაერთიანება სადგურებში განვითარების შემდეგ საფეხურზე შესაძლებელი და აუცილებელი იქნება.

ჩვენში ზოგიერთებს უყვართ აგრეთვე მანქანა - ტრაქტორების სადგურის დაპირდაპირება კოლმეურნეობებისადმი და საერთოდ კოლექტივიზაციის იდეისადმი. ეს შემცდარი აზრია. მანქანა - ტრაქტორების სადგური კი არ ეწინააღმდეგება კოლმეურნეობებს, არამედ, პირიქით, აყავს ისინი განვითარების და სიმტკიცის უფრო მაღალ საფეხურზე. სადგური საერთოდ ქმნის ახალ პერიოდს კოლმეურნეობათა მოძრაობის ისტორიაში. ის ქმნის სოფლის მეურნეობის მასიურ კოლექტივიზაციის შესაძლებლობას სახელმწიფოს და კოოპერატიული ორგანიზაციების აქტიური ხელმძღვანელობით და მონაწილეობით. მანქანა - ტრაქტორების სადგური — ეს ენერგეტიული ბაზაა დიდი კოლმეურნეობისა მთელი რაიონის მასშტაბით. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაპირდაპირება სადგურების და კოლმეურნეობების იდეისა არ არის სწორი. ასეთ დაპირდაპირებას შეუძლია მხოლოდ ზიანი მოიტანოს და ამიტომ მას უნდა ვებრძოლოთ.

ჩვენ არ შეგვიძლია აქ ამოვწუროთ ყველა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია მანქანა - ტრაქტორების სადგურების შექმნასთან. ჩვენ დავსვით მხოლოდ ზოგიერთი მთავარი მათგანი და მოკლედ გავარკვიეთ ისინი. მაგრამ ამ მოკლე ანალიზიდანაც აშკარაა, რომ მანქანა - ტრაქტორების სადგურების შექმნას ჩვენ მეტად სერიოზულად და ენერგიულად უნდა მოვეკიდოთ.

საჭიროა შესწავლილ იქნას უკრაინის გამოცდილება და სასწრაფოდ შედგენილი ჩვენში მანქანა - ტრაქტორების სადგურების მშენებლობის გეგმა. შემოდგომის თესვის კამპანიისათვის ჩვენ უნდა შევქმნათ ერთი მანქანა-ტრაქტორების სადგური მაინც. ეს სადგური უნდა მოეწყოს სამაგალითოდ. მან უნდა დაუმტკიცოს გლეხკაცობას, რომ უმჯობესია საბოლოოდ დატოვებულ იქნას მეურნეობის ძველი ფორმები და შემოღებული იქნეს ახალი კოლექტიური ფორმა მეურნეობისა. მან უნდა ამოიყვანოს ჩვენი გლეხკაცობის ფართო მასები ეკონომიური გაჭირვებიდან და უჩვენოს მათ წარმოების მასიური განსაზოგადოების სწორი გზა.

კ. ორაგველიძე.

სოციალისტური შეჯიბრება

ნედლი მასალის სიმცირე ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას

უგეგმო შვებულებები აფერხებს წარმოების გაჯანსაღებას და სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩატარებას

უზრუნველვყოთ წარმოება ნედლი მასალით

საწარმოების ნედლი მასალით მომარაგების და მისი რაციონალურად გამოყენების საკითხი ბევრ ადგილას ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ მოგვარებული. განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში ძალიან გახშირდა ნედლი მასალის უქონლობა და ამ ნიადაგზე მუშაობის შეჩერება, რაც იწვევს ზედნადები ხარჯების გადიდებას და ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების ზრდას. საწარმოების ნედლი მასალით უზრუნველყოფა აუცილებელი საშუალებათაგანია საწარმოო პროგრამის ასი პროცენტით შესასრულებლად და სოციალისტური შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად. ეს იცის, როგორც საწარმოების ადმინისტრაციამ, ისე ადგილობრივ პროფორგანოებმაც, მაგრამ სამწუხაროდ ბევრი ადმინისტრაცია და ხშირად პროფორგანოც ნედლი მასალის მომარაგების საკითხს ვერ აქცევენ შესაფერ ყურადღებას.

სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადებით და პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულების დადებით, საწარმოების მუშებმა თავის თავზე აიღეს არამც თუ საწარმოო პროგრამის მთელი ასი პროცენტით შესრულება, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ამ პროგრამის 50 პროცენტით გადაჭარბებაც. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში არ იქნება საკმარისი ნედლი მასალის ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებული იყო საწარმოო პროგრამით. პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულების მიხედვით გადიდებული უნდა იქნეს ნედლი მასალის რაოდენობაც, უამისოთ შეუძლებელია ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ პირობების შესრულება და წარმოების სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვება. ბევრმა ადმინისტრაციამ კი შეჯიბრების ხელშეკრულების განხილვისა და მასზე ხელის მოწერის დროს ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია და შემდეგშიაც არ მიიღო ზომები იმისათვის, რომ ხელშეკრულების შესასრულებლად წარმოება უზრუნველეყო საჭირო ნედლი მასალით. ამან კი გამოიწვია შრომის ნაყოფიერების საგრძნობლად შემცირება.

ნედლი მასალის უქონლობის გამო ძალიან ხშირია მუშაობის შეჩერება საქართველოს სატყეო ტრესტის თბილისის ავეჯეულობის ფაბრიკაში, მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკაში, ახალდაბის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში, საპონ-ზეთის ტრესტის ქარხნებში, ტყავტრესტის ფაბრიკებში და სხ. ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისა, რომ აღნიშნულ ტრესტების ადმინისტრაციას არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ნედლ მასალის საკითხის მოწესრიგებისათვის.

ნედლი მასალის რაოდენობაზეა დამოკიდებული მთელი წარმოების ბედ-იღბალი. რამდენადაც უზრუნველყოფილი იქნება ფაბრიკა-ქარხანა ნედლი მასალით, იმდენად ნაყოფიერი იქნება წარმოება, იმდენად უზრუნველყოფილი იქნება ფაბრიკა განუწყვეტელი შეკვეთებით. ნედლ მასალაზედვეა დამოკიდებული ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებაც და მისი თვითღირებულების შემცირებაც.

ნედლი მასალის სიმცირე იწვევს მუშაობის შეჩერებას და ეს კი თავისთავად ჰქმნის ზედნადებ ხარჯებს. ამგვარად თვითღირებულების შემცირების მაგიერ, დიდდება ფასები, შრომის ნაყოფიერების გაზრდის მაგიერ, მცირდება იგი და ფერხდება საერთოდ მთელი წარმოება. ამას ანგარიში უნდა გაუწიონ სამეურნეო ორგანოებმა და მიიღონ ყოველგვარი ზომები ფაბრიკა-ქარხნების ნედლი მასალით უზრუნველსაყოფად. ამისათვის კი აუცილებელი საჭიროა ნედლი მასალის მომარაგების საკითხი შეტანილი იქნეს პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებაში, რომელიც იდება ფაბრიკა-ქარხნებსა და ცალკე საამქროებს შორის. ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნედლი მასალის თავის დროზე მიწოდებაზეა დამოკიდებული სოციალისტური შეჯიბრების შემდეგი განვითარება.

ნ.

უგეგმო შვებულება წარმოებას ასუსტებს

(ქუთაისის მაუდის ფაბრიკა)

გეგმიანი შვებულებები წარმოება-დაწესებულებების ნორმალურ მუშაობას არ უშლის ხელს და მუშა-მოსამსახურეებსაც საშუალებას აძლევს შვებულება შესაფერისად გამოიყენონ. ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში 1925 წლამდე შვებულებათა საქმე არევ-დარეული იყო. მუშა-მოსამსახურეთა შვებულებაში გაშვება ჭიანურდებოდა წლობით, ამას კიდევ ემატებოდა შემდეგი წლების მორიგი შვებულებები და ამ რიგად გროვდებოდა შვებულებები რამდენიმე წლების, რაც სამგვარ ზარალს აყენებდა წარმოებას. ეს გარემოება საგრძნობლად ასუსტებდა წარმოებას. საშვებულებო დროთა დგროვება იწვევდა გასაცემ ნატურალურ შვებულების, საკომპენსაციო ჯილდოთი შეცვლას.

1925 წლიდან შვებულებებს ფაბრიკაში მიეცა გეგმიანი სახე. შემოღებული იქნა წელიწადში ფაბრიკის ერთი თვით შეჩერება (ზაფხულობით), მანქანების საერთო რემონტისათვის. ამ ერთი თვის განმავლობაში ეძლეოდა მუშა-მოსამსახურეთ შვებულება, რაც დიდ ნაყოფიერებას აძლევდა წარმოებას. მაგრამ წელს საშვებულებო სეზონზე მდგომარეობა ცოტათი შეიცვალა. რემონტისათვის ფაბრიკის ერთი ნაწილი იქნა შეჩერებული ორი კვირით და ნაწილი კი ერთი თვით. ამისდამიხედვით მუშების ერთი ნაწილს შვებულება მიეცა ორი კვირის და ნაწილს ერთი თვის, დანარჩენი მუშები შვებულებაში მიდიან თანდათანობით.

შვებულებების და ფაბრიკის შეჩერების ამგვარი ცვლილება გამომდინარეობდა ფაბრიკის ვე ინტერესებიდან. ფაბრიკაში ძველი მანქანები შეიცვალა ახალი მანქანებით, შენობები ფართოვდება, ხდება მანქანების რაციონალურად გადაჯგუფება და სხვა. ყველა ეს კი საჭიროებს საგრძნობ თანხებს, რაც შემდეგში ფაბრიკას მოსცემს ზედმეტ პროდუქციას. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ შვებულების ეს სისტემა ცოტა არ იყოს შეაფერხებს წარმოებას.

მაგალითად, თუ, თვითეული საწარმოო განყოფილებიდან შვებულებაში წავიდა თითო მუშა,—იმ შემთხვევაში, სანამ ასი—ორასი მუშა წავა შვებულებაში, რამდენიმე წელი მოუნდება და ასე განმეორდება ისევ პირველი ხანების შვებულების არევ-დარევა. თუ, განყოფილებიდან წავიდა ორი - სამი მუშა, წარმოება საგრძნობლად დაზიანდება, რადგან კვალიფიციური მუშების ახალი მუშებით დროებით შეცვლა შეუძლებელია და, რომ კიდეც შევცვალოთ ახალი მუშებით, მაინც შეჩერდება წარმოება. ამას აღნიშნავენ აგრეთვე განყოფილების ხელმძღვანელი ხელოსნებიც.

საჭიროა გულმიანობა, რათა შვებულებები ისე დამთავრდეს, რომ ფაბრიკის მუშაობა არ დახუნტდეს. განსაკუთრებით ეს საჭიროა ეხლა, როდესაც ფაბრიკა ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამიტომ სანამ გვიან არ არის, ფაბრიკის ადმინისტრატიული ტეხნიკური პერსონალმა, საწარმოო თათბირმა და ფაბკომმა „მოლომას“-ის ტრესტის დახმარებით აქედანვე უნდა შეუდგნენ ამ საკითხის მოგვარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხის მოუგვარებლობით მიმდინარე სამეურნეო წლის მე-4-ზე კვარტალი დამთავრდება ფაბრიკის საზარალოდ და სოციალისტურ შეჯიბრებაშიც ფაბრიკა ვერ გაიმარჯვებს.

ალ. შენგელია.

მოაწესრიგეთ შვებულების საკითხი

ზაფხულში ავადმყოფობის გამო შვებულებების გაცემის საკითხის მოწესრიგებას რკინის გზებზე საშველი არ დაადგა. წელს ეს საქმე უფრო აწეწილია ვიდრე ოდესმე.

რკ. გზის საავადმყოფოს და დისპანსერს უკვე მოაწყდა უამრავი ავადმყოფები და მოითხოვენ შვებულებას, იმ ექიმებისაგან, რომლებიც თვეობით უწევდნენ მკურნალობას. ამ ექიმებმა კარგად იციან ესა თუ ის მუშა-მოსამსახურე რა ავადმყოფობით არის დაავადებული და საჭიროებს თუ არა ის დასვენებას. მაგრამ რადგან მათ დამზღვევ სალაროდან აკრძალული აქვთ პროფილაქტიური შვებულების მიცემა, ექიმი ვერ ეხმარება დაავადებულს და ეს გარემოება ქმნის არანორმალურ მდგომარეობას.

შვებულების მიღების საკითხი რკინის გზის დამზღვევ სალარომ გადასცა კონსულტანტ ექიმებს. კონსულტანტ ექიმების მუშაობაში ყოველთვის ადგილი ექნება შეცდომებს რადგან ისინი ავადმყოფებს არ უწევენ სისტემატიურ მკურნალობას და მასთან კომისია უფრო ობიექტიურათ მიუდგება საკითხს, ვიდრე ცალკე კონსულტანტი ექიმი. ავადმყოფის მდგომარეობა, მისი ყოველდღიური გულისწუხილი, უფრო გაეგება იმ ექიმს, რომელიც თვეობით მკურნალობს ავადმყოფებს. ამიტომ შვებულების მისაცემი დასკვნისათვის კონსულტანტ ექიმთან ავადმყოფის გაგზავნა ზედმეტია.

ქალაქის საავადმყოფოში ეს საქმე უფრო მოწესრიგებულია. აქ შვებულების მისაცემად არსებობს საექიმო- საკონტროლო კომისია, სადაც სინჯავენ ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთ და თუ ავადმყოფი საჭიროებს შვებულებას აძლევენ. აქ შეცდომებს არ შეიძლება ექნეს ადგილი. ურიგო არ იქნება საგზაო დამზღვევ სალაროებმაც მიბაძონ ამ მაგალითს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რკ. გზის საავადმყოფოსთან საექიმო კომისიის დაარსება შეტანილია რკ. გზის ჯანმრთელობის განყოფილების ხარჯთაღრიცხვაში და დამტკიცებულია ცენტრში. კომისიის წევრთათვის ფულსაც კი ღებულობენ. კომისია—კი არ არსებობს. საინტერესოა, ვიცოდეთ სად მიდის ეს თანხა?

შ.

ასე ემჯობინება

(წინადადების სახით)

გასული წლის დასასრულს მოწვეული იქნა სახლების რწმუნებულთა საერთო კრება, სადაც მიცემულ დირექტივების თანახმად ჩამოყალიბდა მე-59 საბინაო ამხანაგობა „ბრძოლი“-ს სახელწოდებით. ამხანაგობის გამგეობაში შემავალ სახლებში უმთავრესად ცხოვრობენ მუშა - მოსამსახურენი, ინვალიდები, პენსიონერები და სხვ. ამხანაგობა განაგებს 32 სახლს. სახლების მეპატრონეებს თორმეტი და ცამეტი წლის განმავლობაში არ უზრუნვიათ სახლების შეკეთებაზე, ამის გამო სახლებს დაზიანებული აქვთ სახურავი, კიბეები, დერეფანი, კედლები, იატაკი, სამზარეულო, საპირფარეშო, სამრეცხველო და სხვ. სახლების შემოსავალი ვერ ფარავს გასავალს და ამგვარად ამხანაგობას არა აქვს საშუალება აწარმოოს რაიმე შეკეთება.

ამ ნიადაგზე მობინადრეები ყოველ დღე განცხადებით მიმართავენ ამხანაგობის გამგეობას სახლების შეკეთების შესახებ, მაგრამ უსახსრობის გამო მათი შეკეთება შეუძლებელი ხდება და სახლები უფრო ზიანდება. ასეთივე მდგომარეობაში არიან ბევრი სხვა ამხანაგობებიც. ამავე დროს ქალაქის ცენტრში ასეთი ამხანაგობების სახლებს უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე გასავალი, ამიტომ ჩემის აზრით, ურიგო არ იქნება, ამხანაგობების შემოსავლიდან შეიქმნას მთლიანი ფონდი უპირატესად დაზიანებულ სახლების შესაკეთებლად, ამით ავიცდენთ სახლების დანგრევას და ნაწილობრივ შევანელებთ საბინაო კრიზისსაც.

ნ. რუხაძე.



სტალინის სახელობის ავტო-სახელოსნო. ავტო-მანქანის შეღებვა

ღონისძიებები განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოსაღებად

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეისწავლოს განუწყვ. საწარ. წელიწადის შემოღების რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები. კომისიაში შედიან: ს.მ.უ.ს. რაციონალიზაციის განყოფილებიდან— ინჟ. სოკოლოვი (კომისიის თავმჯდომარე), ს.მ.უ.ს. ახალშენებათა სამმართველოდან—მთავარი ინჟენერი—ჩიკვაიძე, ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებიდან—ეკონომისტი ი. ნარსია, ს.მ.უ.ს. სამთო განყოფილებიდან ინჟ. კანდელაკი, ინჟ. დუნნიკოვი და ინჟ. ჩიქოვანი.

კომისიას დავალებული აქვს ერთი კვირის განმავლობაში შეისწავლოს საქართველოს მრეწველობაში ახალი რეფორმის შემოღების საკითხი და შეადგინოს წინასწარი გეგმა მრეწველობის ცალკე წარმოებების განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასასვლელად.

ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასვლის რეფორმა პირველ რიგში უნდა იქნას გატარებული—ახალ მშენებლობაში (ახალშენებათა სამმართველოს ხაზით), შემდეგ—საამშენებლო მასალათა დამამზადებელ მრეწველობაში (აგურის წარმოება, ხე-ტყის სახერხი ქარხნები, კირის წარმოება და სხვ.) და სამთო-მადნო მრეწველობაში.

კომისიის ინიციატივით უკვე ჩატარდა რამოდენიმე თათბირი მრეწველობის სხვადასხვა დარგებში აღნიშნული ახალი რეფორმის გასატარებლად საჭირო კონკრეტული ღონისძიებების შესამუშავებლათ.

განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღების შესასწავლად გამოყოფილია აგრეთვე ცალკე კომისია ამიერ-კავკ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან. კომისია მუშაობს ამიერ-კავკ. ს.მ.უ.ს. საგეგმო განყოფილებასთან.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა გაერთიანების შესახებ

ა. წ. 2 თებერვალს „ზარია ვოსტოკა“-ს მე-26 ნომერში მოთავსებული იყო ამხ. მეტრეველის წერილი საქ. ტეხნიკურ საზოგადოების ლიკვიდაციის და სამაგიეროდ ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციათაშორისო ბიუროსთან სამეცნიერო ტეხნიკური სექტორის შექმნის შესახებ. იგივე ავტორი ჟურნალ „ტეხნიკა და ცხოვრება“-ში (№ 1—2, 1929 წ.) ასაბუთებს ზემომოყვანილ დებულებას. ჟურნალმა მოათავსა ამხ. მეტრეველის წერილი, როგორც სადისკუსიო, მხოლოდ ხსენებულ აზრს უარყოფითად შეხედა და ინჟ. კაკაბაძის საპასუხო წერილით მომხრე არის, რომ საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება დარჩეს როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია. ამავე საკითხმა გაცხოველებული კამათი გამოიწვია სრულიად საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა მე-4 ყრილობაზე.

ჩვენ ვფიქრობთ, ეს საკითხი ამჟამად ისეთ სტადიაში იმყოფება, რომ მისი გადაწყვეტა საშური და მეტად საჭიროა. რაც ადრე მოწესრიგდება ის ორგანიზაციულად, იმდენად ადრე გახდება შესაძლებელი, რომ საქ. პროფსაბჭოსთან არსებულ ინჟენერ-ტეხნ. სექციათაშორისო ბიურომ შეასრულოს ამოცანები, რომელთაც მას პარტია და ხელისუფლება აკისრებენ.

მთავარი, რაც ჩვენის აზრით, უნდა შეასრულოს სექციათაშორისო ბიურომ, ეს არის მისი მუშაობისათვის მასიური სახის მიცემა, როგორც პროფესიონალური, ისე სამეცნიერო-ტეხნიკური ხაზით. ორი დამოუკიდებელი ორგანიზაციის არსებობა კი ერთ და იმავე სამუშაო არეზე ჰქმნის ძალების დაქსაქსულობას და მუშაობის შეუთანხმებლობას.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციათაშორისო ბიურო აერთიანებს საქართველოს მთელ ინჟენერ-ტეხნიკოსთა მასას და მასთან შექმნილი სამეცნიერო-ტეხნიკური სექტორის საშუალებით ადვილად და მიზანშეწონილად აწარმოებს მუშაობას.

უდავოა, რომ საქ. ტეხნიკური საზოგადოების მუშაობის არე მეტად განსაზღვრული და არა მასიურია და ასეთად დარჩება შემდეგშიაც, თუ მან იარსება, როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ.

ამ საზოგადოების ცალკე მომხრენი ამბობენ, რომ საქ. ტეხნიკური საზოგადოება არის ინჟენერთა სრულიად საკავშირო ასოციაციის („ვაი“) ფილიალი და რამდენად ეს ასეა საქ. ტეხნ. საზოგადოებაც უნდა დარჩეს, რადგან ხსენებული ასოციაცია არსებობს. ჟურნალ „ტეხნიკა და ცხოვრების“ № 1—2-ში ინჟ. კაკაბაძე სწერდა: „საბჭოთა კავშირში არსებობს ეგრედ წოდებული „ვაი“-ც, რომლის განყოფილებას ჩვენ წარმოვადგენთ“-ო.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა სრულიადსაკავშირო მე-4 ყრილობას დაესწრო ამხ. კაკაბაძე და მან იცის, რომ ყრილობამ იმ მიზნით, რათა ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალები დაუახლოვოს მუშათა ფართე ფენებს, რათა შეერთებული ძალებით დაძლეულ იქნენ ყველა დაბრკოლებანი სოციალისტურ მშენებლობაში,—დაადგინა, მოხდეს „ვაი“-ს და მისი ფილიალების ლიკვიდაცია, როგორც ისეთი კორპორაციის, რომელიც თავისით მივიდა თვით-ლიკვიდაციამდე და რომელიც ატარებდა ვიწრო ცეხურ ინტერესებს სპეციალისტების განსაზღვრულ ჯგუფში, რომელიც დაკავშირებული არ იყო არამც თუ ფართო მუშათა მასასთან, არამედ თვით ინჟენერ-ტეხნიკოსთა მასასთანაც.

ჩვენი აზრით, ყრილობის დადგენილების შემდეგ საკითხი ფორმალურადაც გადაწყვეტილია და რაც ადრე მოხდება საქ. ტეხნიკურ საზოგადოების შეერთება ინჟ. - ტეხნ. სექციათაშორისო ბიუროსთან და სამეცნიერო-ტეხნიკური სექტორის შექმნა, იმდენად ინჟენერ-ტეხნიკოსები სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ დავალებებს.

ჯ. გოგიჩაიშვილი.

მზადება კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

საქართველოს კოოპერატიული ორგანიზაციები შეუდგნენ მზადებას კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად. თბილისის მუშკოოპს განზრახული აქვს ფართოდ გამოიყენოს ეს დღე კოოპერატიული იდეების და მუშკოოპის მიღწევათა საპოპულარიზაციოდ. ამ მიზნით მთელ რიგ მუშათა კლუბებში მოეწყოს მოხსენებები, კონცერტები და კოოპერატიული შინაარსის მხატვრული დადგმები. მუშკოოპის მაღაზიებში №№ 1, 7 და 9 და რუსთაველის პროსპექტსა და სადგურის ჩიხზე მდებარე პასაჟებში მოეწყობა ლატარიები. ამავე დღეს მოხდება კოოპერატიული კუთხეების და საბავშო მოედნების გახსნა საბჭოთა და სავაჭრო და სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა კლუბებში.

კოოპერაციის აქტიურ წევრებს დაურიგდებათ კოოპერატიული შინაარსის წიგნები და გაზეთი „ჩვენი კოოპერაცია“.

კოოპერატიულ ორგანიზაციათა თათბირი

დღეს ცეკავშირში შესდგება საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც განიხილავენ კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩატარების საკითხს.

„კოოპერაციის საერთაშორისო დღე“

ცეკავშირმა გამოსცა კეცხოველის ბროშიურა „კოოპერაციის საერთაშორისო დღე“, რომელიც გასავრცელებლად დაეგზავნა ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

—:—

ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობამ თავის ქსელს გაუგზავნა სადირექტივო წერილი და მასალები კოოპერაციის დღის ჩასატარებლად და კოოპერაციის მიღწევათა საპოპულარიზაციოთ. ამ დღეს გაიხსნება საბავშვო მოედნები სადგურ ხაჩმასში, ბალაჯარაში, აჯიკაბულში, აქსტაფაში, ხაშურში, შორაპანში და სამტრედიაში.

სტუდენტები ბანაკად

ჩვენი უმაღლესი სკოლების გასამხედროების საქმეს უკვე ჩაეყარა მტკიცე საფუძველი.

სამხედრო საქმის შესწავლა სავალდებულოა უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის სამოსწავლო წლის განმავლობაში სტუდენტები თეორიულად გადიან სამხედრო საქმეს, ეცნობიან სამხედრო ხელოვნების საფუძვლებს და იძენენ ისეთ ცოდნას, რომელიც საჭიროა მებრძოლისათვის ამა თუ იმ საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს.

წელს სტუდენტების გასაცნობად სამხედრო საქმესთან პრაქტიკაზე შემოღებულ იქნა სტუდენტების გასვლა ბანაკად.

15 ივნისს გორის ბანაკში გაემგზავრა პოლიტეხნიკუმის 170 სტუდენტი.

სტუდენტებისათვის დადგმულია ცალკე კარავები ბანაკის მიდამოებში.

ბანაკად სტუდენტები ეწევიან ისეთივე ცხოვრებას, როგორც რიგის წითელი არმიელები. ყველა სტუდენტი გამოწყობილია წითელი არმიელის ტანისამოსში, ისე, რომ გარეგნობით ისინი არ განსხვავდებიან წითელი მებრძოლებისაგან.

მათთან სამეცადინოთ გამოყოფილი არიან მეთაურები და პოლიტხელები № ქართ. მსრ. ლეგიონიდან. კმაყოფაზე სტუდენტები ირიცხებიან ამავე ლეგიონში.

ზაფხულის პერიოდში (თვე ნახევრის განმავლობაში) სტუდენტებმა უნდა გაიარონ პრაქტიკაზე სასროლო საქმე, ტოპოგრაფია, ტაქტიკა, სამწყობრო საქმე, თითქმის ყველა ის საგნები, რომლებიც მათ ზამთარში შეითვისეს თეორიულად.

უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც სტუდენტები შეუდგნენ საბანაკო ცხოვრებას.

№ ლეგიონის მეთაური ამხ. ყიფიანი, რომელიც ხელმძღვანელობს სტუდენტების საბანაკო სწავლებას, დიდათ კმაყოფილია სტუდენტების მეცადინეობით.

სტუდენტები საუკეთესოდ ითვისებენ ყოველ საგანს და სამაგალითოდ ასრულებენ მეთაურების დავალებებს.

სამწყობრო საქმე სტუდენტებმა ზედმიწევნით შეითვისეს ისე, რომ ისინი არ ჩამოუვარდებიან კადრის ნაწილების არმიელებს. კარგად შეითვისეს აგრეთვე სროლაც. დიდი მიღწევები აქვთ ტოპოგრაფიაში და ტაქტიკაში.

მეთაურები გამოსთქვამენ იმედს, რომ საბანაკო პერიოდის დასრულებისას, სტუდენტები საუკეთესოდ იქნებიან გაწვრთნილნი სამხედრო დარგში.

40 სტუდენტი საამშენებლო დარგიდან მეცადინეობენ № დივიზიის მესანგრეთა ასეულში, სადაც სწავლობენ სამხედრო საინჟინრო საქმეს.

სტუდენტები ბანაკად არ კმაყოფილდებიან მარტო სამხედრო საქმის შესწავლით. საღამოობით ისინი ეცნობიან სკოლის გარეშე მუშაობის წარმოებას წითელ არმიელებთან. ატარებენ ხმა-მაღალ კითხვას, ასწავლიან არმიელებს წერა-კითხვას, მუშაობენ სხვადასხვა წრეებში.

თავიანთ შორის სტუდენტებს ჩამოყალიბებული აქვთ სასპორტო, დრამატიული და სხვა წრეები.

ბანაკად სტუდენტებისათვის მოწყობილია ლენინის კარავი, სადაც დასვენების დროს კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს და მართავენ საუბრებს მიმდინარე საკითხების ირგვლივ.

ე. ხუციშვილი.

გარბიან ოპოზიციიდან

ლ. სერებრიაკოვი ჩამოშორდა ტროცკისტებს

1928 წლის დასაწყისში მე ჩამოვშორდი ოპოზიციას და მას შემდეგ არავითარი კავშირი აღარ მქონია მასთან. სხვადასხვა გარემოების გამო ვერ მოვახერხე ჩამომეყალიბებინა ჩემი თხოვნა პარტიაში დაბრუნების შესახებ. მას შემდეგ, რაც პარტიას ჩამოვშორდი, მივედი იმ დასკვნამდე, რომ არავითარი პოლიტიკური უთანხმოება არ მაქვს მე პარტიასთან. ჩემთვის ეხლა აშკარაა ჩემი წარსული შეცდომები, განსაკუთრებით, ფრაქციული ბრძოლის გამწვავებაში ჩემი მონაწილეობა, რის გამართლებაც არაფრით არ შეიძლება. ჩემთვის აშკარაა აგრეთვე, რომ პოზიცია ტროცკის და იმ ოპოზიციისა, რომელსაც ის მეთაურობს, უაღრესად მტრულად არის განწყობილი ჩვენი პარტიისა და საბჭოების მიმართ. ამის გამო მე ვხსნი ჩემს ხელმოწერას ყველა ფრაქციულ დოკუმენტზე, რომლებიც სამართლიანად დაჰგმო პარტიამ და ვთხოვ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას — აღმადგინოს საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრის უფლებებში. თავის თავად ცხადია, რომ პარტიის ყველა გადაწყვეტილება სავალდებულოდ მიმაჩნია ჩემთვის.

პარტიის ყოფილი წევრი 1905 წლიდან.

ლ. სერებრიაკოვი.

„პრავდა“.

რა ხდება ადგილებზე

აბრეშუმის პარკის დამზადება

წნორის-წყალი, 3 ივლისი. (ჩვენი კორესპ.) წნორის რაიონი კახეთის მაზრაში ძლიერ რაიონად ითვლება აბრეშუმის პარკის დამზადების საქმეში. 15 ივნისიდან უკვე დაიწყო პარკის მიღება საშრობ ქარხანაში, დღეში საშუალოდ 130 ფუთი პარკი მოდის. ფარდულში დღემდე მიღებულია 1480 ფუთი. პარკი. საპერსპექტივო გეგმით ნავარაუდევია დამზადდეს წნორის სამოქმედო რაიონში— 28.000 ფუთი პარკი.

ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევს პარკის ფასის შარშანდელ დონეზე დატოვება, ვინაიდან კონტრაქტაციის დროს აბრეშუმის დამამზადებელ ტრესტის მიერ იყო დაპირება ფასების მომატებაზე. მაგალითად, წელს ფუთი თეთრი პარკი იყიდება 20-დან 25 მან. და 44 კაპეიკამდე, ყვითელი პარკი 23 მ. 36 კ.— 28 მ. 32 კაპ.

უნდა აღინიშნოს, რომ პარკის ფარდულში მომუშავე ქალების ხელფასი მცირეა. მაგ., 8 საათში ისინი ღებულობენ 90 კაპ. პარკის ფულის გაცემა ვერ სდგას სათანადოთ, 30 ივნისის და 1 ივლისს არ გაცემულა პარკის ღირებულება, რის გამო გლეხობას ათეული კილომეტრის მანძილზე რამოდენიმეჯერ უხდება წოსვლა.

საქართველოს აბრეშუმის დამამზადებელმა ტრესტმა დროზე უნდა მიიღოს ზომები არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად.

თ. ჭოჭუა.

აფხაზეთის საკურორტო მშენებლობა

სოხუმი, 2 ივლისი. მთავარმა საკურორტო სამმართველომ შეადგინა აფხაზეთის საკურორტო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. გეგმა ითვალისწინებს სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობას სამკურნალო ფაქტორების შესასწავლად, ბალნეოლოგიური კურორტების ქსელის განვითარებას და სამთო კლიმატიური სადგურების მოწყობას. 4 მარტის სახელობის სანატორიუმს მოემატება ახალი კორპუსი. სოხუმში აგებული იქნება წყლით სამკურნალო, ხოლო მის მიდამოებში—ორი სანატორიუმი. ახალი სანატორიუმები აიგება აგრეთვე გულრიფშში, მიუსერში და გაგრაში. აგუძერაში, ათონზე და გაგრაში აგებული იქნება კარგად მოწყობილი წყლით სამკურნალოები. თვალსაჩინო ადგილი ხუთწლიან გეგმაში დაეთმო აეროს და ტყვარჩელის განვითარებას. მთიან ადგილას აეროში, რომელმაც დიდი პოპულიარობა მოიპოვა აფხაზეთის გლეხებს შორის, გადასწყდა აიგოს 50 სასტანდარტო კოტეჯი. იქვე მოეწყობა ამბულატორია, წყალსადენი და კანალიზაცია.

ხუთწლიანი გეგმის პირველ წელს ტყვარჩელში უნდა აიგოს სასტუმრო (ქვის შენობა) და ოთხი სახლი 200 მოაგარაკესთვის. შემდეგ წლებში აიგება გოგირდის აბაზანები, მეორე სასტუმრო და სანატორიუმი. მეორე ხუთი წლის განმავლობაში ტყვარჩელი გადაიქცევა პირველხარისხოვან ბალნეოლოგიურ და სამთო-სამკურნალო კურორტად. ტყვარჩელს დიდი შესაძლებლობანი აქვს ამისათვის. ტყვარჩელი, რომელიც მაღლა მთებში მდებარეობს, საუცხოვო ჰაერით არის განთქმული. ტყვარჩელის ირგვლივ მდებარე სოფლებში არის რადიო-აქტიური და გოგირდის წყაროები. ამ გეგმის განსახორციელებლად მახლობელ ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 11 მილიონი მანეთი. (ადს).

ნავთსადგურის ახალი საწყობი

ბათომი, 1 ივლისი. ნავთსადგურის სამმართველომ შეადგინა დიდი მექანიზაციაქმნილი საწყობის აგების პროექტი. საწყობი აიგება უცხოეთის გემთსადგომის რაიონში საექსპორტო ნავთის პროდუქტების შესანახად. საწყობის აგება დაჯდება 300.000 მანეთად. „ნეფტესინდიკატი“ იქვე აგებს ბიდონის ახალ ქარხანას. (ადს).

საექსკურსიო სეზონი

ბათომი, 1 ივლისი. საექსკურსიო სეზონმა, რომელმაც, ცივი გაზაფხულის გამო რამდენიმე დაიგვიანა, ეხლა გაჩაღებულია. საექსკურსიო ბიუროს ცნობებით, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან უკანასკნელ დროს ბათომში ყოველ-დღე მოდის 250-დან 300-მდე ექსკურსანტი. სეზონის დასაწყისიდან 28 ივნისამდე საექსკურსიო ბაზაში გაიარა 5.000 კაცზე მეტმა. ბათომში მუშაობს ორი საექსკურსიო ბიურო—„საქართველოს ტურისტი“ და „საბჭოთა ტურისტი“. პირველს აქვს ორი ბაზა, საწოლი მოწყობილებით 400 კაცისათვის. მეორეს აქვს ცენტრალური ბაზა ბათომში და ბაზა მწვანე კონცხზე. ბაზაში მუშაობს ექიმი. მოწყობილია კულტურული დასვენების, სათამაშოების, სამკითხველოს და სხვა კუთხეები. სურსათის ნაკლებობის საფრთხე არ არსებობს. ყველა ბაზაში ჩამოსულებს პური და შაქარი საკმაო ეძლევა. მოწყობილია იაფი სასადილოები. სეზონის განმავლობაში მოელიან 25.000 ექსკურსანტს. (ადს).

ბათომის ნავთსადგურის გაღრმავება

ბათომი, 1 ივლისი. დამთავრდა მუშაობა ბათომის ნავთსადგურის გასაღრმავებლად და უცხოეთის გემთსადგომში შესავალის გასაფართოებლად 200 მეტრამდე. სიღრმე გემთსადგომის შიგნით გაფართოვებულია 33 ფუტამდე, რაც საშუალებას იძლევა ნავთსადგურში დაუბრკოლებლად შემოვიდეს და გაჩერდეს ოკეანის ყველა დიდი გემები. (ადს).

ჩაის კულტურის მუშაკთა მესამე აგრონომიული თათბირი

ბათომი, 2 ივლისი. ბათომში გაიხსნა „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობის მიერ მოწვეული ჩაის კულტურის მუშაკთა მესამე აგრონომიული თათბირი. თათბირი დაამუშავებს აგროკულტურული განყოფილების მოხსენებებს შესრულებული მუშაობისა და 1929—30 წელს განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ. თათბირი განიხილავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც შეეხებიან ჩაის პლანტაციების კოლექტივიზაციას, მოსავლიანობის გადიდებას და საზღვარგარეთიდან მოტანილი ჯიშების აკლიმატიზაციას. შემდეგ განიხილავს ჩაის რაიონებში მიწათმოწყობის საკითხებს და ჩაის მრეწველობის საფაბრიკო მნიშვნელობის გეგმას ხუთი წლისათვის. თათბირი მოისმენს აგრეთვე მოხსენებას ჩინეთსა და იაპონიაში გამგზავრების შესახებ.

შესავალ სიტყვაში ამხ. ქავთარაძემ დაახასიათა საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების ეტაპები და აღნიშნა მიღწევები.

თათბირის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა [illegible] ცნობილი მკვლევარი პროფესორი ბოიარენკო, აგრეთვე ბოლსუნოვსკი. (ადს).

სასკოლო შენობების უმწეო მდგომარეობა

(განათლების სექცია)

განათლების სექციამ თბილისის სკოლების შენობების მდგომარეობის გამოსარკვევად გამოჰყო ცალკე კომისია, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა.

გამოკვლევის შედეგების შესახებ სექციის უკანასკნელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა კომისიის წარმომადგენელმა ამხ. როსტომოვმა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თბილისის სკოლების, საბავშვო ბაღების და სამკითხველო-ბიბლიოთეკების შენობების 80 პროც. უნუგეშო მდგომარეობაშია. განსაკუთრებით სკოლების შენობებია დაზიანებული. შენობებს სახურავი არ უვარგა და წყალი ჩამოდის, კიბეები ინგრევა, იატაკი და ჭერი გაფუჭებულია, კარები ჩამოვარდნაზეა, ღუმელებში ცეცხლის დანთება არ შეიძლება, კედლები დახეთქილია და სხვ.

შარშან ჩატარებულ იქნა შენობების ნაწილობრივი შეკეთება, მაგრამ ისე უხეიროთ და უყაირათოდ, რომ წელსაც საჭიროებენ შეკეთებას.

საერთოდ შენობების შეკეთება არ სწარმოებს დამაკმაყოფილებლად, მკვიდრათ. მაგალითად მე-76 შრომის სკოლის შეკეთებაზე შარშან დაიხარჯა დიდძალი თანხა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ სახურავში ისევ ჩამოვიდა წყალი, შეღებილი კედლები გაფუჭდა და ხარჯმა უქმად ჩაიარა.

სკოლების შენობებში ცხოვრობენ კერძო მდგმურები, რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ბინებს. შენობების დაცვას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ თვით სკოლის გამგეებიც. არც სკოლების ინვენტარია სათანადოთ მოვლილი.

გარდა ამისა სკოლებში გამეფებულია ანტისანიტარული მდგომარეობა.

საბავშვო ბაღები მოთავსებულია ისეთ ბინებში, სადაც ზამთრობით ბავშვებს კი არა, დიდებს გაუჭირდებათ ყოფნა, რის გამო ხშირია ბავშვების გაცივებისა და დაავადების შემთხვევები.

რომ სკოლების შენობები ვიხსნათ დანგრევისაგან მომხსენებლის სიტყვით საჭიროა არა ნაკლებ 1.500.000 მანეთი, წელს კი სკოლების შესაკეთებლად გადადებულია მხოლოდ — 60.000 მანეთი. ასე რომ ამ თანხით შესაძლებელი იქნება მხოლოდ რამდენიმე შენობის ნაწილობრივი შეკეთება.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ შენობების დაცვას ნაკლები ყურადღება ექცევა, მათი შეკეთება სწარმოებს უგეგმოთ და უყაირათოთ, მიზანშეუწონლად იხარჯება თანხები.

დასასრულ სექციამ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები სკოლების შენობების დასაცავად. სექციამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა თბილისის აღმასკომის წინაშე, რათა სკოლის შენობების შესაკეთებლად გადაიდოს საჭირო თანხები და შეკეთება ჩატარებული იქნას დაჩქარებით; შენობების შეკეთება დამთავრდეს სასწავლო წლის დაწყებამდე; სკოლის შენობებიდან გამოსახლებული იქნენ კერძო პირები, და თავისუფალი ოთახები გადაეცეს სკოლას, რომ თავიდან იქნას აცილებული რამდენიმე წყებად მეცადინეობა და ბინის სივიწროვისაგან გამოწვეული სხვა ხელის შემშლელი პირობები; აგრეთვე განთავისუფლებულ ბინებში გადატანილი უნდა იქნას სკოლის სახელოსნოები, რომლებიც დღეს მოთავსებულნი არიან უსინათლო და ცუდ ოთახებში; პიონერთა კოლექტივები და ა.-ლ.-კ.-კ. უჯრედები მოთავსებულნი იქნან შესაფერ ბინებში; სოფლის გამგეებს კატეგორიული წინადადება მიეცეთ მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ შენობების და სასკოლო ინვენტარის დასაცავად.

გარდა ამისა სექციამ მიზანშეწონილად სცნო სასტიკი მეთვალყურეობა გაეწიოს შენობების შესაკეთებლად წარმოებულ მუშაობას.

თბილისის აბანოების მუშაობის გაუმჯობესება

(კომუნალურ სექციაში)

1 ივლ. ტრამვაის მუშ. კლუბში შესდგა თბილისის საბჭოს კომუნალური სექციის სხდომა, რომელმაც განიხილა თბილისის აბანოების მუშაობის საკითხი. მოხსენებები გააკეთეს აბანოების გამგემ ამხ. კუპატაძემ და კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ლ. მაისურაძემ. უნდა აღინიშნოს, რომ სექციის კომისია, თუმცა იგი სულ ბოლო ხანებში ჩამოყალიბდა, ენერგიულად შესდგომია მუშაობას, შეუსწავლია ზოგიერთი აბანოს მდგომარეობა და შეუმუშავებია საქმიანი პრაქტიკული მითითებები.

რა მდგომარეობაა თბილისის აბანოებში?

18 აბანოდან ამჟამად მუშაობს მხოლოდ 11. დანარჩენი ზოგი მიტოვებულია და ზოგის შეკეთება სწარმოებს. აბანოების წლიური შემოსავალი ნავარაუდევია 560.000 მან. რაოდენობით. რვა თვის განმავლობაში შემოვიდა სულ 289.481 მანეთი. ამავე ხანში დაიხარჯა დაახლოებით 192 ათას მანეთამდე. აბანოები განსაკუთრებით დატვირთული არიან საღამოობით, ვინაიდან მუშა-მოსამსახურეებს მხოლოდ საღამოობით შეუძლიათ აბანოთი ისარგებლონ. ამ დროისთვის ჯერ ერთი აბანოებთან შექმნილია რიგები და მეორე, თვით აბანოები უკვე ჭუჭყიანია, ვინაიდან აბანოები ღიაა დილიდანვე და მათი წმენდა სწარმოებს მხოლოდ მუშაობის შეწყვეტის შემდეგ. ეს გარემოება ნათელჰყოფს, რომ საჭიროა აბანოები ღია იქნეს არა ნაკლებ 18 საათისა დღეში, განსაზღვრულ საათებში მოეწყოს შესვენება და შესვენების დრო გამოყენებული იქნას აბანოების გასასუფთავებლად, რომ მუშა-მოსამსახურეებმა ისარგებლონ სუფთა აბანოთი გარდა ამისა აბანოები ღიად უნდა იქნან კვირა-უქმე დღეებშიაც. ამასთანავე საჭიროა აბანოების აგება მუშათა რაიონებში (უბრალო წყლის აბანოები) და ზომების მიღება გოგირდის წყლის ახალი წყაროების მოსაძებნად, რომ შესაძლო იქნეს გოგირდის აბანოების გაფართოება. აბანოებიდან წამოსულ ბინძური წყლით ახლო-მახლო მცხოვრები რეცხავს სარეცხს, რაც უსათუოდ უნდა მოისპოს, ხოლო ამ მიზნისათვის საჭიროა აბანოებიდან მომდინარე ბინძური წყლის იზოლაცია. საჭიროა გარნიზონისათვის გამოიყოს ყოფილი თამამშევის აბანო, რომელიც უკეთ არის მოწყობილი არმიის მოთხოვნილებებთან შეფარდებით. რომ ერთ აბანოს არ მიაწყდეს ბევრი მობანავე და მეორე არ დარჩეს სულ ცარიელი, საჭიროა ცენტრალური სალაროს მოწყობა, რომელიც მობანავეებს გაანაწილებს აბანოთა შორის.

მექისეებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი „ბობოლებისადმი“ განსაკუთრებულ ყურადღებას და მუშა-მოსამსახურეთადმი უპატივცემლობას, რაც გამოწვეულია მათი გასამრჯელოს აღების წესით. საჭიროა მოეწყოს მექისეების გასამრჯელოს სალაროში გადახდა. ამ საფასურიდან მათ უნდა მიეცეს იმდენი, რომ შეეფერებოდეს მათს ეხლანდელ ხელფასს. ამასთანავე ადმინისტრაციამ უფრო ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური აბანოს მუშაკებს და მოსთხოვოს მათ მობანავეთადმი სათანადო მოპყრობა.

აბანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად სექციამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები.

შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტი“-ს 149 №-ში გამოქვეყნებული „ამ.-კავკასიის პასუხისმგებელ პარტმუშაკთა წმენდის შედეგებში“ დაშვებულია შემდეგი შეცდომა — სწერია: — შენიშვნა მიეცეს, სტაჟი შეუმცირდეს და მუშაობა აეკრძალოს ცენტრ. საკონტრ. კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხაზით საქ. ცენტრ. საკონტრ. კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის აღმასრულებელი ბიუროს გამგეს ვ. გოგიბერიძეს.

ამ დადგენილებაში სიტყვები „სტაჟი შეუმცირდეს“ — **შეცდომით არის ჩამატებული.** სინამდვილეში კი ამხ. ვალ. გოგიბერიძეს ზემოხსენებული კომისიის მიერ **დაუმტკიცდა ძველი სტაჟი 1924 წლიდან.**

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ვაკის სასროლ მოედანზე 3-დან—15 ივლისამდე, და მლაშე ტბის მიდამოებში 3,5 და 7 ივლისს იწარმოებს საბრძოლო სროლა; 3 ივლისს ავლაბრისა და კუკიის ტბების მიდამოებში—იწარმოებს ყუმბარების სროლა ჰაეროპლანებიდან; 4,5 და 6 ივლისს თეთრი დუქნის რაიონში სამხედრო გზის გასწვრივ იწარმოებს სროლა შაშხანა თოფებიდან, ტყვიამფრქვევებიდან და ჯავშნიან ავტომობილებიდან.

ჩეხო-სლოვაკელი ტყის მრეწველები თბილისში

თბილისში ჩამოვიდენ ჩეხო - სლოვაკიის ტყის მრეწველების წარმომადგენლები მ. ზრუბერი და ვალ. ფუხსი, რომლებსაც დავალებული აქვთ საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტთან შეთანხმებით მოახდინონ საქართველოს იმ ტყეების დათვალიერება, სადაც შესაძლებელია საექსპორტო ხე-ტყის დამზადების წარმოება. აღნიშნულმა სპეციალისტებმა უკვე დაათვალიერეს ლაგოდეხის ტყეები, სადაც მოიპოვება ე. წ. ჯავარიანი ბოყვის ჯიშის ხეები.

ჯავარიანი ბოყვის ხე-ტყე ითვლება ძვირფას საექსპორტო საქონლათ.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა მეორე თათბირი

დღეს, საღამოს 8 საათზე მბეჭდავთა კავშირის მუშათა კლუბის ბეჭდვითი სიტყვის კუთხეში შესდგება თბილისის გაზეთების ინფორმაციის მუშაკთა მეორე თათბირი.

11 ტრაქტორი

ამ დღეებში საქართველოში მომქმედ ტრაქტორებს ემატება 11 ტრაქტორი. აქედან სამი ძველი ტრაქტორი „სოფლის კავშირმა" შეაკეთა თავის ქსელში შემავალ საკრედიტო ამხანაგობების შემკეთებელ სახელოსნოებში და გაუნაწილა შემდეგ ამხანაგობებს: ნატახტარის კოლექტივების ჯგუფურ გაერთიანებას, მცხეთის არტელ „ვუთანს" და ონტოფო-სეფიეთის კოლექტივ „მუშურ"-ს. გარდა ამისა „სოფლის კავშირი"-ს სახელზე პუტილოვის ქარხნიდან გადმოგზავნილია 8 ახალი „ფორძონი-"ს სისტემის ტრაქტორი, რომლებიც ამხანაგობათა შორის განაწილებული იქნება მიღებისთანავე.

ქუთაისის ქალაქის ლომბარდი

ქუთაისის ქალაქის აღმასკომმა შეუდგა ქუთაისის ქალაქის ლომბარდის მოწყობის საქმეს. საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა ლომბარდის წესდების დამტკიცების შესახებ. ლომბარდის ძირითადი თანხა ექნება 50.000 მანეთის რაოდენობით. ამჟამად ლომბარდები არსებობდენ მხოლოდ თბილისში, სოხუმში და ბათომში.

ჩაის საბჭოთა მეურნეობა

„საქართველოს ჩაი" შეუდგა აჭარისტანში ჩაის დიდ საბჭოთა მეურნეობის მოწყობას.

ჩაის ახალი პლანტაციები გაშენებული იქნება 200 ჰექტარზე.

ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობათ გადადებულია 650.000 მანეთი.

არქიტექტორ-მშენებელთა გამოშვება სამხატვრო აკადემიიდან

კვირას, 7 ივლისს, დღის 12 საათზე სამხატვრო აკადემიის კლუბში შესდგება არქიტექტორულ პროექტების საჯარო დაცვა, დიპლომანტების ამხ. სარდარიანის და პაპაიანის მიერ. თემა: „ბაზარი მადათოვის კუნძულზე" ორი ვარიანტით. ოფიციალური ოპონენტები: პროფ. სევეროვი, კალგინი და ინჟინერი ჰატოლეევი.

სახელმძღვანელოს აკრძალვა

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, გრ. ჯაფარიძის და ელ. სულხანიშვილის მიერ რუსულ ენაზე შედგენილი: „გეოგრაფია გრუზიი" (მე-7 ჯგუფისათვის სახელმძღვანელო, გამოცემა სახელგამის 1928 წ.) აკრძალულია როგორც უვარგისი სახელმძღვანელო.

თბ. აღმასკომში

◆ **ღარიბთა ფონდის** გასაძლიერებლად გადაიდო 46.000 მანეთი.

◆ **ქუჩებში მოძრაობის წესი.** თბ. აღმასკომმა დაამტკიცა ქუჩებში მოძრაობის ახალი წესი, რომლის დამრღვევნი დაჯარიმებულნი და დასჯილნი იქნებიან ადმინისტრატიული წესით.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

◆ **სათესლე ფონდის** შესაქმნელად მიწსახკომმა გადასდო 114.000 მ.

◆ **ხილის ბაღების მასიური წამლობის** ჩასატარებლად გორის მაზრაში, გადაიდო 101.000 მანეთი.

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში

— **დახმარება ყრუ-მუნჯების საზოგადოებას.** სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას დახმარებათ მისცა 500 მანეთი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **საექიმო პუნქტების ქსელის** გასაფართოებლად აჭარისტანში გადაიდო 7.000 მანეთი.

◆ **თვალის ექიმთა რაზმი.** დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა თვალის ექიმთა რაზმი.

გლეხკომები

◆ **გლეხების შეღავათიან ფასებში გადასაყვანად** ლანჩხუთის გლეხკომმა შეიძინა ავტომობილი.

◆ **პლენუმი.** 20 ივლისს ბათომში შესდგება აჭარისტანის ცენტრალური გლეხკომის პლენუმი.

◆ **გლეხთა სახლები.** სამტრედიაში და ხონში გაიხსნა გლეხთა სახლები.

◆ **ქრა-კვრის სკოლები.** გორდის და კირჩხის (ქუთ. მაზრა) გლეხკომებმა გახსნეს ქრა-კვრის სკოლები გლეხი ქალებისათვის.

სხვადასხვა

◆ **სასკოლო მშენებლობა,** სამხრეთ-ოსეთში სასკოლო მშენებლობისათვის საქ. მთავრობამ გადასდო 20.000 მან.

◆ **კოლექტიურ მეურნეობების მუშაობის** გასაცხოველებლად ქუთ. სამაზრო აღმასკომს სას.-სამ. ბანკიდან სესხად მიეცემა 67.000 მ.

◆ **აგურ-კრამიტის ქარხანა.** ზუგდიდში ამუშავებული იქნა აგურ-კრამიტის ახალი ქარხანა.

◆ **მუშათა სასახლის მცირე დარბაზში,** დღეს, 3 ივლისს, საღამოს 7 ს. მოწვეულია ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის წევრთა და კანდიდატთა (აქტივის) საერთო საქალაქო კრება.

—:—

„სოფლის კომუნისტი"

გამოვიდა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი" № 6 (49). შინაარსი: საკ. კომ. პარტიის მე-16 კონფერენციის მოწოდება. გრ. არუთინოვი—სოფლის მეურნეობის საკითხები. საქართველოს კომ. პარტ. (ბ) მე-6 ყრილობაზე, მ. ტორომშელიძე—კოოპერაციის საერთაშორისო დღე და კოოპერატიული ალიანსი, ზ. ჩხვაძე — ჩვენი სოფლის ქონებრივი დანაწილება, ბ. მესხი—სოფელთაშორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, ა. ქანთარია—კოლმეურნეობის მშენებლობის ზოგიერთი საკითხები, ა. შენგელია—კოლექტივების მუშაობის დეფექტები, ს. ხოშტარია—სავალდებულოა თუ არა სოფლის კომუნისტისათვის კოლმეურნეობის წევრობა, კ. გორდელაძე—კლასიური ბრძოლა სოფლად და პარტუჯრედების ამოცანები, ხ. ჯუღელი—შეუდგეთ საშემოდგომო თესვისათვის მზადებას, აგრ. ა. ხაბურზანია—მოსავლის აკრეფა და კონტრაქ. შესრულება, ნ. ა.—ლი—სავალდებულო აგრომინიმუმი, ვ. დევძე—კომკავ. მოსავლის გადიდებისათვის ლაშქრობის შედეგები, ქრ. კოხტაშვილი—საჭიროა თუ არა სადგილ-მამულო საზოგადოებანი, დ. დეკანოსიძე—რათ არ არის საჭირო მიწათმოწყობის დროს სადგილ-მამულო საზოგადოების შემოღება, ს. ლომიძე—პარტიის წმენდის გამო, სტ. მამულოვი—სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკული ამოცანები, მოჯამაგირე—პარტწმენდასთან დაკავშირებით გავაძლიეროთ მოჯამაგირეთა მიღება, ა. ჭოჭუა — სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობაშია (ადგ. ცხ.), შ. მეგრელიძე—გავაჯანსაღოთ მასიური მუშაობა, ა. კახელი—პურის დამზადების საკითხი კახეთში, შ. ფოფხაძე—შევბულის გამოყენება სოფლად, ქ. გ—ლი მოჯამ. და გუთანზე მომუშავე გლეხების დაწინაურება, ა. გოლიაძე—აჭარისტანის საბჭოთა და კოლ. მეურნეობანი შეჯიბრებაში, რ. გოჩიტაშვილი—კოლმეურნეობათა მშენებლობა კახეთის მაზრაში, ი. გვეცაძე—რა უშლის ხელს კოლმ. მშენებლობას პატარა ონში, ლენინის ნაწერები ქართულად (ბიბლიოგრაფია), ვ. მ.—კ. ორაგველიძე—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, „სოფლის კომუნისტში" მოთავსებულ წერილების მაჩვენებელი.

მოსავლის აკრეფა დაიწყო

გორის მაზრაში

მიწათმოქმედების კომისარიატში მიღებული ცნობებით, გასული წლის შემოდგომის ნათესების მოსავლის აკრეფა გორის მაზრაში უკვე დაიწყო.

ხორბლეულის და საქონლის საკვებ ბალახეულობის მოსავალი გასულ წელთან შედარებით 3 ნახ. ბალით მეტია.

თითეულ ჰექტარზე ქერის მოსავალი წელს უდრის 65 ფუთს, პურის—55 ფუთს.

ზოგიერთ ადგილას მოსავალი დააზარალა სეტყვამ. დაზარალებულია დაახლოებით 500 ჰექტარი.

მიუხედავათ ამისა, მოსავალი საერთოდ დამაკმაყოფილებელია. გლეხები კერძო მოსავლით აღფრთოვანებულნი არიან და გადაწყვეტილი აქვთ შემოდგომაზე არ დასტოვონ დაუთესავი არც ერთი ნაკვეთი მიწა.

შემოდგომის თესვისათვის მაზრაში უკვე დაწყებულია შესაფერი მუშაობა.

23 ივნისს გორში შესდგა სპეციალური თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა შემოდგომის თესვის გეგმა და მოსავლის გასადიდებლად პრაქტიკული ღონისძიებები. თუ კრედიტები და შესაფერი აგრონომიული დახმარება თავის დროზე იქნა მიღებული, შემოდგომის ნათესების მოსავალი შეიძლება გადიდებული იქნას 23 პროცენტით.

შემოდგომის თესვისათვის საჭირო თესლის ნაწილი უკვე მიღებულია ადგილობრივ.

ამჟამად მაზრაში გვალვაა, რის გამო საფრთხეშია გაზაფხულის ნათესები, კერძოდ სიმინდის ყანები.

კოლმეურნეობათა მშენებლობა

სოფ. დიღომში

ამას წინად სოფ. დიღომში შესდგა იმ გლეხების საერთო კრება, რომელთაც სარწყავი არხების დამთავრების შემდეგ მოისურვეს კოლმეურნეობაში გაერთიანება. კრებას მრავლად დაესწრო სხვა გლეხობაც. სოფ. დიღომში კოლექტივების მშენებლობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ადგილობრივი სას.-სამ. საკრედიტო ამხ-ბის თავმჯდომარე ამხ. **დ. მარინაშვილი**, რომელმაც კრებას გააცნო სია იმ 106 გლეხისა, რომლებმაც განაცხადეს კოლმეურნეობაში შესვლის სურვილი.

სოფ. დიღომში კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის და მათი პერსპექტივების ირგვლივ ახსნა-განმარტებით გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეობის ცენტრის წარმომადგენელი ამხ. **ლეშქაშელი** და ადგილობრივი სკოლის გამგე ამხ. **ნ. მახარაძე**. კამათში გამოსული გლეხები (რომლებმაც განაცხადეს კოლექტივებში შესვლის სურვილი), ეხებოდნენ უმთავრესად კოლექტივების მოწყობის პრაქტიკულ საკითხებს და მოუწოდებდნენ სხვა გლეხებსაც კოლექტივში გაერთიანებისაკენ, ამანაც იქონია გავლენა და არსებული სია კიდევ 16 კაცით გაიზარდა (ასე რომ საბოლოო ანგარიშით კოლმეურნეობაში 122 გლეხი ჩაეწერა). გლეხობის აღნიშნული რიცხვი გაიყო 2 კოლექტივად. თითეულმა მათგანმა აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია, რის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: 1) ეთხოვოს ადგილობრივ აღმასკომს, რათა თბილისის აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილების და ადგილობრივი კომისიის საშუალებით დაჩქარებულ იქნას კოლექტივების მიწადმოწყობა, 2) ეთხოვოს მთავრობის მიერ გამოყოფილ დიღომის ველის მომწყობ კომისიას და კოლმეურნეობათა ცენტრს, რომ დიღომის კოლექტივების საერთო ხელმძღვანელად დაინიშნოს ერთი გამოცდილი აგრონომი, აგრეთვე დაჩქარდეს ტრაქტორების და სხვა იარაღ-მანქანების მიწოდება აღნიშნულ კოლექტივებისათვის.

ა.

ა.-კ. პროფსაბჭოში

პროფკავშირების მონაწილეობა თვითღირებულების დაკლების საქმეში

ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ჯერ კიდევ მარტში მისცა პროფორგანიზაციებს დირექტივა მონაწილეობა მიეღოთ იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც იკვლევდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას; მიუხედავად დირექტივისა, პროფორგანიზაციები ყველგან არ იყვნენ აქტიურად ჩაბმულნი ამ მუშაობაში.

პრეზიდიუმმა დაადგინა მეორე გამოკვლევის ჩატარების დროს წინადადება მისცეს რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს, და აგრეთვე კავშირების ცენტრალურ გამგეობებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ თვითღირებულების დაკლების შემმოწმებელ კომისიების მუშაობაში და თვითღირებულების დაკლების საკითხები დაამუშაონ საწარმოო თათბირებზე და მუშათა ფართო კრებებზე.

ა.-კ. პროფკავშირების ახალი სტრუქტურა

ა.-კ. პროფსაბჭომ, ამიერ-კავკასიის დარაიონებასთან დაკავშირებით, შეიმუშავა ა.-კ. პროფორგანიზაციების ახალი სტრუქტურა. ახალი სტრუქტურით იარსებებს შემდეგი სახის პროფორგანიზაციები: ფაბქარხადგილკომები, კავშირების საოლქო განყოფილებები და კავშირების რესპუბლიკანური ცენტრალური გამგეობები (ყველა კავშირებში, გარდა რკინის გზელებისა, წყალზე მომუშავეებისა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებისა).

მიზანშეწონილად არის ცნობილი კავშირების საოლქო განყოფილებების მოწყობა იმ ოლქებში, სადაც არსებობს არა უმეტეს ორი-სამი ქვედა უჯრედისა.

საკავშირთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურა ასეთი იქნება: საოლქო პროფბიურო და რესპუბლიკანური პროფსაბჭო. საქართველოს და აზერბეიჯანის პროფსაბჭოებს წინადადება მიეცათ განიხილონ საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა ეწოდოს საკავშირთაშორისო ორგანიზაციებს აჭარისტანის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის, მთიან ყარაბახის და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ახალ ოლქებში პროფკავშირული ორგანოების მოსაწყობად, ოლქის ცენტრში არსდება საორგანიზაციო ბიურო, რომელიც ჩამოაყალიბებს როგორც საკავშირთაშორისო, ისე ცალკე კავშირების ორგანიზაციებს.

პროფკავშირები და საბჭოთა აპარატის წმენდა

ა.-კ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს უახლოესი მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა აპარატის წმენდაში, რომელიც ახლო ხანში იქნება ჩატარებული.

ა.-კ. პროფსაბჭოს დირექტივის თანახმად, წმენდას უნდა მიეცეს ამა თუ იმ თანამშრომლის მუშაობის საქმიანი კრიტიკის ხასიათი. პროფკავშირებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ წმენდა არ გადაიქცეს პირადი ანგარიშების გასწორების იარაღად.

ისინი, ვინც გაწმენდილი იქნა აპარატიდან საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებების სამსახურში შესვლის უფლების აღკვეთით, გამორიცხული უნდა იქნენ პროფკავშირიდან. კავშირებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ ასეთი პირები არ მოხვდნენ ისევ კავშირში, თუ ისინი მოახერხებენ კერძო სამსახურში შესვლას.

სრულიად საქართველოს მომღერალ გუნდების ოლიმპიადა

ა. წ. ივნისის 29-ს, ე. ი. ოლიმპიადის მეორე დღეს შეეჯიბრენ ერთმანეთს ოთხ ხმად დაწყობილი შერეული გუნდები, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახ. უნივერსიტეტის, აიარტუნის და აჭარისტანის გუნდების შემოქმედებას.

სახ. უნივერსიტეტის გუნდი, ახალგაზრდა ლოტბარის **კოკელაძის** ხელმძღვანელობით, იპყრობს და იმორჩილებს ყურთასმენას შესანიშნავი ხმების შერჩევით (მეტადრე ბანების ჯგუფში), საერთო მუსიკალობით და კარგი დისციპლინით. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ გუნდის არსებობის ფრიად მცირე ვადას, ცხადად წარმოგვიდგება საჭიროება ამ გუნდის პირობების გაუმჯობესებისა და მასში მონაწილე ზოგიერთი ახალგაზრდების, მაგ., საუკეთესო ბანის, სტუდენტის გოგიჩაძის დაწინაურებისა.

აიარტუნის გუნდი, ახალგაზრდა კომპოზიტორის, **კარო ზაქარიანის** ხელმძღვანელობით, წარმოადგენს ფრიად სერიოზულად დამუშავებულ მხატვრულ ორგანიზაციას, რომელშიაც მტკიცედ გატარებულია საუკეთესო გუნდური დისციპლინა; მას ნათლად ემჩნევა სხვადასხვა ხმოვან ჯგუფების ერთმანეთთან კარგი შეთანხმება და გუნდში მონაწილე პირების საერთო სწავლა-განვითარება მუსიკის დარგში. ამ გუნდის გადახრა რთულ კონტრაპუნქტისაკენ და პოლიფონიურ რეპერტუარისაკენ, ამ რეპერტუარის უნაკლო დამუშავება და შესრულება—საკმარისად ამტკიცებენ ამ გუნდის მხატვრულ ღირებულებას.

აჭარისტანის აკადემიური გუნდი, **მ. კუხიანიძის** ხელმძღვანელობით, წარმოადგენს იმგვარ მხატვრულად დამუშავებულ ერთეულს, რომლის შემოქმედება განსაკუთრებულად ჩაითვლება. გუნდი სავსებით ემორჩილება ნიჭიერ ლოტბარის ყოველ განზრახვას; ცალკე ხმების და ამ ხმათა ჯგუფების ბგეროვანი სისწორე არამც თუ უდრიან, არამედ ბევრ შემთხვევაში გადააჭარბებენ ინსტრუმენტალურ სისწორესაც კი; სხვადასხვა ხმების ჯგუფთა ბგეროვანი თანასწორობა და ელფერთა შეთანხმება სასტიკად არის მიზანშეწონილი და გატარებული, დინამიური ზრდა-შენელების შესანიშნავი ტეხნიკა ძალაუნებურად იწვევს განცვიფრებას. ამ გუნდის საორგანიზაციო, ტეხნიკური და მხატვრული მხარე ნამდვილად პირველხარისხოვანია და ამიტომ პირველხარისხოვანი უნდა იყოს მისი კვალიფიკაციაც არა მარტო საბჭ. საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ფარგლებშიც; ერთადერთ, მაგრამ სერიოზულ ნაკლად მიგვაჩნია ამ გუნდის მთლიანად გადახრა მხატვრულად დამუშავებულ სასიმღერო ლიტერატურისაკენ და თითქმის უყურადღებოდ მიტოვება ქართული ხალხური და ფრიად შესანიშნავ ეტნოგრაფიულ მასალისა. ჩვენის აზრით, ამ შესანიშნავი გუნდის შემოქმედების სიმძიმის ცენტრი უნდა ეყრდნობოდეს სწორედ ამ მასალას; მისი გაშუქება გუნდის საოცარი ტეხნიკის საშუალებით, გააორკეცებდა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოელების ინტერესს გუნდის შემოქმედებისადმი.

ოლიმპიადის მესამე და უკანასკნელი დღე (30 ივნისს) დაეთმო გუნდების თავისუფალ შემოქმედებას, კონკურსის პირობების გარეშე, სიმღერებს ადგილობრივ დასაკრავ ინსტრუმენტების (ჩონგურის, ფანდურის) თანხლებით, დამახასიათებელ ცეკვებს და ფშავ-ხევსურთა ფარიკაობას, ოლიმპიადა დამთავრდა ოლიმპიადის მსაჯულთა (ჟიურის) საბოლოო დადგენილების გამოცხადებით: პირველი ჯილდო (500 მან.) გაინაწილეს აჭარისტანის აკადემიურმა და ბათომის სატრანსპორტო (ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით), გუნდებმა; მეორე ჯილდო (600 მან.) მიენიჭა შემდეგ გუნდებს: გარე-კახელ გლეხთა გუნდს (ჯიდაურის ხელმძღვანელობით), აღმ. საქ. გუნდს (მარო თარხნიშვილისა), აიარტუნის გუნდს (კარო ზაქარიანის ხელმძღვანელობით), ძ. ლოლუას სახელობის გუნდს (კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით), ოზურგეთის გლეხთა გუნდს (სიმონიშვილის ხელმძღვანელობით), და ზუგდიდის პროფკავშირთა გუნდს (ჭელიძის ხელმძღვანელობით), მე-3 ჯილდო (400 მან.) მიენიჭა თბილისის რკინის გზის მტვირთავთა გუნდს (მახარაძის ხელმძღვანელობით), სახ. უნივერსიტეტის გუნდს (კოკელაძის ხელმძღვანელობით), სუფსის გლეხთა გუნდს (ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით), ქიათურის მემაღაროეთა გუნდს (ს. კავსაძის ხელმძღვანელობით), აღმ. საქ. მუშაგლეხთა გუნდს (მ. კავსაძის ხელმძღვანელობით) და ქუთაისის პროფბიუროს გუნდს (გ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით) მეოთხე ჯილდო (150 მან.) მიესაჯა მხოლოდ სამ გუნდს: ორჯონიკიძის სახელობის კლუბის (პაპაიშვილის ხელმძღვანელობით) მბეჭდავთა კლუბისა (ივანოვის ხელმძღვანელობით) და თბილისის რკინის გზისა—(კ. ჭავთარაძის ხელმძღვანელობით).

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

კალიასთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს

ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიაში კალიასთან ბრძოლის საქმის მდგომარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს გადასცეს შემდეგი ცნობები:

მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში კალია განსაკუთრებით გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. ეს მავნებელი ანადგურებს დიდძალ მოსავალს და სპობს ნათესებს. მარტო თბილისის მაზრაში კალიისაგან დაზარალებულია 14.000 ჰექტარი ნათესები, კახეთის მაზრაში—10.000 ჰექტარი, ბორჩალოს მაზრაში—5.000 ჰექტარი და გორის მაზრაში 500 ჰექტარი.

მიღებული ზომების წყალობით, ამჟამად უკვე შეიძლება, ითქვას, რომ კახეთის მაზრაში კალიასთან ბრძოლა დამთავრდა და მინდვრის ეს მავნებელი მთლიანად განადგურებულია. კახეთში კალიასთან საბრძოლველად გაგზავნილი რაზმები გამოწვეულია უკან თბილისის მაზრაში კალიასთან ბრძოლის საქმეში მონაწილეობის მისაღებად. ბორჩალოს მაზრაში მინდვრის ამ მავნებლებთან ბრძოლის საქმე შუა პერიოდშია და მიღებულია ზომები, რომ ეს მუშაობა, რაც შეიძლება საჩქაროთ იქნეს დამთავრებული.

კალიასთან ბრძოლა სწარმოებს როგორც ქიმიური, ისე სხვადასხვა ტეხნიკური საშუალებებით.

საშემოდგომო თესვის გეგმა

ამიერ-კავკასიაში თესვის ჩამტარებელმა კომისიამ შეიმუშავა საშემოდგომო თესვის ჩატარების გეგმა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებისათვის. აღნიშნულ გეგმის თანახმად მომავალ შემოდგომაზე მარტო საქართველოში უნდა დაითესოს 235.400 ჰექტარი მიწის ნაკვეთები.

გასული წლის შემოდგომაზე კი დაითესა მხოლოდ 220.745 ჰექტარი. ამგვარად მომავალი შემოდგომის ნათესების სივრცე გადააჭარბებს შარშანდელს 7 პროცენტით, ანუ 14.555 ჰექტარით.

ხორბლეულის ცალკე კულტურებიდან ნათესების სივრცე განაწილებული იქნება შემდეგნაირად: პური დაითესება 224.900 ჰექტარზე, ქერი—9.360 ჰექტარზე და შვრია—1.150 ჰექტარზე.

შემოდგომის ნათესების მოსავლიანობის საერთო ზრდა, გასული წლის შემოდგომის ნათესების მოსავლიანობასთან შედარებით ნავარაუდევია 3 პროცენტით.

მხარეთმცოდნეობის განსავითარებლად

აჭარისტანის სამთო კლუბის მუშაობა

1924 წელს ბათომში დაარსდა აჭარისტანის ტურისტთა საზოგადოება „სამთო კლუბის" სახელწოდებით, რომელმაც თავისი არსებობის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩაატარა აჭარისტანის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევის და შესწავლის დარგში.

კლუბმა ჩაატარა 70-დე შორეული ექსკურსია, რომელთაც ჰქონდა საგამომკვლევო და მხარეთმცოდნეობის ხასიათი; ექსკურსიების დროს შეგროვილი იქნა მდიდარი გეოლოგიური და ბოტანიკური მასალა. შეგროვილია აგრეთვე მრავალი საინტერესო კოლექცია, როგორც მცენარეების, ისე სხვადასხვა ლითონების. დეტალურად შესწავლილია წყალტინის ხეობა, სადაც დარჩენილია ვულკანის მოქმედების კვალი. ზოგიერთ რაიონებში აღმოჩენილი იქნა ახალი მინერალური წყაროები.

ბოტანიკურმა ექსპედიციამ აჭარის მცირე ქედის მთებში აღმოაჩინა იშვიათი მცენარეები. ამ მცენარეების და მათი თესლის მდიდარი კოლექციები, გამოყენებითი ბოტანიკის საკავშირო ინსტიტუტის დავალებით, გადაეცა ადგილობრივ ბოტანიკურ ბაღს და ინსტიტუტის განყოფილებას სოხუმში. ტაირალის მთის ჩრდილოეთ-დასავლეთ კალთებზე ექსპედიციამ აღმოაჩინა იშვიათი მცენარის ურთხმელას ტყე, სადაც მრავალი ასწლოვანი ხეებია.

კლუბმა შუამდგომლობა აღძრა ამ ტყის ხელუხლებელ ტყედ გამოცხადების შესახებ. შარშან კლუბმა მოაწყო მთელი რიგი ექსკურსიები აჭარისტანის ზღვის სანაპიროების შესასწავლად; ამას გარდა ექსკურსიები მოეწყო აჭარის მცირე ქედის სამხრეთ ნაწილში, აჭარის დიდი ქედის დასავლეთ ნაწილში და ზემო აჭარისტანში. კლუბის მუშაობას აფერხებს თანხების ნაკლებობა; კლუბს არა აქვს საჭირო შენობა, სადაც შეეძლოს მუშაობის გაშლა.

კოლექციების უმეტესობა ინახება კლუბის დამაარსებელთა ბინებზე, აქვე ხდება საბჭოს სხდომები. ასეთი მდგომარეობა აფერხებს კლუბის მუშაობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარისტანის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლის საქმეში.

სასურსათო ბაზრის გამოკვლევა

მიუხედავად იმისა, რომ სათანადო ორგანიზაციები ყოველ ღონეს ხმარობენ თბილისის ბაზრის მოსაწესრიგებლად, ბაზარზე მაინც აქვს ადგილი ფასების ზრდას, საქონლის გადაყიდვას და სხვა უწესრიგობას. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ესა თუ ის დეფიციტიანი საქონელი კოოპერატიულ სავაჭროებში ან სრულებით არ იშოვება, ან მეტად განსაზღვრული რაოდენობით. ამავე დროს კერძო ბაზარზე ასეთი საქონელი შეიძლება შეიძინო რამდენიც გსურთ მაღალ ფასებში. აგრეთვე ადგილი აქვს ფასების ზრდას. აღსანიშნავია, რომ ერთ და იმავე კოოპერატიულ ორგანიზაციის მაღაზიებში ერთიდაიმავე საქონელზე სხვადასხვა ფასებია. მაგალითად თავისუფლების მოედანზე არსებულ მუშკოოპის მაღაზიაში ბრინჯი, კარტოფილის ფქვილი და სხვა პირველ საჭიროების საგნები უფრო იაფად იყიდება, ვიდრე კახეთის მოედანზე, თათრის ბაზარში და სხვ. საინტერესოა ეს გარემოება იცის თუ არა მუშკოოპის სავაჭრო განყოფილებამ, თუ იცის რით შეიძლება აიხსნას ფასების ასეთი სხვადასხვაობა.

კიდევ უფრო მოუწესრიგებელია ხორცის ბაზარი. გარდა იმისა, რომ ხშირად ადგილი აქვს ხორცის სიმცირეს, ხორცი ღირსებითაც მდარეა, კერძო მეყასბეებთან კი იმავე ფასებში, იყიდება საუკეთესო ღირსების ცხვრის ხორცი.

ბოსტნეულითაც არ არის ბაზარი უზრუნველყოფილი. ბოსტნეულით და ხილით უმთავრესად ბაზარს ამარაგებენ კერძო პირები, რასაც არა აქვს რეგულიარული ხასიათი და რის გამო ხშირად ბაზრებზე სრულებით არ იშოვება, ან ორმაგ ფასებში იყიდება ესა თუ ის სანოვაგე (მაგალითად, კარტოფილი, ხახვი და სხვ.).

ყველაფერი, ეს და კიდევ მრავალი დეფექტები გამოაშკარავა თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულ სექციისა და ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილების მიერ ამ დღეებში ფარულად ჩატარებულმა გამოკვლევამ.

გამოკვლევის ჩასატარებლად ქალაქი დაყოფილი იყო რაიონებად, თითეულ რაიონში ბაზარს იკვლევდა ცალკე კომისია.

ამ გამოკვლევის დროს აგრეთვე აღმოჩნდა რომ კოოპერატიულ პურის საცხობებში, პურის მიწოდება მომხმარებლებისათვის არ სწარმოებს წესიერად.

გარდა ამისა ადგილი აქვს პურისმცხობელთა მხრივ ბოროტმოქმედებას და პურის გადაყიდვას, კერძო პირების მიერ პურის წიგნამოების გამო არ მიაქვთ თავიანთი ულუფა. მომხმარებლებს ხანდახან სხვადასხვა გარემოების გამო არ მიაქვთ თავიანთი ულუფა, ზედმეტად დარჩენილ პურს პურის მცხობლები ყიდიან წიგნაკების გარეშე აწეულ ფასებში და ითვისებენ. ამავე დროს ზოგჯერ ყიდიან ახლად გამომცხვარ პურს იმ მიზნით, რომ წონაში მეტი გამოიდეს. მრავალ საცხობში გირები აღმოჩნდა არა სრული ზომის და სასწორები უვარგისი.

კომისიამ აღმოაჩინა აგრეთვე წიგნაკების ბოროტად გამოყენების შემთხვევები. მაგალითად პლეხანოვის პრ. არსებულ სასადილოს „ზემო"-ს მეპატრონეს გიორგობიანს დაუჭირეს 5 წიგნაკი, რომელთაგან 3 რეგისტრაციაში გაუტარებელია. ამ წიგნაკებით ის პურს ღებულობდა მეთორნესთან შეთანხმებით.

აქვე უნდა აღინიშნოს ზოგიერთ სადუქნო კომისიების წევრთა მოვალეობის შეუსრულებლობა, გადამეტება და პირადი ინტერესებისათვის გამოყენება.

საერთოდ გამოკვლევამ მრავალი უწესრიგობა აღმოაჩინა. გამოკვლევის მასალები ამჟამად მუშავდება, რის შემდეგ საქმეები გადაეცემა პროკურატურას.

დამნაშავეთა გასამართლება მოეწყობა საჩვენებელი სახით.

პურის მცხობელთა შრომის პირობების გაუმჯობესება

გუშინ, შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებაში შესდგა სპეციალური თათბირი. თათბირმა განიხილა პურის საცხობებში შექმნილი ანტისანიტარული მდგომარეობისა და პურის მცხობელთა შრომის პირობებთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირზე გამოირკვა, რომ საცხობების დიდი უმრავლესობა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, ადმინისტრაცია არ ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ საცხობებში დაცული იქნას სისუფთავე, რაც იწვევს პურის ხარისხის გაუარესებას და ამასთანავე საფრთხეს უქადის საცხობებში მომუშავეთა ჯანმრთელობას.

საცხობების ბინები უვარგისია ჭერი, კედლები და იატაკი ჭუჭყიანი, პურის საცხობი ხელსაწყოები გაცვეთილი და ძველია.

გამოირკვა, აგრეთვე, რომ ზოგიერთ საცხობებში („ზაკტპოს" საცხობებში) პურის მცხობელებს ამუშავებენ 16 საათს, არა აქვთ დასასვენებელი ოთახი, სპეცტანისამოსი არ ეძლევათ თავის დროზე და სხ.

თათბირმა დაადგინა წინადადება მიეცეს ყველა იმ კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც აწარმოებენ პურის ცხობის საქმეს, ერთი თვის განმავლობაში ჩაატარონ საცხობების სათანადოთ შეკეთება, მიიღონ ზომები მათში სისუფთავის დასაცავად პურის მცხობელთა ტანისამოსის შესანახად მოაწყონ ინდივიდუალური განჯინები, საცხობებთან უსათუოთ იქონიონ მუშებისათვის სპეციალური დასასვენებელი ოთახები, საცხობებში მოაწყონ წესიერი განათება, ვენტელიაცია, პატარა აფთიაქები და სხვ.

თათბირმა დაადგინა სასტიკათ აიკრძალოს პურის მცხობელთა ზედმეტ საათებში მუშაობა და ისინი გადაყვანილნი იქნენ ნორმალურ მუშაობის პირობებში.

აგრეთვე მიღებული იქნება ზომები პურის საცხობებში მომუშავეთა შრომის პირობებზე მეთვალყურეობის გასაძლიერებლად.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ფურნეებში პურს აცხობენ ჟესტის ფორმებში, რის გამო წყალი უდგება პურს და კარგათ არ ცხვება. განზრახულია ამ მხრივათაც მიღებული იქნას ზომები და ჟესტის ფორმები შეიცვალოს რკინა-თუჯის ფორმებით, რაც ხელს შეუწყობს პურის საღათ გამოცხობის საქმეს.

სასამართლო

გამფლანგველი ბუღალტერი

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით გუშინ გაასამართლა გამფლანგველი თედორე გიორგის ძე ჩალაური.

თედორე ჩალაური მსახურობდა ამიერ-კავკასიის გზათა სამმართველოს სამშენებლო კანტორაში ბუღალტერის თანამდებობაზე. მასვე ევალებოდა ჯამაგირების დარიგება მუშა-მოსამსახურეებისათვის.

1929 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში რევიზია გაუკეთეს ჩალაურს. წარმოიდგინეთ, რომ ჩალაური პირნათლად წარსდგა რევიზიის წინაშე. არც ერთი კაპეიკი არ დაჰკლებია.

მაგრამ გავიდა სულ რამდენიმე კვირა. 20 თებერ. ჩალაური უკვე ფერწასული ელაპარაკება სარევიზიო კომისიის წევრებს, რომლებიც ახსნა-განმარტებას ითხოვენ ათასი მანეთის უგზო-უკვლოდ გადაკარგვის შესახებ.

— ალბად, გადავაყოლე ვინმეს,—თავს იმართლებს ჩალაური, მაგრამ საბუთები კი სულ სხვას ლაპარაკობენ. ჩალაური გაიგზავნა გამასწორებელ სახლში, საქმეს ხელი მოჰკიდა საგამომძიებლო ორგანომ და სავსებით დადასტურდა, რომ 1100 მანეთამდე „წაუხარჯავს" თვითონ ბუღალტერს. ეს სავსებით დადასტურდა სასამართლოს გამოძიებითაც.

ჩალაურს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით სასტიკი იზოლიაციით და 2 წლით სამოქალაქო უფლებების აყრა.

—:—

ფავლენიშვილი დაისაჯა

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ყოფილი რწმუნებული იასონ გიორგის ძე ფავლენიშვილი გაასამართლა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ამხ. როდონაიას თავმჯდომარეობით.

როგორც მკითხველებმა იციან ფავლენიშვილი სარგებლობდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, ადგენდა ყალბ საბუთებს და ითვისებდა სახაზინო ფულებს.

ფავლენიშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ფავლენიშვილი პირველად არის პასუხისგებაში, რომ მას წვრილი ცოლ-შვილი ჰყავს სარჩენი, და სასჯელი შეუმცირა 1 წლამდე.

ზარ.

უმუშევართა შემოწმება

თბილისში მიღებული ცნობებით, სარჩევართა ცენტრალურმა ბიურომ, ჩაატარა უმუშევართა მასიური წმენდა მოსკოვში.

შემოწმებაში გატარდენ ის უმუშევრები, რომლებიც უარს ამბობენ სამუშაოზე და გამოძახების დროს არ ცხადდებიან შრომის ბირჟაში.

შემოწმება ჩაატარა 2.500 დიდი საწარმოო სტაჟის მქონე მუშამ.

შემოწმებულ 8.000 უმუშევარში, ბევრი აღმოჩნდა საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულნი, შეძლებული უმუშევრები, რომლებიც დახმარებას არ საჭიროებენ და სხვა.

ასეთი პირები დაუყოვნებლივ მოხსნილ იქნა აღრიცხვიდან.

სამუშაოზე გაგზავნის დროს შრომის ბირჟამ უნდა მიიღოს მხედველობაში უმუშევართა კვალიფიკაცია და მისი მატერიალური მდგომარეობა.

ასეთი შედეგებით ჩატარდა წმენდა (პირველი სამი დღის განმავლობაში) მოსკოვის შრომის ბირჟაში.

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტმა განიხილა აღნიშნული საკითხი და სავსებით დროულად და მიზანშეწონილად სცნო შემოწმების ჩატარება თბილისის შრომის ბირჟაში აღრიცხულ უმუშევრებში.

ის პირები, რომლებსაც საარჩევნო ხმის უფლება ჩამორთმეული აქვთ, ან მატერიალურად იმნაირ მდგომარეობაში არიან, რომ არ საჭიროებენ სამუშაოს, ასეთები დაუყოვნებლივ მოხსნილი იქნებიან აღრიცხვიდან.

შრომის ბირჟის კომიტეტმა გადასწყვიტა, ამ მოკლე ხანში შეიმუშაოს წმენდის დეტალური გეგმა.

წმენდის ჩაატარებს დიდი კვალიფიკაციისა და ხანგრძლივი სტაჟის მუშები.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე ვლადიმერ ივანესძე მურადოვმა (ველიამინოვის ქ., № 12), იოდით მოიწამლა თავი. მურადოვი გადაიგზავნა საავადმყოფოში.

დაჭრა

მუსა გასან-ოღლიმ (მცხ. კომუნალური შეს., № 10), თვითმკვლელობის მიზნით დანით მძიმედ დაიჭრა თავი.

დაჭრილი მოთავსებულია საავადმყოფოში.

შეპყრობა

შეიპყრეს გიორგი ნიკასძე ქარელი (13 წლის), რომელმაც კინო „დარბაზში" უცნობ პირს ჯიბიდან ამოაცალა ფული.—დააპატიმრეს სერგო სარქისისძე სტეფანოვი და დომნა ალექსის ასული ზუბკოვა, რომლებმაც მუშკოოპის მაღაზიაში № 80 ნადეჟდა სურცოვას მოპარეს რედიკული.—ქურდობისათვის შეიპყრეს არაქსი ოგანესის ასული სტეფანიანცი (უბინაო).—შეიპყრეს მცირეწლოვანი ვოლჩი უსიევი, მას ბრალდება ჯიბგირობა.

ქურდობა

გაქურდეს შიო მათესძე როსტიაშვილის ბინა (მარტის შესა., 5).—გაქურდეს კვირიკაძის ბინა (ინჟენერის ქუჩა),—კახეთის მოედანზე მდებარე თიეის საწყობიდან მოიპარეს 150 მანეთის ნივთები.

ჯიბგირობა

მიხეილ გაბაევს პუშკინის ქუჩაზე ამოაცალეს ვერცხლის საათი ღირებული 75 მან.

თვითმკვლელობა

27 ივნისს, დღით ლაგოდეხში (კახ. მაზრა) თავი მოიკლა ლაგოდეხის საკრედიტო ამხანაგობის თანამშრომელმა ვიქტორ მაჩაიძემ მუდმივ ავადმყოფობის გამო.

რკინის გზებზე

სოც. შეჯიბრება სახელოსნოებს შორის

სამასალო დარგის თბილისის სახელოსნომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კავშირთაგაბმულობის და ელექტროტეხნიკური სახელოსნო. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მათ შორის, შეიცავს შრომის ნაყოფიერების აწევას 19 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას 1 პროცენტით, გაცდენების, გულგრილობის, უვარგისი პროდუქციის და სამუშაოზე დაგვიანების სრულ აღმოფხვრას.

— ფოთის ნავთსადგურის გემთ-შემკეთებელთა ქარხანამ შეჯიბრებაში გამოიწვია შორაპნის დეპოს მუშა-მოსამსახურეები. ამ დღეებში დაიდება ხელშეკრულება ხსენებულ მუშათა შორის.

შემთხვევები

გუშინ, სად. სამტრედიაში შემოსვლის დროს, საბარგო მატარებელი შემოსასვლელ ისართან დაეჯახა სამანევრო ორთქლმავალს, რის გამო ლიანდაგს აცდა ორი დატვირთული ვაგონი, რომლებიც მნიშვნელოვნად დაზიანდენ. სამანევრო ორთქლმავალი დაზიანდა მსუბუქად. ადამიანის მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია. მოძრაობა არ შეფერხებულა.

— გუშინვე კალტახჩი-ჯაჯურის გადასასვლელ ლიანდაგზე საბარგო მატარებელი დაეჯახა ლიანდაგზე გადამავალ ფურგონს, რის გამო მძიმედ დაშავდა მეფურგუნე არტუშ კატაშიანი. დაჭრილი უგრძნობლად მოათავსეს ლენინაკანის რკ. გზის საავადმყოფოში.

კაზანცევის მუხრუჭების გამოცდა

როგორც რ.-გაზეთის მკითხველებმა იციან, მიმდინარე ივლისის თვეში ა.-კ. რკ. გზაზე სწარმოებს კაზანცევის მუხრუჭის საბოლოო გამოცდა. ამ მიზნით ა.-კ. რკინის გზაზე ჩამოვა 6 ძლიერი ორთქლმავალი სერია „ე", 90 ოროღერძიანი ნორმალური და 3 საკლასო ვაგონი მოწყობილი კაზანცევის ერთმავთულიანი მუხრუჭით.

გამოცდის საწარმოებლად ა.-კ. რკინის გზის გამგეობამ უკვე მისცა წინასწარი განკარგულებები წევის, მოძრაობის, ლიანდაგის და სხ. დარგებს და გამოჰყო თავისი ორი წარმომადგენელი გამომცდელ კომისიაში. გამოსაცდელი მატარებლის სიგრძე დაახლოვებით უნდა შეადგენდეს 900 მეტრს. ამიტომ კომისიას გადაწყვეტილი აქვს სად. დერბენტიდან სად. სკრამდე ეს შემადგენლობა გადმოგზავნოს ორწყებათ. მატარებლის შემადგენლობა სკრამდე ცარიელი იქნება. სად. სკრაში მატარებელს დასტვირთავენ ბალასტით და ერთ შემადგენლობის სახით დატვირთული მატარებელი გაიგზავნება სად. ბათომამდე. მატარებლის წონა დაახლოვებით უნდა შეადგენდეს 1.600 ტონას, სიგრძე ექნება 900 მეტრი. მატარებელი შესდგება 90 ორ-ღერძიან დახურული ვაგონისა და 4 ოთხღერძიან საკლასო ვაგონისაგან. იმ სადგურებზე, სადაც ასეთი სიგრძის ლიანდაგი არ არის, მატარებელი გაივლის შეუჩერებლივ და გაჩერდება ზოგიერთ სადგურებში მხოლოდ წყლის მისაღებათ.

როგორც სამმართველოს აცნობებს, მატარებელი გამოიგზავნება 15 ივლისიდან. ის რამოდენიმე რეისს გააკეთებს ა.-კ. რკინის გზაზე, რის შემდეგ მოხდება მუხრუჭის გარეშემო დასკვნის გამოტანა.

ფიზკულტურა და სპორტი

თბილისელი ფეხბურთელების მიწვევა როსტოვში

გუშინ როსტოვის ფიზკულტურის საბჭომ შეატყობინა, საქ. პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრ. ბიუროს, რომ თბილისის პროფკავშირთა ნაკრები გუნდი როსტოვში მიწვეული იქნება ივლისის ბოლო რიცხვებში.

მელითონეთა გუნდის მიწვევა აფხაზეთში

თბილისის მელითონეთა გუნდი რამოდენიმე შეჯიბრებისათვის მიწვეულია აფხაზეთში. გუნდი ამ დღეებში გაემგზავრება სოხუმში.

ლენინგრადი—მოსკოვი

23 და 24 ივნისს მოსკოვში ჩატარებული იქნა ლენინგრადის და მოსკოვის ფეხბურთელთა და მსუბუქ მძლეოსანთა გუნდების ტრადიციული შეჯიბრება (ასეთი მატჩები იმართება ყოველწლიურად).

შეჯიბრება დამთავრდა მოსკოველების გამარჯვებით, რომლებმაც თითქმის ყველა დარგში გაუსწრეს წინ ლენინგრადელ ფიზკულტუროსნებს.

ლენინგრადის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდმა პირველი შეჯიბრება მოსკოვის პირველ ნაკრებ გუნდთან წააგო 1:4, ხოლო მეორე მატჩი მოსკოვის მეორე ნაკრებ გუნდთან 2:3.

შეჯიბრებას დაესწრო 30.000 კაცი.

როგორც მოსკოვის პრესა აღნიშნავს, შეჯიბრება არ იყო მაინც და მაინც საინტერესო, რადგან არც ერთი გუნდის მოთამაშეებს არ ახასიათებდათ ერთმანეთთან შეთანხმებული თამაში.

ავიაქიმში

სრულიად საქართველოს შეჯიბრება სროლაში

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი მიმდინარე წლის 9—10 ივნისს ატარებს თბილისში შეჯიბრებას სროლაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ავტონომიურ ოლქების და საქართველოს ყველა მაზრების კვალიფიციური მსროლელები.

შეჯიბრებაზე გამოწვეულია სულ 37 საუკეთესო მსროლელი. სროლა იწარმოებს საგარნიზონო სასროლო მოედანზე სამხაზიანი შაშხანა და მცირე ყალიბიან თოფებით.

სულ სროლის დროს დაიხარჯება 4.000 ვაზნა.

საუკეთესო მსროლელებისათვის დაწესებულია 10 ჯილდო, აქედან ერთი გარდამავალი ჯილდო.

აერო-კლუბი

საქართველოს ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებით თბილისში ეწყობა აეროკლუბი, სადაც ავიაქიმის წევრები გაეცნობიან სამოქალაქო ავიაციის მშენებლობას და ავიაციის განვითარების საქმეს.

ავიაქიმის ბანაკი

ავიაქიმის ბანაკის მოსაწყობად გაღებულია 8.500 მანეთი.

ავიაქიმის ბანაკი მოეწყობა ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლის საზაფხულო ბინებთან.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 3 ივლისი

დღეს, თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ რადიო-პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან—ოქტომბრელის საათი, რუსულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; საგლეხო კონცერტი; საუბარი—„მეანაბარეთა ამოცანები დიფერენციალური პაის შემოღების საქმეში" (მომხსენებელი „ზაკოოპიუზიდან"—ამხ. ბახტაძე), ქართულ ენაზე; დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი.

საღამოს 8 საათიდან გადაცემული იქნება—რადიო-გაზეთი, რუსულ ენაზე; საუბარი — „ამიერ-კავკ. კოოპერატიული სისტემის კულტურულ-ყოფა-ცხოვრებითი მუშაობა და მისი პერსპექტივები", სომხურ და თურქულ ენებზე; კონცერტი; უკანასკნელი ამბები; მორზეს ანბანი რუსულ ენაზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 3 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

მშენებელ მუშათა სექციიდან: დავით კუზნეცი, ლევან კანდელაკი, გიგუცი გაბოძე, მოსე მავრადაშვილი, გიორგი ულუხანოვი, ალექსი სიდორინი, გერმანე სოლოღაშვილი, ვასილ ბურანჩენკო, დიმიტრი ნადირაშვილი, ილია მამიევი, გერონტი წერომძე, სერგო არაქელოვ, კარლო სიხარულიძე, გიორგი კალინინჩენკო, ამოაკ მიკირტიჩიანი, პეტრე დალაკიანი, ზურაბ მურადოკა, ვარლამ ახჯაფარიძე, ისაკ ზავრიდაშვილი, კარაპეტ ღარიბიანი, გალუსტ აირაპეტოვი, აშოტ ცატუროვი, ილია აბეცაშვილი, გიორგი ვარლიშვილი, ზურაბ მურადოვი, ლადო ხმალაძე, მიხეილ მიხაილოვი, გიორგი იორამაშვილი, დიმიტრი მუსხელიძე, გრიგოლ მაღალოვი, სარქის ნაღჯოვი, ამაიაკ მიკირტიჩიანი, დარახჩიევი, ჯავშანაშვილი, გიორგი აბუაშვილი, შალვა მამინაშვილი, გრიგოლ სტურუა, კალისტრატე სურმავა, ბაგრატ მერაბიშვილი, სამსონ გიორგაძე, არტემ მინასოვი, აკოფ პარუნბეგოვი, ეგნატე შიშოევი, ესტატე ნაცვლიშვილი, კონსტანტინე პრაგა, სარქის გარდოიანი, ლევან მირზოიანი, მიხეილ ჩერქეზიშვილი, შოთა ჩხარტიშვილი, მიხეილ გეჯაძე, აიკაზელ გრიგორიანი, ივანე გრიგოლია, გაიკ ვირაკოსიანი, არამ პოლოსიანი, ვასილი სარაჩევი, მამიკონ დიანოზოვი, გაბო უტარაშვილი, სანდრო გუნაშვილი, ზაქარია შანიძე, ალექსანდრე დემუროვი, პავლე სარქისოვი, მიკიჩ შამიროვი, ვასო მარკოზაშვილი.

საგარანტიო სექციიდან: სერგო გლებოვი, პლატონ ფოფხაძე, ელიაზარ ოგანეზოვი, იაგორ აკოფოვი, ვენიამინ ბრეგაძე,

მედსექციიდან: შალვა მარგიევი, გარეგინ იგიტიანცი, ივანე ზაიცევი, გიორგი კანდელაკი, ლიდია ზუმბულიძე, ევგენია ასლამაზოვა, თამარ აბაშიძე, მარიამ ჭელიძე, ქსენია მელნიკოვა, ნინო ლორთქიფანიძე, შალვა კონწურაშვილი,

მოზარდთა სექციიდან: მიხეილ კიკალაშვილი, დიმიტრი დეოინიკი, სიმონ ბასილაშვილი, ვახტანგ ხიზანიშვილი, მიხეილ მანუკიანი, გრიგოლ გრიგორიანი, ბიქტორ სიმონიანი, სერგო ლენკო, ვლადიმერ ქველაძე, ნიკოლოზ ასლამაზოვი.

ნარევი

მეფის ორდენები ბელგიის „მუშათა" ლიდერებს

ბელგიის ბურჟუაზიულმა პრესამ [illegible] სია ბელგიის სოციალისტური პარტიის მოღვაწეების, რომლებიც მეფისაგან ორდენის მიღებას „ღირსნი გახდნენ". ბელგიის სოციალისტებისა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერმა ემილ ვანდერველდემ მეფისგან მიიღო „ლეოპოლდის ორდენი". გარდა ამისა პარლამენტის ხუთმა სოციალისტმა წევრმა და 12 სოციალისტმა სენატორმა მეფისაგან მიიღო სხვადასხვა ჯილდოები.

ორიგინალური მადა

ამ რამოდენიმე ხნის წინად ლონდონში მოკვდა სირაქლემა ჯოზი, რომელიც საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა ზოოლოგიურ ბაღში. მოკვდა იმის გამო, რომ მისმა კუჭმა ვერ მოინელა 4 დიუიმიანი ლურსმანი. გაკვეთის შემდეგ ჯოზის კუჭში იპოვეს: სამი ხელთათმანი, სამი ცხვირსახოცი, მეტრნახევარი არშია, 7 ვერცხლის ფული, სპილენძის მავთულის ნაჭერი, რამდენიმე პატარა ლურსმანი და სხვ. „წვრილმანი".

12 საათში ევროპიდან ამერიკაში

შვეიცარიელმა ოტტო პრობსტმა დაამზადა გემი-მაშხალა, რომლის საშუალებით იგი აპირებს ატლანტის ოკეანეს გადაცურვას 12 საათის განმავლობაში.

პირველი გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე

ათი წლის წინად მოხდა პირველი გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე. ინგლისელი მფრინავი ალკოკი და მეთვალყურე ბრაუნი ნიუფაუნდლენდიდან ირლანდიაში გადაფრინდნენ (3.000 კილომეტრის მანძილზე).

ნერვიული სნეულებანი შეერთ. შტატებში

ნიუ-იორკში გაიხსნა ახალი ნევროლოგიური ინსტიტუტი. ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებით ამერიკული გაზეთები იუწყებიან, რომ შეერთებული შტატების ყოველი მეოცდახუთე მცხოვრები ექიმობს ნერვიულ ავადმყოფობათა სამკურნალოში ან საგიჟეშია მოთავსებული.

ძველი ქალაქის ნანგრევების გათხრა

დაიწყო მზადება გოტების ძველი ქალაქის ესკი-კარმენის (სევასტოპოლის ახლო) ნანგრევების გასათხრელათ. გათხრებში მონაწილეობას მიიღებენ გერმანელი მეცნიერები.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

„ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, მიერ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადების" დებულების 1 მუხლის „გ" პუნქტის გაუქმების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 5-ს თარიღისა და 81 №-ის დადგენილებით დამტკიცებული „ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისაგან კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების დებულების 1—მუხლის „გ" პუნქტი (კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი მუხ. 129).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცეტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5
თბილისი — სასახლე.

პარტიული კალენდარი

ხუთშაბათს, 4 ივლისს, დღის 2 საათზე ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყოფ. უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები, რომელნიც იგზავნებიან უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელში „ათასი"-ს ანგარიშში: ანთიძე, ახდლულაძე, სირაძე, მიქელოვი, ლეთოდიანი, გუდავაძე, ოგანეზოვი, ცუცქირიძე, გეორქოვა, ლურსმანაშვილი, მელაძე და ზარგარიანი.

დამწუხრებულნი მშობლები ელისაბედ და მაქსიმე, ძმები გრიგოლ, ვლადიმერ, რძალი კატო, დეიდა ტასო არონიშიძისა, დეიდაშვილები ოლია არონიშიძე, ანეტა მახარაძისა და მეუღლე ვალიკო, შუშანა ჯალალანიასი და მეუღლე იონა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი და დაუვიწყარი

დარეჯან მაქსიმეს ასული პატარიძე

დაკრძალვა მოხდება 4 ივლისს ოზურგეთში, ნაშუადღევის 3 საათზე. 2437

დამწუხრებულნი მშობლები: ელისაბედი და მაქსიმე; ძმები: ლადიმე და გრიგოლი; რძალი: კატუშა, დეიდა ტასო არონიშიძე შვილებით: ოლია, ანეტა მახარაძისა და შუშანა ჯალალანიასი თავისი მეუღლეებით ვალიკო და იონათი აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ საყვარელ

დარეჯან პატარიძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება მოხდება ოზურგეთში, ხუთშაბათს, 4 ივლისს. 2433

ღრმად დამწუხრებულნი დედა კატო, დეიდები მინადორა მგალობლიშვილისა და ეკატერინე ბერიძისა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასს და დაუვიწყარ

ვალიკო დათუნაშვილის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა, ხუთშაბათს, 4 ივლისს, ს. აკეთში.

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო	მეზღვაური გაროლდ ლოიდის მონაწილეობით. პროგრამის გარდა—ზედმეტი სურათი
საზაფხულო ეთერი	უცხოეთის მხატვრული სურათი მწვანე შესახვევი
საზაფხულო პალასი	განწირულნი ვიქტორ ჰიუგოს რომანის მიხედვით 3 და 4 სერია
მინიონი	პატი და პატაშონი სურათში პატი ზღვაში

ქ. თბ. მე-4 უბ. სახ. სასამარ. აღმასრულ.
ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 10 ივლისს 1929 წ. დღის 3 საათზე სახლში № 29, კამოს ქუჩაზე პირველი

საჯარო ვაჭრობით

გაყიდის ნახევარ იდეალურ ნაწილს ილია ლამბრიანიდის სახლისას, რომელიც შესდგება ორ სართულიან სახლიდან, 14 ოთახით და სამი სამზარეულოთი, შეფასებულს 5 000 მანეთად მოქ. პეტრე მარანდოვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის მე-4 უბნის სახ. სასამართლოს 11 ნოემბრის 1926 წ. თარიღით გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა № 6694. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს ს.ს.ს.კ. 301, 310, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლებში გათვალისწინებულ წესების დაცვით. 2435

ექიმი
დ. ლ. თევზაძე
(სპეციალისტი ყელის და ყურის სნეულებათა)
წასულია თბილისიდან და განაახლებს ავადმყოფების მიღებას ოქტომბრის პირველიდან

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10 25-1

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ცეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 7 ივლისს, დილის 10 საათზე
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2928

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და მის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 1 მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. ბისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი
პ. ს. ფუნ-ირჟელ.
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოლ[illegible]ოვის) № 6, (გადასახვევი ოლღ [illegible] ქუჩიდან აფთიაქთან)

დაკარგვა: სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 66 ალექსი ხუციშვილის სახელზე. ჩ. გ. 2432

დაკარგვა: გლეხკომის საწევრო წიგნაკი № 213 - გაცემული გოდოგნის თემ გლეხკომის მიერ დაკით საბას ძე სებისკვერაძის სახელზე. ჩ. გ. ნ. 292

დაკარგვა: მეტრიკული ამონაწერი № 22744 შოთა იგივე შალვა ძიხეილის ძე სიხარულიძის სახელზე. ჩ. გ. 2438

დაკარგვა: კ. პ. საკანდიდატო ბილეთი № 18157 ელპიდი შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 2440

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.